

დავით შაბურიშვილი



შაბურიშვილი
(შაბურიძე)

გვარის სტემონის

დავით შავერიძე

გაბურიშვილი

(ქაბული)



გვარის ისტორია

თბილისი
2025 წ.

ეს არის პირველი მცდელობა შაბურიშვილების გვარის ისტორიის შესწავლის და წიგნის სახით გამოცემისა. ვინაიდან შაბურიძეები (შაბურიშვილი) იყვნენ ძირძველი და წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები, ბუნებრივია, მათი შესწავლისას გვერდს ვერ ავუკლიდით ზოგიერთ თანმხლებ ისტორიული მოვლენის განხილვასა და რიგ შემთხვევაში თავისებურ კვლევასაც კი, რათა უფრო სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

წიგნში გამოყენებულია სხვადასხვა ისტორიული მასალები და დოკუმენტები, მათ შორის გენეალოგიური კვლევის კავშირის „არიან-ქართლის“ მიერ საქართველოს ეროვნული არქივისა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პირველადი ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც ასახავს XIII-XIX საუკუნეებში არაგვის ერისთავ შაბურიძეებისა და შემდგომში აზნაურ შაბურიშვილების ცხოვრებასა და საქმიანობას.

ეს წიგნი იმითაც არის საინტერესო, რომ მას დართული აქვს გამოყენებული ისტორიული წყაროები და დოკუმენტები, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, უფრო დეტალურად გაეცნოს მას.



ავტორი:

ლავით ვაჩრამის ძე შაბურიშვილი

ხედაქმორი:

მექაბ ზაურის ძე შაბურიშვილი

ჟორნალისტი:

ელენე ვაჩრამის ასული შაბურიშვილი



ნიგნი აენყო ღა ღაკაბაღონდა



შაბურიშვილთა საგვარეულო ხაფუ

ივანის ღვთისმომდევ ხაფის ცოლაძე

წმიდისავან ხატისა შენისა პოი, დედოფლალო ღვთისმშობელო, სიმრთელენი და კურნებანი უხვად შოეცემიან ყოველთა სარწმუნოებითა და სიყვარულით მისდა მოლტოლვილთა, ამისათვის ჩემსაცა უძლურებასა მოხედენ და შეიწყალე სული ჩემი, სახიერო, ხოლო ხორცით განმჯურნე მადლითა შენითა ყოვლადწმიდაო.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I

არაგვის საერისთავო და ერისთავების რეზიდენცია 9

ნადარბაზები 15

თავი II

„ძეგლის დადება“ (ძეგლისდება) 17

სამართლებრივი დოკუმენტი არაგვის ერისთავების (შაბურიძე) და
ქსნის ერისთავების (ქვენიფნეველი) შერიგების შესახებ 17

„ძეგლისდების“ მიღების აუცილებლობა 17

შურისძიება 19

პოეტ გიორგი ლეონიძის ისტორიული დრამა „გიორგი ბრწყინვალე“ 20

თავი III

უძველესი ისტორიული დოკუმენტები და მოვლენები, რომლებშიც შაბურიძეები
არაგვის ერისთავებად იხსნიება 24

გერგეტის ყოვლადწინდა სამების ტაძარი და გარდაცვლი არაგვის ერისთავ შაბურიძეთა
„სულთა მატიანე“ 24

1398 წლის 6 ივლისის მცხეთის გუჯარი №169 29

თავი IV

შაბურიძენი არაგვის საერისთავოს პირველი ერისთავები (XIII-XV ს) 31

თავისუფალი ენციკლოპედია (ვიკიპედია) და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
გვერდი შაბურიძეების შესახებ 31

ქართულენოვანი ვიკიპედია და ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 31

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის (ბიბლიოგრაფი) გვერდზე „არაგვის

ერისთავი“ მოცემულია ინფორმაცია არაგვის ერისთავ შაბურიძეების შესახებ 32

რუსულენოვანი ვიკიპედია 34

თავი V

შაბურიშვილების (შაბურიძეების) საგვარეულო წარმომავლობა 37

1. გვარის წარმომავლობა საკუთარი სახელი შაბურიდან 37

2. გვარის წარმომავლობა იოანე ბატონიშვილის ჩანაწერების მიხედვით 38

3. გვარის წარმომავლობა ირანის სასანიდების სამეფო დინასტიის მმართველ „შაპურიდან“ . 44

თავი VI

მეფე ვახტანგ III და მისი მეუღლე არაგვის ერისთავ შაბურიძის ასული


(დედოფალი საქართველოსი) 46

უნებურად იბადება კითხვა — მაინც ვინ იყო ასეთი გავლენიანი შაბურიძე? 47

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი	53
თავი VII	
მეფე გიორგი VIII-ის შვილის მარიამისა და არაგვის ერისთავ გამიყ შაბურიძის ვაჟის გიორგის ქორწინება.	56
თავი VIII	
ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია — არაგვის ერისთავ შაბურიძეების სალოცავი და საძვალე.	60
თავი IX.	
1474 წლის 24 ივნისის ბოდორნის მონასტრის გუჯარი	63
1399-1419 წლებში სვეტიცხოვლის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნები	66
1669 წლის წილკნის ღვთისმშობლის სამწყოს სიგელი	67
XVII საუკუნის საეკლესიო „ოთხთავი“	69
თავი X	
როდის დაკარგეს შაბურისძეებმა არაგვის ერისთაობა	70
თავი XI	
არაგვის საერისთაო შაბურიძეების შემდეგ (XVI — XVIII საუკუნეები)	76
თავი XII	
აზნაური შაბურიშვილები XVI—XIX საუკუნეები	79
თავი XIII	
არაგვის ერისთავების გენეალოგია და გერბი	89
შაბურიძეების დინასტია :	89
სიდამონიძეების დინასტია:	89
არაგვის ერისთავთა გენეალოგია	90
თავი XIV	
საშაბურო — არაგვის ერისთავების საგვარეო ტერიტორიის შემორჩენილი სახელწოდება	92
ერთიანი საქართველოს მეფეები	95
ოჯახის გენეალოგია.	96
გამოყენებული ლიტერატურა	97
ვებგვერდები	97
ავტორის შესახებ	98

ეძღვნებას ხსხელოუზანი წინაპრების ხსოვნას

შესავალი



უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის გვარების დალოცვის ინიციატივამ და მოწოდებამ (2010 წელი), რომ თითოეულმა ქართველმა საკუთარი გვარის ისტორია უნდა იცოდეს, უდიდესი დაინტერესება, გამოხმაურება, მხარდაჭერა და მოწონება დაიმსახურა.

მხოლოდ წარსულის ღრმა ცოდნით იმკვიდრებს ყოველი ერი თავის არსებობასა და მეობას.

როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.“ „...ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისე ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყობია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხოვბელი იმისი, თუ – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომაღლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის.“

როგორც ცნობილია, გვარი თავისებური ცოცხალი ისტორიაა, ოჯახის მემკვიდრეობაა, საზოგადოების პირვანდელი უჯრედია, ერის განუყოფელი და ძირითადი შემაღენელი ნაწილი.

ქართველები ოდითგანვე სამშობლოს ისტორიას, საკუთარ გენეალოგიას – სისხლის ყივილის, ფესვებთან დაახლოების წყურვილით იკვლევდნენ.

წინაპრების პატივისცემითა და მათი გმირული ცხოვრების შესწავლით მათ სურდათ მეტი ისტორიული ინფორმაციის მოძიება, რათა უკვდავეყოთ ქართველობაც და საკუთარი გვარიც.

საქართველო ქართველთა გმირულმა თავდადებამ გადაარჩინა. ჩვენს წინაპრებს ყოველი მტკაველი მიწისათვის სისხლი რომ არ დაეღვარათ და თავი არ გაეწირათ, ქრისტეს რჯული და ადათ-წესები რომ არ დაეცვათ, დღეს არც გვარი გვექნებოდა ქართული და არც საქართველოში ვიცხოვრებდით.

მაბურიძენი ქართლის მთიანეთის წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ (XIII-XV საუკუნე). არაგვის საერისთაოს პირველი ერისთავები, რომელებსაც ეპყრათ ერისთავთ-ერისთავის „ხელი“ და სათავეში ედგნენ გაუტეხელ არაგვის ხეობას.

ერისთავ შაბურიძეების რეზიდენცია იყო საშაბურო (საგვარეულოს საცხოვრებელი ტერიტორია, როგორც საბარათიანო, სამაჩაბლო, საციციანო და ა.შ.). ერისთავების ციხე იყო ანანური, ხოლო სალოცავი და საძვალე — მათ მიერ აშენებული ბოდორნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

გერგეტის სამების ტაძარში კი ჰქონდათ გარდაცვლილ არაგვის ერისთავ შაბურიძეების საგვარეულოს მოსახსენებელი „სულთა მატიანე.“

შაბურიძეები იყვნენ ძლიერი და გავლენიანი ერისთავები სამეფო კარზე: „**В XIII-XV веках семья Шабуридзе (вариант Шабуришвили) была очень могущественной и занимала положение Арагвских эриставов — правителей Арагвского ущелья**“¹.

შაბურიძენი, არათუ გამოირჩეოდნენ სამშობლოს სიკვარულითა და მეფის ერთგულებით, არამედ ისინი მეფის ოჯახის უშუალო წევრებიც იყვნენ და ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდათ სახელოვან ბაგრატოვანთა გვართან:

1. XIII სუკუნეში მეფე ვახტანგ III-ს (მეფე დემეტრე თავდადებულის შვილს) ცოლად ჰყავდა შაბურიძის ასული — დედოფალი საქართველოსი.
2. XV საუკუნეში მეფე გიორგი VIII-ის ქალიშვილი, მარიამი ცოლად მოყვანა არაგვის ერისთავის ვამიყ შაბურიძის ვაჟმა — გიორგი შაბურიძემ, რომელმაც ამ მოვლენის გამო 1465 წელს სვეტიცხოვლის ტაძარს მამულები შესწირა.

ერისთავი შაბურიძეები იყვნენ ღრმად მორწმუნენი, რასაც მოწმობს მათ მიერ ეკლესიისათვის შეწირულობის წიგნებითა და სიგელებით (გუჯარით) გაცემული მამულები.

ერისთავმა შაბურიძეებმა უამრავი ბრძოლა გადაიტანეს თემურ ლენგის შემოსევებიდან დაწყებული. ისინი ერთგულად პატრონობდნენ უთანასწორო ბრძოლიდან არაგვის ხეობის მაღალ მთიანეთში გახიზნულ მეფეებს და საიმედოდ იცავდნენ დარიალის კარს უცხო მომხვდლებისაგან, იყვნენ თავმდაბალნი და კეთილნი, რის გამოც მაღალმთიანე-



1. რუსულენოვანი ვიკიპედია



თის მოსახლეობა გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან, რაზეც უძველესი დოკუ-
მენტიც (1669 წლის წილქნის ღვთისმშობლის სამწყოს სიგელი) მიუთითებს:

„არაგვის ერისთავი არვინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავათ თვინიერ შაბურიშ-
ვილის (შაბურიძე) მეტი. იმას ჭერია დაბალი საერისთაო. ანანურის ზევით მთიულეთს
წილქნელისა არა ედვა რა: არა დრამა, არა საწირავი, არა სახუცო, არც ძველ გუჯარში
ეწერა...“

შაბურიძენი (შაბურიშვილი) მეფისადმი ერთგულებით იმდენად გამოირჩეოდნენ, რომ
მოგვიანებით მეფე ერეკლე, 1775 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნავს: „(შაბურიშვი-
ლი) ჩვენი ერთგული არის და ამისი მამა და პაპა ჩვენი ერთგულათ მოსამსახურენი ყო-
ფილან.“

XVI საუკუნის დასაწყისიდან არაგვის ერისთავი შაბურიძეები კარგავენ არაგვის
ერისთავობის ტიტულს და ამ პერიოდიდან უკვე ისტორიულ წყაროებში აზნაურ შაბურიშ-
ვილებად მოიხსენებიან.

1783 წელს შედგენილ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ თანდართულ ნუსხაშიც სამეფო
აზნაურთა გვარები შაბურიშვილით იწყება.

შაბურიშვილთა გვარით იწყება აგრეთვე ქართლ-კახეთის აზნაურთა ოფიციალური
სია, რომელიც შეტანილია 1850 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ეგრეთ წოდებულ
„ბარხატნაია კნიგაში“ (ხავერდოვან წიგნი).

საამავია, რომ 1889 წელს ტყიბულში დაარსებულ საქციო საზოგადოება „ნახ-
შირის“ დამფუძნებელთა შორის ცნობილ საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძესთან ერ-
თად მოიხსენიება სოლომონ შაბურიშვილიც.

კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანში „დავით აღმაშენებლის“ ერთ-ერთ
პერსონაჟს, დიდგვაროვან გიორგი შაბურიძეს, ჭყონდიდელი სხვა შერჩეულ პირებთან
ერთად ყივჩაღეთს აგზავნის მეფე დავით აღმაშენებელის საცოლის, გულარდუხტის ჩა-
მოსაყვანად. ამ და სხვა საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ
ქვემოთ დასახელებულ თავებში.



თავი I

არაგვის საერისთავო და ერისთავების რეზიდენცია

XI

-XV საუკუნეებში ერისთავები განაგებდნენ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ერთეულებს და იყვნენ მეფის უშუალო მოხელეები. ერისთავი სათავეში ედგა ტერიტორიულ ერთეულს და იყო, ერთი მხრივ, საერისთავოს გამგებელი — მოხელე, ხოლო მეორე მხრივ, მემამულე-ფეოდალი. გარდა საგანმგებლო სახელმწიფო ტერიტორიისა და საერისთავოსი, მას ჰქონდა თავისი საფეოდალოც.

ერისთავი სათავეში ედგა ფეოდალურ იერარქიას, იყო პატრონი-სიუზერენი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ყმა-ვასალი აზნაურები. ერისთავი იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი საერისთავოში, ჯარის სარდალი. მას ჰქონდა სასამართლო ხელისუფლება, კრებდა სახელმწიფო გამოსაღებებს და საერისთავო გადასახადს („ხარკი საერისთავო“ ან „საერისთავო გამოვალი“). მისი მოხელეები განაგებდნენ საერისთავოს სხვადასხვა შხარეს, მას ჰქონდა საკუთარი კარი, ხელისუფლების ინსიგნიები (დროშა, ბეჭედი, განსაკუთრებული სამოსელი). ისევე, როგორც ყველა დიდ ფეოდალს, ერისთავებსაც ჰქონდათ საგვარეულო მონასტერი და ციხე-დარბაზი.

საგანმგებო ცერემონიით ხდებოდა ერისთავად კურთხება. ჩვენამდე მოღწეულია ერისთავების კურთხევის წესი (XIII ს.).¹

ქვეყნის მართვაში ერისთავს ეხმარებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეები: გამგებლები, ხევისთავები, ციხისთავები, მამასახლისები, ხოლო შემდეგში მათ ჩაენაცვლა — სახლთუხუცესები, მოურავები, ნაცვლები და სხვა.

არაგვის საერისთავოს სახელწოდება წარმოიშვა სიტყვიდან „არაგვი“: „წერილობითი ცნობების და ნაწილობრივ ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით განსაზღვრულ მიწა-წყლის აღმნიშვნელ ტერმინ „არაგვს,“ როგორც წესი, არაგვის საერისთავოს აღმნიშვნელი სახელის ღირებულება გააჩნდა“².

ჯერ კიდევ ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ნაშრომში „გეოგრაფია“ სადაც იძერის აღწერაა მოცემული, არაგვი მტკვრის ერთ ერთ შენაკადაა წარმოდეგენილი. თვით სიტყვა — არაგვი ნიშნავს სწრაფ წყალს, მდინარეს.

არაგვის საერისთავო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით — დარიალის გასავლელითა და თბილისთან სიახლოვით.


ამავე დროს, არაგვის ხეობის მთიანეთი (გველეთი, ცისკარა, ცხავატი) მეფეთა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. უთანასწორო ბრძოლებში, წაგებული ომებისა თუ შემოსევების დროს საქართველოს მეფეები სწორედ არაგვის ხეობის ზედა ნაწილში იჩიზნებოდნენ. არაგვის ერისთავები იყვნენ მათი ერთგული დამცველები და მასპინძლები.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, მთიულეთში „ცისკარას აღმოსავლეთით არის ნასახლევი მეფეთა.“³

1. <http://ka.wikipedia.org/wiki/erisTavi>

2. ვ.იონიშვილი, „არაგვი და არაგველები.“ თბ. 1989 წ. გვ. 46,97.

3. ვახუშტი ბატონიშვილი, „ქართლის ცხოვრება,“ 1973 წ. ტ. IV გვ.355



● დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი

მთიულეთ-გუდამაყარი და ფშავ-ხევსურეთი (ამჟამინდელი დუშეთის მუნიციპალიტეტის რუკა)

როდის წარმოიქმნა არაგვის საერისთავო?

არაგვის საერისთავოს წარმოქმნის შესახებ დოკუმენტი ისტორიულ წყაროებში არ მოიპოვება. არაგვის საერისთავო ჯერ კიდევ მეფე დავით აღმაშენებლის (1089 - 1125) პერიოდში იხსენიება:

„დავითი დაუნდობლად ებრძოდა განდგომილ ფეოდალებს და გაიმარჯვა კიდეც მათზე, 1103 წელს გაანადგურა გაურჩებული კლდეკარის ერისთავები ლიპარიტ ივანეს ძე და რატი ლიპარიტის ძე, ასევე ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეები, არაგვის ერისთავები.“¹

„ორი დიდი ფეოდალი, რომელიც მეფისა და ქვეყნის დალატის გზას დააგდა იყო არაგვის ერისთავი ძაგან აბულეთის ძე, კაცი შემაწუხებელი ლვთისა და მძლავრებით ლვთისათა არა მრიდი. ძაგანმა მარტო თვითონ კი არა, ძმაც აიყოლია და შეიკავშირა ყოველ ქართველთა გამაერთიანებელი ტახტის წინააღმდეგ საბრძოლველად, თანაც ეს უბრალოდ სისხლისმიერ ძმათა კავშირი როდი იყო, არამედ მთავარი ის გაზლდათ, რომ ძაგანის მოკავშირე ძმა, სახელად მოდისტო, ერთი ფრიად გავლენიანი სასულიერო მოხელე ბრძანდებოდა, ეპისკოპოსი. ასე რომ დავით მეფეს ერთად ამხედრებოდნენ ეს ორი ფეოდალი – საეროც და სამღვდელოც, ძალიან სწრაფადაც ამოქმედებულან მეფის მოღალატენი, სანამ თვითონ დავითი შეიტყობდა, ძაგან ერისთავმა ერთბაში დაცემით ხელთ იგდო მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის მამულები და საეკლესიო საბატონოდ მისცა თავის ძმა, მოდისტოსს, მაგრამ ცუდად დამთავრდა ძმების ასეთი კადნიერება, მეფე მოიჭრა ელვასავით, ძაგანი გაიქცა და შიომღვიმის მონასტერში შევარდა თავშესაფრად, მეფეც მიჰყვა, თუმცა დიდი გარჯა არ გასჭირებდა, თვითონ მღვიმის მონაზონ-მოწესებმა მთავარ მამათა შიოსა და მიქაელის მეთაურობით შეიპყრეს მათთან შელტოლვილი ძაგანი, ლვთისა არამრიდი და შებორკილი მიართვეს მეფეს. ძაგანის ძმა მოდისტოსიც შეიპყრეს ღმერთისადმი განკუთხნილი ეკლესიების თვისად მიმტაცებელი და ორივე ძმა საპყრობილეში ჩაჰყარა დავით აღმაშენებელმა, ერისთავობაც წაართვა, ერის მამობაც, სხვა ყოველი პატივიც და დიდებაც.“² არაგვის საერისთავო შედიოდა ქართლის საერისთავოში.

XI საუკუნეში, ბაგრატ IV-ის დროს ქართლის ერისთავი იყო ივანე აბაზისძე. XII საუკუნეში ქართლის ერისთავობა მიიღეს ორბელებმა, ხოლო ორბელთა აჯანყების შემდეგ (1177წ.) გიორგი III-მ ქართლის ერისთავობა გადასცა სურამელთა საგვარეულოს. თამარ მეფის პერიოდში არაგვის საერისთავო შედიოდა ქართლის საერისთავოში და „ქართლის საერისთაოს გამგებელი იყო ქართლის ამირთ-ამირა აბულასანი.“³

მონღოლთა შემოსევის დროსაც (1228 წ.) არაგვის საერისთავო შედიოდა ქართლის საერისთავოში. ამ პერიოდში საქართველო დაყოფილი იყო დუმნებად: „მეოთხე დუმნად მიჩნეული იყო ქართლი, რომლის მართვა-გამგეობა და უფროსობაც ერისთავთ-ერისთავ გრიგოლ სურამელს ჰქონდა მიცემული.“⁴

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დავით გვრიტიშვილი აღნიშნავს, რომ „ვახუშტის აქვს ერთი საინტერესო დაკვირვება: „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა.“ გამოდის, რომ ქსნის საერისთავო XIII საუკუნიდან ქართლის საერისთავოს გამოეყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროიდან ქართლის საერისთავოში მყოფი არაგვის ხეობაც ცალკე იყო.“⁵

1. <http://burusi.wordpress.com/2010/02/18/david-agmashenebeli-2/>

2. <http://www.bu.org.ge/x2236>

3. ი.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია,“ წიგნი III, თბ. 1966წ. გვ. 337

4. დ.გვრიტიშვილი, „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.“ თბ. 1955 წ. გვ. 84



ამრიგად, დაახლოებით XIII საუკუნიდან არაგვის საერისთავო გამოეყო ქართლის საერისთავოს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საერისთავოდ.

არაგვის საერისთავოს ტერიტორია გვიან საუკუნეებში იცვლებოდა, არ იყო სტაბილური. ერისთავები ზოგ მიწას იერთებდნენ, ზოგს კი — კარგავდნენ. არაგვის საერისთავოს სასაზღვრო ხაზი დაახლოებით ასეთი იყო:

დასავლეთით — ქსნის საერისთავო ემეზობლებოდა.

სასაზღვრო ხაზი იწყებოდა შელეს მთიდან, გაივლიდა სხვა მთებთან ერთად ფასანაურისა და ჭართლის მთებს და მიემართებოდა ნარეკვავის ხეობით სამუხრანომდე.

აღმოსავლეთის საზღვარი დაახლოებით მდინარე არაგვზე გადიოდა, თუმცა გარკვეული პერიოდი არაგვის მარცხნა სანაპიროს სოფლები, ერწო — თიანეთის ჩათვლით, არაგვის საერისთავოში შედიოდა.

სამხრეთით — არაგვის ერისთავები მუხრან ბატონებს ემეზობლებოდნენ. სასაზღვრო ხაზი გრემისხევთან იწყებოდა და ნარეკვავის ხეობის მიყოლებით სოფელ მისაქციელთან მთავრდებოდა.

არაგვის საერისთავოს ბარში სოფლის მეურნეობის დარგებიდან წამყვანი იყო მარცვლეული კულტურები, მებაღეობა, მევენახეობა, ხოლო მთაში (ანანურიდან დარიალამდე) კი ძირითადად მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა იყო განვითარებული.

შინამრეწველობის დარგებიდან განვითარებული იყო ყველის წარმოება, შალის ქსოვა, ტყაპუჭის დამზადება და სხვა. ვაჭრობა-მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული.

მცირე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები იყო: დუშეთი, ანანური, უინვანი.

არაგვის საერისთავოზე გადიოდა საქართველოს ჩრდილოეთ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა (შემდგომში საქართველოს სამხედრო გზა).¹

„1774-1781 წლების აღწერით არაგვის საერისთავოში შედიოდა:

ხევის ხეობა (18 სოფელი)

ცხაოტის ხეობა (10 სოფელი)

ხალას ხეობა (17 სოფელი)

გუდამაყრის ხეობა (16 სოფელი)

გარეშემოს ხეობა (8 სოფელი)

ხანდოს ხეობა (6 სოფელი)

მრევლის ხეობა (8 სოფელი)

ჭართლის ხეობა (6 სოფელი)

არაგვის საერისთავოში შედიოდა აგრეთვე ბარის 28 სოფელი და საშაბუროში შემავალი სოფლები.

„XV საუკუნის შუა ხანებიდან არაგვის საერისთავო ფაქტობრივად ერისთავების მამულად, ანუ სათავადოდ იქცა.“²

ქართლის ცხოვრებაში არის ასეთი ჩანაწერი:

„ტყვლიანის ჩრდილით არის მონასტერი მჭადისჯუარისა საბურდიანოსა შინა, გუმბათიანი და აწ. უქმი.“³

ვ. ძიძიშვილი გაზეთ „არაგვში“ დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნავს: „რას ნიშნავს

1. https://ka.wikipedia.org/wiki/არაგვის_—_საერისთავო

2. დ.გვრიტიშვილი. „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.“ თბ.1955 წ გვ.96-98

3. ქართ. ცხ.ტ. IV გვ.350-351



„საბურდიანოსა შინა“? ჩემი აზრით, საბურდიანოს შესატყვისი უნდა ვეძიოთ სახელ „საშაბურო“-ში, და რატომ: ძველ საქართველოში იმ მამულებს რომლებსაც დიდი ფე-ოდალები ფლობდნენ, მათი გვარების მიხედვით უწოდებდნენ: მაგ. ბარათაშვილებისას სა-ბარათ-იანო, ციციშვილებისას სა-ციცი-ანო, ორბელიანებისას სა-ორბე-ლიანო, მა-ჩაბლისას სა-მაჩაბ-ლო. ჩემი აზრით, „საბურდიანოს“ ქარაგმა უნდა გაიხსნას სახელ საშაბუროდან: **საბურ-დიანო, შაბურ-დიანო, სა-შაბურ-ო.** შეიძლება ვთქვათ კიდეც, რაღა მაინც და მაინც ქარაგმა „საბურდიანო“ შაბურიშვილების გვარს უნდა მივაწ-ეროთ, როცა ამჟამად გვაქვს გვარი „ბურდული.“

გვარი „ბურდული“ არცერთ ისტორიულ წყაროებში როგორც თავადი ან აზნაური არაგვის საერისთაოში, მითუმეტეს ბაზალეთის მიდამოებში, არსად მოიხსენიება. მცირე ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ არაგვის საერისთავოს მე-16 საუკუნის ბოლომ-დე **შაბურიშვილების** გვარი ფლობდა. იმ დროისთვის კი დუშეთი და ბაზალეთი არაგვის ერისთავებს ეკუთვნოდა. დღეს ყველამ კარგად ვიცით ბაზალეთის მიდამოები და მისი საზღვრები. ნუ გაგვიკვირდება, თუ ვაზუშტი ბაზალეთის საზღვრებს უფრო ფართოდ და განზე ეწევა ალევის მთამდის და იქედან ჭართლამდის, ბაზალეთის საზღვრების ასე ფართოდ გადაწევა სხვა არა არის რა, თუ არა არაგვის საერისთავოს საზღვრების დად-გენა-მინიშნება. ეს საზღვრები „აქუს ბაზალეთს აღმოსავლეთით არაგვი.“ ქართლის ცხოვრების მიხედვით, ქართლისა და კახეთის საზღვრებად მდ. არაგვი ითვლებოდა, ე.ი. არაგვის გაღმა მდებარე ტერიტორიები კახეთის შემადგენლობაში შედიოდა, ამიტომ არაგვის საერისთავოს საზღვარი არაგვის იქით ვერ გადავიდოდა, ე.ი. არაგვის საერი-სთავოს საზღვარი სოფ. მჭადიჯვრის უფრო სამხრეთით მდ. ქსნის მიდამოებამდე ყო-ფილა. ამიტომ უნდა იყვეს მოხსენიებული მჭადიჯვარი „საბურდიანოსა შინა.“ პრო-ფესორი ლევან ჭილაშვილი, „კახეთის ქალაქების“ ავტორი, მივვითითებს, რომ სოფ. გრემისხევი მცხეთის სვეტიცხოვლის საეკლესიო მამული იყო, ამრიგად, მასზე არაგვის ერისთავების ხელი ვერ მიუწვდებოდათ, ხოლო ალევის მთა უკვე საზღვარი იყო ქსნისა და არაგვის საერისთავოსი. თვით სახელი „საშაბურო“, რომელიც ამჟამად ბაზალეთის ზეგანზე მდებარეობს, მარტო სოფლის სახელი არ იყო. სახელი „საშაბურო“ შაბურიშ-ვილთა გავლენის ფართო ტერიტორიულ სფერო იყო და აქ განხილულ ბაზალეთსაც მოიცავდა თავისი საზღვრებით.¹

სოფელი **საშაბურო** კიდევ ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებისთან არის და-კავშირებული. როგორც ცნობილია, რუსეთის ჯარის გაუსაძლისი და ქართველები-სათვის დამაცირებელი მოპყრობის გამო, 1812 წელს დაიწყო კახეთის აჯანყება. 1000-ზე მეტი აჯანყებული გადმოვიდა მდ. არაგვის აქეთ და ჩაკეტეს სამხედრო გზა, მათ შეუერთდნენ არაგველებიც. ამ დროს რუსის სარდლები ქართველებს რუსეთის მეფის ერთგულებაზე აფიცებდნენ. დაშინებული ხალხი ერიდებოდა აჯანყებულებთან უშუ-ალო კავშირს, მათ მხოლოდ ორი თავადიშვილი: იოსებ არაგვის ერისთავი და სიმონ მაჩაბელი მიემხრო. უპირველესი გვარები კი – მუხრანელები და ამილახვრები ისევ რუსების ერთგულები რჩებოდნენ. აჯანყებულებს ყველაზე აქტიურ დახმარებას უწევ-და **საშაბუროს** ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობა, ამიტომაც გამაგრდნენ აჯანყებულე-ბი სოფელ **საშაბუროში** (მრგვალ კოშკში). საბოლოოდ, აჯანყებულები რუსეთის ჯარ-თან (პოლკოვნიკი უშაკოვი) უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებლენენ. ასობით ქართველი მეამბოხე დაეცა. გადარჩენილები მდინარე არაგვს მიაწყდნენ ნაპირზე გასასვლელად, რაღაც ბულაჩაურის მხარეს რუსის ჯარი არ იყო. მდინარეზე გადასვლის დროსაც

1. გაზეთი „არაგვი“ 1990 წლის 9 ოქტომბერი

დიდალი ხალხი დაიხრჩო, — მოახსენებდა მარკიზი იმპერატორს.¹

დაახლოებით XVI საუკუნეში არაგვის ერისთავთა რეზიდენცია იყო **საშაბურო-ში**, თვით სიტყვა **საშაბურო** წარმოადგენდა **შაბურიძეების** გვარის ადგილ-სამყოფელი ტეროტორიის დასახელებას. როგორც ავღნიშნეთ, ძველ საქართველოში იმ მამულებს, რომლებსაც დიდი ფეოდალები ფლობდნენ, მათი გვარების მიხედვით უწოდებდნენ: სა-მაჩაბლოს, საბარათიანოს, საციციანოს და ა.შ.

XIII-XV საუკუნეებში არაგვის ერისთავთა რეზიდენციის საკითხი შესწავლილი აქვს ისტორიკოსს ჯ.გვასალიას:

„რეზიდენცია მოთავსებული იყო ბაზალეთ-დუშეთში. ჯერ კიდევ ერისთავი შაბურიძენი ბაზალეთის პლატოზე მოსახლეობდნენ, არაგვის საერისთავოს ბირთვს ბაზალეთი-არაგვისპირი წარმოადგენდა. ეს ჯერ ერთი განპირობებული იყო ამ მხარის მაღალი ეკონომიკური მდგომარეობით (განვითარებული მემინდვრეობა-მევენახეობით) და მეორეც, ბაზალეთის პლატოს ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობით. ბაზალეთის პლატოს შემაღლება ხელს უწყობდა იქ თავდაცვითი სისტემის ორგანიზებას.“

„არაგვის ერისთავთა — **შაბურიძეთა** რეზიდენცია რომ მოთავსებული იყო ბაზალეთის პლატოზე, ამას მოწმობს პატარა „ქვეყნის“ — **საშაბუროს** არსებობა. დღეს სოფელი **საშაბურო** ჰქვია ბუჩქურებს, უწინ კი ერქვა სოფელ ბაგასაც. **საშაბუროში** შედიოდა შემდეგი სოფლები: ნაგლიაანი, ვარსიმაანი, ბუჩქურები, ბაგა, ჩანადირები, ლაზვიანი.

საშაბუროში დღეს მხოლოდ გვიანი ხანის (XVIII საუკუნე) რიყის ქვისაგან ნაგები მრგვალი კოშკია შემორჩენილი. ბაზალეთ-არაგვისპირში, კერძოდ, ბოდორნაში იყო არაგვის ერისთავთა სალოცავი და საძვალე — სამარხი.



დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი საშაბურო (გაგა)

1. ალექსანდრე ფრონელი, „ამბოხება კახეთისა“, 1907 წ. გვ. 134-137)

2. ჯ.გვასალია, „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფ. ნარკვენები.“ თბ. 1983 წ. გვ. 79-83

ნადარბაზები

არაგვის ერისთავების საცხოვრებლი ადგილი ბუნებრივია იქნებოდა **საშაბუროს** ტერიტორია, რომელშიც რამოდენიმე სოფელი შედიოდა. ამჟამადაც არსებობს სოფელი **საშაბურო**, რომელზეც მიმულია სოფელი ბაგა, ის სამხედრო გზიდან 3 კილომეტრიან საკმაოდ შემაღლებულ ადგილას მდებარეობს. სოფელ ბაგას ადრე **საშაბურო** ერქვა. ადრე ბაგაში დაბადებულ ჩვენი მშობლების დაბადების მოწმობებშიც **საშაბუროა** მითითებული. ამ ორ სოფელს ახლაც ერთი საშუალო სკოლა აქვს.

შაბურიშვილები ძირითადად ბაგაში ცხოვრობენ. სოფელ ბაგაზე ადის ბაზალეთის პლატოსა და ბაზალეთის ტბის მხარეს გასასვლელი გზა. სოფელ ბაგას ზემოთა მხრიდან ესაზღვრება ტყე, სადაც 30 მეტრის სიგრძის შესასვლელის შემდეგ იშლება ფეხბურთის მოედანზე დიდი ზომის მინდორი, სადაც ერთი ხეც კი არ არის ამოსული. ადრე აქ ბავშვები ფეხბურთსაც ვთამაშობდით. ამ ადგილს ახლაც ეძახიან ნადარბაზებს. სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე აქ დარბაზები უნდა ყოფილიყო!

ნადარბაზებიდან ხელისგულიყით ჩანს სამხედრო გზა და იქვე სამხედრო გზასთან აღმართული მთა, რომელზეც ბოდორნის ეკლესიაა. ადრე სწორედ მთაზე დანთებული ცეცხლის საშუალებით ეცნობებოდა ხალხს მტრის შემოსევების შესახებ, რათა დროულად გახიზნულიყვნენ ტყეში, სადაც დამპყრობლები ცხენებით ვეღარ შედიოდნენ.

შესაძლებელია ამ ნადარბაზების ტერიტორიაზე ყოფილიყო ერისთავ **შაბურიძეთა** საცხოვრებელი დარბაზები, რის შესახებაც ზუსტ პასუხს არქეოლოგიური გათხრები მოგვცემს...

XVI საუკუნიდან არაგვის ერისთავების რეზიდენცია და სასახლე უკვე დუშეთშია.

ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, რომ ფეოდალებისაგან დევნილი გიორგი სააკაძე ერისთავს დუშეთში შეეფარა:

„რა სცნა საქმე ნუგზარ მოურავისა და მისვლა მისი სახლად, მიეგება წინა მისაქციელსა, სოფელსა მუხრანისასა, და წარუძღვა წინა და წარიყვანა სახლსა თვისსა დუშეთს.“¹

ანანურის ციხე კომპლექსი არაგვის საერისთავოში იყო არაგვის ერისთავთა მთავარი ციხე. მისი სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების შემდეგ (XVII-XVIII სს) კიდევ უფრო გაიზარდა. XVI საუკუნის შემდეგ ანანურის ციხე კომპლექსი არაგვის ერისთავთა რეზიდენციასაც წარმოადგენდა.



ნადარბაზები

1. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება,“ გვ.125



ანანურის ციხესიმაგლები

მთავარი ნაგებობის — ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მისი სამხრეთი ფასადის მარცხენა ნაწილის ვრცელი წარწერა, რომლის მიხედვით, ტაძარი 1689 წელს, ბარძიმ მდივანბეგის დაკვეთით აუგია ბოქაულთუხუცესს.

1743 წელს მეფე თეიმურაზ II-მ საერისთავო გააუქმა და ანანური მეფის ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ამიერიდან ის მეფის მოხელეთა რეზიდენცია გახდა. ანანური ისტორიული ცნობების მიხედვით, ამ დროს, „მცირე ქალაქს“ წარმოადგენდა, რომელშიც 100 კომლი ცხოვრობდა.

1791 წლის ერეკლე II-ის მიერ ძეთათვის დაწერილ განწესებაში ანანურის ციხე შვიდ უძლიერეს ციხეს შორის არის მოხსენიებული.

1795 წელს მხცოვანმა მეფემ კრწანისის ველზე უთანასწორო ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ამ ციხეს შეაფარა თავი.

სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარეობამ ამ პუნქტში ვაჭრობის განვითარება განაპირობა. აქ სამეფო საბაჟოც ყოფილა. განვითარებული იყო მეჭურჭლეობა, მაუდის წარმოება. XVIII საუკუნის II ნახევარში აქ ყოფილა სამეფო სამღებრო. XIX ს-ის I ნახევარში იოანე ბატონიშვილმა ანანურს “ყასაბა ქალაქი” უწოდა.

1803-1821 წლებში ანანური სამაზრო ცენტრი იყო. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს ის რუსეთის ჯარს გადაუწვავს.

თავი II

„ძეგლის დადება“ (ძეგლისდება)

**სამართლებრივი დოკუმენტი არაგვის ერისთავების (შაპურიძე) და
ქადაგის ერისთავების (ქვენიშვილი) შერიგების შესახებ**

ძეგლისდება (ძეგლის დადება, ძეგლისწერა) — არის შუა საუკუნეების საქართველოში საკანონმდებლო აქტის დადგენა-ჩამოყალიბება წერილობითი სახით, ე.წ. ძეგლად. სხვადასხვა დავის, დაპირისპირების მოსაგვარებლად ხშირად მიმართავდნენ ძეგლისდებას. ამ სახელწოდების აქტებად ცნობილია „რუის-ურბბნისის კრების ძეგლისწერა.“

მეფე გიორგი V ბრწყინვალის მიერ XIV საუკუნეში მიღებული „ძეგლის დადება“ განკუთვნილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წესრიგის დასამყარებლად, სადაც ამ დროისათვის სრული ანარქია სუფევდა.

მეფე ადგილზე გაეცნო მდგომარეობას, რის შემდეგაც მოიწვია საკანონმდებლო კრება სპეციალური ნორმატიული დოკუმენტის შესაღენად.

მას შემდეგ, რაც გიორგი V ბრწყინვალებ დასავლეთ საქართველო შემოიერთა, ძირითადი ყურადღება იმ პერიოდისათვის შედარებით ჩამორჩენილ კუთხეზე — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე გადაიტანა. მთიულეთში ხელისუფლების აღილობრივი ორგანოების წინააღმდეგ გამოსვლებს პქონდა აღილი, გახშირებული იყო ერისთავების ურთიერთდაპირისპირება, ძმათამკვლელობა და სხვა სახის დანაშაული. ძეგლის შედგენის მიზეზად მის შესავალშიც მთიულეთში არსებული არეულობაა დასახელებული. როგორც ისტორიული წყაროებითაა ცნობილი, მეფე გიორგიმ პირად შემოიარა მთიულეთი, იქიდან თბილისში ჩამოიყვანა წარმომადგენლები და მოწვია დარბაზი, რომელზეც შედგენილ იქნა სამართლის წიგნი — „ძეგლის დადება“. ძეგლის შედგენის თარიღად ასახელებენ 1334-1335 წლებს.

„ძეგლისდება“ მიღების აუცილებლობა

XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში არსებული ანარქიით კარგად ისარგებლეს მოთარეშე ოსებმა და მთელი შიდა ქართლი მოაოხრეს, სანამ მეფე გიორგი ბრწყინვალებ არ მოუღო ბოლო მათ ყაჩაღობას.

სამი წელი მოანდომეს ქართველებმა გორის აღებასა და ოსებისგან მთელი შიდა ქართლის გაწმენდას, რის შემდეგაც, როგორც ვახუჭტი ბატონიშვილი გვამცნობს, მეფე გიორგიმ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალი გზებიც დაიკავა, გაამაგრა ისინი და ასე „დაამშვიდა ქართლი ოსთაგან“.

ამ ბრძოლებში ქსნისა და არაგვის საერისთავოებიდან გამოყვანილმა მთიელმა მეომრებმა ფრიად ისახელეს თავი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ოსნი განდევნეს, ხმლები ქარქაშში ჩააგეს და უკან გაბრუნდნენ, ცილობა დაიწყეს, თუ რომელმა საერისთავომ იყოჩაღა უფრო.

არაგველები თავს დებდნენ, ჩვენ მეტი წვლილი მიგვიძლვის ამ გამარჯვებაში, ვიდრე ქსნის ხეობელებსო, ქსანელები კი, პირიქით, არაგველებს ნაკლებ გარჯაში სდებდნენ



ბრალს და გამარჯვებას მთლიანად თავად მიიწერდნენ. საბოლოოდ, კამათი დიდ ხმალ-თაკვეთებაში გადაიზარდა და ერთმანეთს უგუნურად შეაწყდნენ ომსა და ჭირ-ვარამში ერთად გამოვლილი, გამარჯვების სიხარულის ერთად ნაგემი მთიანეთის ქართველები.

ამ შეტაკებაში ქსნის ერისთავებმა, ქვენიფნეველებმა (ბიბილურებმა) არაგველები დაჯაბნეს, დაამარცხეს და უინმოკლულებმა მიაშურეს თავიანთ სამფლობელოს. მა-გრამ დაპირისპირება ამით არ დასრულებულა. შურისძიებით აღვსილი დამცირებული არაგველები ქსნის ხეობას შეესივნენ და იქაურობა გააპარტახეს. ახლა ქვენიფნეველები აღივსნენ შურისძიების წყურვილით, მომხდურის უპასუხოდ დატოვება მიუღებელი იყო მათვის. დიდხანს არ შეუნახავთ ჯავრი გულში, არაგვის საერისთავო და-ლაშქრეს... და ეს უაზრო ომი თითქმის ოცი წელი გაგრძელდა, რაზეც მემატიანე წერს. უკეთესი დღე არც ქვენიფნეველებს დაადგათ. მართალია, ბიბილურები კიდეც გადარჩნენ და ერისთავობაც შეინარჩუნეს, მაგრამ მამული კი მეტად გაუპარტახდათ. ამას ზედ დაერთო ცხაოტელებსა და უამურელებს (დვალები) შორის გაჩაღებული სისხლიანი დაპირისპირებაც, რამაც თვრამეტი ხევისბერის სიცოცხლე შეიწირა. „წვრილ ერს“ კი უკვე აღარც ანგარიშობდნენ. ასე უმიზნოდ შეაწყდა ერთმანეთს ათასობით თანამომმე არაფრის გულისთვის, რითაც კარგად ისარგებლეს სხვადასხვა ჯურის ქვეგამხედვრებ-მა — ძარცვა-გლეჯამ და ყაჩაღობამ მასიური ხასიათი მიიღო და მთაში გაუსაძლისი მდგომარეობა შეიქმნა.

„უსამართლობა და მძლავრობა ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა ერთმანეთ დალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა სიკვდილი და ცოლის წაგვრა“.

ვერაფერს გახდა ქსანელ-არაგველთა დასაზაებლად მთაში საგანგებოდ ასული მეფე გიორგი V-ის ძე, უფლისწული დავითი. ლომისაში მუხლებზეც დააჩოქა მთიელები, ხატებზეც დააფიცა ქსნის სხველები და არაგველები, მაგრამ უაზრო ხოცვა-ულეტას მაინც არა და არ მოეღო ბოლო. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მეფე გიორგი V ბრწყინვალემ დიდი ლაშქრით მთიანეთს არ მიაშურა, რათა მოსისხართა შორის მშვიდობა იარაღის ძალით დაემყარებინა.

დარიალამდე იარა მეფემ და სადაც წინააღმდეგობას წააწყდა, უგუნურნი ყველ-გან სასტიკად დასაჯა. უკან გამობრუნებული ლომისას დადგა, ხევისბერნი და თემობა ბჟობად მოიწვია.

მეფემ მკაცრად განუცხადა მთიელებს, სიცოცხლის ფასად გაზღვევინებთო ყვე-ლას, განურჩევლად წარმომავლობისა, ვინც კვლავაც გაბედავს „**უსამართლობასა და მძლავრებულობას**“, განუკითხავ მკვლელობას, ციხეთა დაქცევას, სხვისი ცოლის წაგვრას, საფლავთა ხელყოფასა და სხვა უკეთურობასო. მეტად მძიმე წონა ჰქონდა გი-ორგი ბრწყინვალის სიტყვას და გაჭრა მისმა მუქარამ — მტრად მოკიდებული მთიელები შერიგების გუნებაზე დადგნენ.

ქსან-არაგველები რომ შეარიგა, გიორგი ბრწყინვალე ცხაოტელებისა და უამურელების სისხლიან დაპირისპირებაშიც ჩაერია, იქაც ბრძანა თავისი მეფური სი-ტყვა და საქართველოს მთიანეთი საბოლოოდ დააწყნარა, შემდეგ კი სპეციალურად საქართველოს მთიანეთისთვის შეადგინა ქართული სამართლის წიგნი „**ძეგლის დადება**“, რითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფა ისევ საკანონმდებლო ჩარჩო-ში მოაქცია და მშფოთვარე რეგიონში საბოლოოდ განიმტკიცა ძალაუფლება.

„**ძეგლისდება**“ შედგებოდა პრეამბულისა და 46 („მვ“) მუხლისაგან. საოჯახო და სამოქალაქო სამართალს 4 მუხლი ეთმობა, დანარჩენი სისხლის სამართალია. ჩამოთ-



ვლილია სხვადასხვა სახის დანაშაული და მათი შესაბამისი სასჯელი, რომელთაგან აღსანიშნავია: გაძევება, მამულის ჩამორთმევა, ჯარიმა, ბეგარა, გაპარსვა და სხვ. ძეგლისდების 46 მუხლში ჩამოთვლილია შემდეგი სახის დანაშაულებები:

1. მკვლელობა — ერისთავის (მუხ. 1), გამგებლის (მუხ. 2-5), ხევისბერის, მისი ნათესავის ან განაყოფის (მუხ. 6-10), ჰეროვანის, ციხისთავის, დედ-მამისა და მმის (მუხ. 11-15-17);
2. სამხედრო ვალდებულებისათვის („სალაშქრო საქმისათვის“) თავის არიდება (მუხ. 19-20);
3. ცოლის გაშვება და მოტაცება (მუხ. 21-25, 29);
4. ციხის დაქცევა (მუხ. 26);
5. თავდასხმა (მუხ. 28);
6. უარზანგობა (უპატიობა) (მუხ. 30);
7. დაჭრა და ასოთ მიღება (მუხ. 31-39);
8. ასაბიას მოკვლა ან დაჭრა (მუხ. 40);
9. ამიერთ და იმიერთ (ხევის) ერთმანეთთან სამტროდ მიღგომა (მუხ. 42);
10. მეკობრეობა (მუხ. 43-44);
11. ვალი და პროცენტი (მუხ. 46);
12. გაყრა (მუხ. 18);
13. ბეითალმანი ქონება (მუხ. 27);
14. მოხუცი მამისა და შვილის ურთიერთობა (მუხ. 16).

ამათგან სამოქალაქო სამართლს ეხება მხოლოდ ოთხი მუხლი: მე-16, მე-18, 27-ე და 45-ე. დანარჩენი 41 მუხლი კი სისხლის სამართლის დანაშაულებს განიხილავს. აღნიშნული დოკუმენტით „ერისთავის სიკუდილი ვით აროდეს კადრებულა, აგრე ნუმცა იკადრების.“

შურისძიება

ძეგლის დადებით შურისძიება შეიზღუდა, თუმცა სრულად არ აკრძალულა. შურისძიება გარკვეულ შემთხვევაში დანაშაულად არ განიხილებოდა და გამართლებული იყო: მაგალითად, ძეგლისდების მიხედვით, ვისაც ცოლს მოსხაცებდნენ, უფლება ეძლეოდა ერთი წლის განმავლობაში მოტაცებელზე შური ეძია დაწვით, მოტაცებით ან დარბევით (მუხ. 22, 25, 29);

სასამართლოში სამჯერ გამოძახებისა და სამჯერვე უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში პირს უფლება პქონდა თავს დასხმოდა მოპასუხეს (მუხ. 28);

თუკი ვინმეს რამეს მოპარავდნენ, მას ამის შესახებ ხევისძერთან ან გამგებელთან უწდა განეცხადებინა და მოეთხოვა ნივთის უკან დაბრუნება. არ დაბრუნების შემთხვევაში მას შეეძლო ეხმარა ძალა, რაც თავდასხმად არ ჩაითვლებოდა (მუხ. 54). შურისძიება და თვითგასწორება დაშვებული იყო, თუმცა იგი შეზღუდული იყო ერთი მხრივ დროით, მეორე მხრივ ხელისუფლებით. გარდა ამისა, ანგარიშსწორებას პქონდა მხოლოდ პიროვნული ხასიათი და შურისძიება გვარზე არ გადადიოდა, რაც გვაროვნული წყობილების დროს იყო დამახასიათებელი.



პოეტ გიორგი ლეონიძის ისტორიული დრამა „გიორგი ბრწყინვალე”



გიორგი ბრწყინვალეს ძაღლი
ახალციხეში

გამოჩენილი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე თავის ისტორიულ დრამაში „გიორგი ბრწყინვალე” ისტორიული მოვლენებისა და დოკუმენტების საფუძველზე გადმოგვცემს XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მთიანეთში არსებულ მდგომარეობას „ძეგლისდებამდე,” როდესაც ადგილობრივი დიდებულები არ ემორჩილებოდნენ მეფე „გიორგი ბრწყინვალეს.” დიდებულები ერთმანეთთანაც დაუნდობელ ბრძოლებს აწარმოებდნენ.

გიორგი ლეონიძის ისტორიული დრამა „გიორგი ბრწყინვალე“ დაიბეჭდა 1944 წლის 22 ივნისის გაზეთში „ლიტერატურა და რელიგია.“ დრამაში მონაწილეობენ მთიანეთის დიდებულები: შაბურიძე, ქვენიფნეველი, აბულეთისძე, ბაკურციხელი, ძაგანიძე, თექთუმანიძე და სხვა. ისტორიულ დრამაში მეტების სასახლის სეფე დარბაზში გაიმართა დიდებულთა საგანგებო ყრილობა. დიდებულები, რომლებიც არ აღიარებდნენ მეფის ხელისუფლებას, გაუნაწყენებია იმ ფაქტს, რომ გიორგი მეფე აპირებდა მთაში ასკლას წესრიგის დასამყარებლად-დად-დიდებულების დასამორჩილებლად.

დრამაში გარდა მეფის დაუმორჩილებლობისა, გადმოცემულია არაგვისა და ქსნის ერისთავების შაბურიძისა და ქვენიფნეველის დაპირისპირება ჟინვანის (ჟინვალი) მესაკუთრეობაზე. დარბაზში შეკრებილები ეკითხებიან ქვენიფნეველს, მიეღოთ თუ არა მეფე. ქვენიფნეველი ამპარტავნულად პასუხობს, რომ მას მეფისთვის არასოდეს მოუხრია მუხლი და მისთვის სულერთია, ვინ იქნებოდა მეფედ მონჯღრეულ ტახტზე, მხოლოდ ითხოვს მისთვის ჟინვანის დამტკიცებას. დარბაზში დამსწრე შაბურიძე უპირისპირდება ქვენიფნეველს. შაბურიძემ სიამაყით განაცხადა, რომ ის გამორჩეული მეომრის, დიდი შაბურის შთამომავალია და რომ ჟინვალი ჯერ კიდევ თამარ მეფეს უბოძებია მისი წინაპრებისთვის, ქვენიფნეველმა კი ძალით დაიპყრო ჟინვანი მაშინ, როდესაც ის ქვეყნის მტრებს ებრძოდა — თათრებთან ბრძოლაში, იქ დაიღუპა მისი მამა და ბიძა, ხოლო თვითონ კი ტყვედ ჩავარდნილა. შელაპარაკების შემდეგ შაბურიძე და ქვენიფნეველი ხმლებით ერთმანეთს ეკვეთებიან, ხოლო დამსწრენი აშველებენ.

გთავაზობთ ამონარიდს გ. ლეონიძის ისტორიული დრამიდან, რომელშიც გადმოცემულია ქვენიფნეველისა და შაბურიძის ეს დაპირისპირება:



არიშიანი:

„ქვენითნეველო ცამდე ასულო,
რას გამოგვიძჩევ გზა გაგვიჩინე,
შენებრ ხმლიანი ვინდა გამოვა,

ქვენითნეველი:

არვის წინაშე ჩოქი არ ვიცი,
მეფის წინ მუხლი არ მედრეკება!
მაქვს მე ბეჭედი ქართლის მთავარის,
მარტყავს სარტყელი ერისთავისა!
მაქვს საჭურველი, დოთშა და შუბი,
აკლდამა ლარგვისს, ტახტი ქვენითნევს
ქსანი ლიახვი - ორთავ ჩემია!
მიმატეთ ციხე დარიალისა,
ჟინვალს სასახლე, დარბაზთვანი
და მეფედ ვინც გსურთ, ის აირჩიეთ,
და ამ დანჯლეულ ტახტზე დაჯექით

შაბურ შაბურიძე: (გაკვირვებული)

თლოლო! პატარა კაცმა დიდი სიზმარი ნახათ!
ჩემი ჟინვანი, ჩემი მამული
გსურს გამომძალო მთივერაგო?
ლოთის გარეგანო, თავგ ზამზილვარო,
ქარს აუტანისარ!
დარბაზის ერნო, თავნო და ბრძენნო,
მე ვერ ავიტან უპატიობას
გამაბრჭეთ ახლავ, ან და ხმალს დავკრავ,

ქვენითნეველი:

ხმალი სადა გაქვს, მე ვერა ვხედავ,
ან შენი ხმალი სად გაგონილა?

შაბურიძე:

ჩემი ჟინვანი ჩემი სამკვიდრო,
მოუდევარი, მოუსარჩლელი,
დიდი თამარის დამტკიცებული...

ქვენითნეველი:

მე ხმლით ვიშვე... ჩემი სიგელი
ჩემივე ხმალით დამიწერია!





შაბურიძე:

მამაც და ბიძაც თათართ მომიკლეს,
მაშინ იშოვე მეც რომ ტყვედ ვიყავ...

ქვენიფნეგელი:

ჟინვანი ჩემი ნასისხლი არის
ხმლით ნაშობსა არ დაგანებებ!
მაშინ საღ იყავ, ჭკუადამდგართ,
ოვსნი რომ ვხტოვე ჟინვანის ბოლოს.
ცხენი ციხეზე გადავაფრინე
თრმთც ალაგას მომხვდა ისარი
ვერ გამიტეხეს ჯაჭვ-მუზარადი,
შევედ ერწოში და ავათხრე
დავწვი, დავტეხე, გავანადგურე,
მაშინ საღ იყავ როცა ფშაველნი,
მე საარაყე ქვაბში ჩავყარე
და ხევსურები? შეშად უკეთე!
შენი მამული რა არის ჩემთვის?
ერთ გაჭერებად ჩემს ცხენს არ ყოფნის...
თუ გინდ ხმელეთსაც ჩემსკენ მოვიგდებ!
უჩემთდ ქართლში ჩიტიც ვერ ფრინავს,
წარღვნაზე უწინ მთავრად ვყოფილვართ,
და დიდ კეისრებს უმტკიცებივართ,
ჩვენი სახელი ზღვაში გასულა,
მთანი მაღალი გადუფრენია!

შაბურიძე:

მე, დიდ შაბურის დიდ შთამთმავალს,
წელზეგით ხმალი ვერგინ შემომხსნას,
და ვერც ამყაროს ტანძე აბჯარი,
შენ რომ ელავ და ნაპერწკალს ისვრი,
გამოდი ხმალში გიჩვენო ძალი!

ქვენიფნეგელი:

ხვალვე წამოვალ შენზე ლაშქრულად
წინ გადამიდექ, ლომთ ჭაბუკო,
მამულს დაგირბევ ცეცხლს შემთგაყრი,
შენს ვაჟკაცობას მიწაში გავრევ,



შავი კლდის ნამტვრევს წაგაყრი თავზე.

შაბურიძე:

გამოდი ხმალში, სახლმლედ გამოდი.

ქვენიფნეველი:

ჯერ კი გიჯობდა გეთქვა ანდერძი,
ჩამოგელოცნა ყველა საყდარი,
გენთო სანთელი უამი გეწირა,
გექმნა აღაპი პურხორცომრავალი,
რომ ეშმაკების კერძი არ გახდე,
შე ცუნდრუკო და უკაცრაულო!

შაბურიძე:

(დაცინვით) დახარჯეთ ჩემზე პური და ღვინო,
ჩამოარჩიგეთ საქმევ-სანთელი!

ქვენიფნეველი:

გამოდი ხმალში, ომის დრო არის,
ვლეწოთ, ვანჩხორითო ფარი და ხმალი.

შაბურიძე:

(იშიშვლებს ხმალს) დაგჩეხ, ჩაგაგდებ ღორის ნათხარში,
ყორნებს დაგისვავ თავსა და ბოლთს!

(ხმლით შეუტევენ ერთმანეთს და ამ დროს ამ ჩხხუბს ბაკურციხელი და სურა-
მელი გააშველებენ)

აბულეთისძე:

არ იყადრება აქ ხმლის ჭრიახლი,
ბევრია ქართლში გზა საომარი,
იქ გამოსცადეთ თავნი ჭაბუქნო,

ხორნაბუჯელი:

რა დროს შფოთია, ღვთივდიდებულნო,
როცა საერთო განსაცდელში ვართ,
და მოდის მეფე ჩვენს შესამუსრად,
ჩვენი უფლების დასამცირებლად.“

თავი III

უძველესი ისტორიული დოკუმენტები და მოვლენები,
რომელიც შაბურიძეები არაგვის ერისთავებად იხსენიება

3 ირველად **შაბურიძის** გვარი ჩნდება ჯერ კიდევ XIII საუკუნის ბოლოს მონღოლების ბატონობის პერიოდში, როდესაც მეფე დავით VI-ის მმამ, უფლისწულმა ვახტანგმა (შემდგომ მეფე ვახტანგ III) ცოლად მოიყვანა არაგვის ერისთავ **შაბურიძის** ასული.

ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია ის, რომ უფლისწულ ვახტანგს, რომელიც დაიბადა 1257 წელს, ცოლად ჰყავდა არაგვის ერისთავ **შაბურიძის** ასული, შემდგომში დედოფალი საქართველოსი, ჯერ კიდევ გამეფებამდე.

ეს იმას ამტკიცებს, რომ **შაბურიძეები** XIII საუკუნის ბოლოდან და ბუნებრივია „ძეგლისძეების“ მიღების დროსაც 1334-1335 წლებში არაგვის ერისთავები იყვნენ.

მეფე ვახტანგ III და მისი მეუღლის **შაბურიძის** ასულის მოღვაწეობის შესახებ დეტალურად გადმოგცემთ ქვემოთ სპეციალურ თავში.

გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი და გარდაცვლი არაგვის ერისთავ შაბურიძეთა „სულთა მატიანე“

გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე. ტაძრის კომპლექსში შედის სამების გუმბათოვანი ტაძარი (XIV საუკუნის 30 წლები), სამრეკლო (XIV საუკუნის მეორე ნახევარი) და „საბჭეო“ — სათათბირო (XV საუკუნე). ტაძარი მარცხენა მხარეს ნასოფლარ გერგეტის ტერიტორიაზეა აგებული, მდინარე ჩხერის მარჯვენა სანაპიროზე.

საინტერესოა ტაძრის სახელწოდების „გერგეტის“ ეტიმოლოგია: ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, დამპყრობლები ეკლესიამდე ვერ ასულან და ღამის გასათენებლად დაბლობში კარვები გაუშლიათ, დიდი წვიმის შედეგად მდინარე ადიდებულა და ღამით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილან, ერთმანეთს ეძახდნენ „გერ-გეთ, გერგეთ,“ რაც დაახლოებით „ჩქარა წადის“ ნიშნავს. ტაძრის სახელწოდება „გერგეტიც“ ამ მოვლენას უკავშირდება.

გერგეტის სამების ტაძრის გარშემო უზარმაზარი ციცაბო კლდოვანი მთებია, უკან კი გიგანტური მყინვარწვერი. ხუროთმოძღვრული ანსამბლი და მყინვარწვერი ისე შერწყმიან გარემოს, თითქოს ერთმანეთისათვის არიან შექმნილნი. ხშირად სამების ტაძარს ნისლიანი ღრუბლები ფარავს, რის გამოც მას „ხევის პატარძალსაც“ უწოდებენ.

ტაძარს სამხრეთიდან აქვს ერთი კარი, რომელსაც ხალხური გადმოცემით „სამეფოს კარები“ ეწოდებოდა, რადგან ტაძრის აშენებიდან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველი მეფეები სწორედ ამ კარით შედიოდნენ გერგეტის სამებაში და სამეფო გვირგვინს იდგამდნენ, აქ ხდებოდა მათი სამეფო გვირგვინის კურთხევა.

გერგეტის სამება „მცხეთის სამკაულის“ (განძის) სახიზარს (საცავს) წარმოადგნდა, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: მტერთა შემოსევების დროს საქართველოს ეკლესიის საგანძურს სწორედ გერგეტის წმ. სამების ტაძარში ინახავდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „გერგეთს ზეით არის მყინვარის კალთასა ზედა მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნი-



ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, გერგეთის სამახლის ეკლესია

ნოს ჯვარი, შვენიერ ნაშენი, შვენიერ ადგილსო“.

1749 წელს ომანოზ მიტროპოლიტს ნინოს ჯვარი მოსკოვში წაუღია და ბაქარ ბატონიშვილისთვის გადაუცია. ეს სიწმინდე მხოლოდ 1801 წელს დაბრუნდა საქართველოში.

გერგეტის სამება და მასთან არსებული მონასტერი მოხსენიებულია 1392 წლით დათარიღებულ სითარხნის გუჯარში. ამავე გუჯარში გერგეტის სამების მონასტერთან ერთად მოხსენიებულია „ციხე გერგეტაული.“

ტაძრის სამხრეთ კედელზე მიშენებულია მცირე ზომის საბჭო, სადაც იკრიბებოდა ხევის უზუცესთა საბჭო, რომელიც თემის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა. ეს საბჭო XV საუკუნის ბოლოს ან XVI საუკუნის დასაწყისში არის აშენებული. საბჭოში იდგა ქვის გრძელი „სასხდომი ყადები“ და აქ იმართებოდა სათემო ყრილობები, სახალხო სასამართლოები, აქვე ინახებოდა სათემო დროშა - ორყუში. ამ დროშაზე დებდნენ მეთემები ერთგულების ფიცს.

სამების ტაძარში დაცულია ორი ძველი ხატი - „კუბოს კარად“ წოდებული. ეს ხატები ფიცარზეა შესრულებული და ვერცხლის პერანგით არის შემოსილი. ერთს „საავდროს“ უწოდებენ, მეორეს - „სადაროს“. საავდროზე გამოსახულია ხარება, შობა, მირქმა და ნათლისლება. „სადაროზე“ - ჯვარცმა, ყოვლადწმინდა სამება, აღდგომა, თომას გვერდის განხილვა, ლაზარეს აღდგინება და მაცხოვრის იერუსალიმში შესვლა. გვალვაში გერგეტელები საავდრო ხატს ტაძრიდან გამოაბრძანებენ და წყაროს წყალში განბანდნენ, ავდარში კი „სადარო“ გამოჰქონდათ.

სამების ტაძრის გალავანში ჩაშენებულია ძველი სამრეკლო, რომელიც სტილით სამების ეკლესიასთან არის შეხამებული და იმავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.



ხანგრძლივი დროის განმავლობაში აქ ესვენა ქართველი ქრისტიანების ერთ-ერთი უწმინდესი რელიგია – წმინდა ნინოს ჯვარი, რომლის ფლობის პატივს „სვეტიცხოველთან“ და „თბილისის სიონთან“ ერთად „გერგეტის სამებაც“ ინაწილებდა. აქვე, გერგეტში იწერებოდა მატიანე გარდაცვალებულთა „მოსახსენებელი სულთაი,“ – დოკუმენტების კრებული, რომელიც ბევრ საინტერესო ისტორიულ ცნობას შეიცავს.

ისტორიულ წყაროებში კონკრეტულად არ არის ცნობილი გერგეტის სამების ამშენებელი, მაგრამ ის აშენდა XIV საუკუნეში, როდესაც ამ ტერიტორიაზე შაბურიძეები იყვნენ ერისთავები და ამ ტაძარშიც მათი გარდაცვლილთა საგვარეულო სულთა მატიანე ჰქონიათ. აქედან გამომდინარე, ეჭვს გარეშეა, რომ მათ (**შაბურიძეებს** ტაძრის აშენებასთან აუცილებლად კავშირი ექნებოდათ.

შუა საუკუნეების ქართულ სამართალში საკანონმდებლო აქტის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი იხმარებოდა: წიგნი, სიგელი, გუჯარი, ბრძანება, პელი, პიტაკი და ოქმი.

ცნობილმა ისტორიკოსმა და ენათმეცნიერმა თედო ქორდანიამ სახელმწიფო არქივში და ხელთნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უძველესი დოკუმენტები (ხუცურ, ნუსხური და მხედრული დამწერლობით) გადათარგმნა თანამდროვე ქართულ ენაზე და 1897 წელს გამოსცა წიგნებად, რომელსაც უწოდა „ქრონიკები.“ სწორედ ამ წიგნებში არის შეტანილი არაგვის ერისთავ შაბურიძეების მიერ ხელმოწერილი და გამოცემული სხვადასხვა დოკუმენტი, რომლებიც უტყუარად ადასტურებს შაბურიძეების არაგვის ერისთავობას. მათ შორის არის: გერგეტის სამებაში შაბურიძეების ხელმოწერილი სიგელ-გუჯარი და გარდაცვლილ შაბურიძეთა „სულთა მატეანე.“

ერისთავთა მოსახსენებელი *

7 გვ. 1 სული შანშესი და ძმისა მათისა ვახტა-
ნგისი კხლ იყავნ უკუნისამდე.

სული ყოველთა ერისთავთა შაბურის ძე-
თა კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.

5 სული ერისთავთა ერისთვისა
კურპაისა ³ კურთხეულ იყავნ უკუნისამდე ⁴.

სული ერისთავთა ერისთვის ვარამისი
კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.

სული მათისა მეულლისა დაბდახსა კურთხეულ

10 იყავნ უკუნისამდე.

სული ერისთავთა ერისთვისა ვახ-
ტანგისი კურთხეული იყავნ უკუნისამდე.

* ამ გვერდზე მოთავსებული მასალა „მატიანისა წიგნითადი ტექსტის ხე-
ლით დაწერილი, მეფეთა მოსახსენებელს მისდევს.“

³ თ. ქორდანის წაკითხვით: „პურპადსა“. (თ. უ. ქრონიკები. II, გვ. 203).

⁴ ამ სტრიქონის ქვეშოთ ერთი სტრიქონი, დაუწერელად დატოვებული, მოგვიანებით შევ-
სებულია მკრთალი მელნით, მე-16-17 ს. მხედრულით:

„სულ სა დედისა თუ ჩარელისა თავზრ, სა შეუნდნეს ქვაბმან ბეთ-
ლემისამან. ამინ.“



სული ერისთავთა ერისთვისა მიქადსა
 კურთხეულ იყავნ უკუნისამდე. სული დისა მათისა ელენე-
 15. სი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე¹.
 გვ. 1. „[სულსა] [ჩ]ა. ახისა შვილისა იოვანესა შ'ნ ლ'ნ [წმიდა-
 მან] სამე [ბამან]²,
 სულსა [ვმნ] უკისა [მღდელისასა?].
 სული ერისთავთა ერისთვის. ნუგზარისი კურთხეულ იყ'ვ
 უკუნისამდე.
 სული მათის მეულლისა დედისიმედისა
 კხ'ლ იყავ უკუნისამდე.
 5 სული ძეთა მათთაი ლომის და შაბურისი კხ'ლ იყვა³.
 სული ერისთავთა ერისთვისა [ვა]მიყის
 [შ]ვილისა [ო]მარ [ლ]ნ
 სულსა მათისა მეულლისა . . . ო რ მ
 [შა?]ბუ[რ]ან . . .
 10
 მისნა მეულლესა მეფისა ასულის მარიამს შ'ნ ლ'ნ ონ⁵
 სულსა უჯარმელის ძისა თაყიადინისსა შ'ნს ლმერთმან, ამინ.
 სულსა მათისა მეულლისა ვახუშტის ასულისა
 [ნ]ესტანჯარს ცოდვანი მათნი შ'ნს ლმერთმან. ონ. ო.
 15 ძესა მათსა როინს შ'ნს ლ'ნ ონ, ო.
 კურგალის ძისა ასულსა ესნათობს შ'ნს ლ'ნ. ონ.
 სლ'სა ერისთავთა ერისთვისა ნუგზარისსა შ'ნ ლ'ნ.

¹ ამ გვერდზე (7) მოთავსებულ ერისთავთა მოსახსენებელის გარშემო: ზემო, მარჯვენა და ქვემო აშიებზე, გვაქვს მთელი რიგი შეტად რნელად ამოსაკითხავი მინაწერი:

1. ზემო აშიაზე „[პასილსა] შ[ეუნდოს ლ'ნ]“ და მისისა მეულლეს თამარს შეუნდნეს ლმერთმან⁶.

2. მარჯვენაზე: „სულსა ს... რაბელისა სახ | ლისასა შეუნდ | ნენს! წმიდამან სამებამან“. (ამ მზარებელ სხვა მინაწერები ძნელად იყითხება: „მამის იმედსა და მისა“ და სხვ.)

ქვემო აშიაზე, მხედრული ასოებით (გე-15-16 ს. ხელით):

„სულაი საწყალობელისა ამაონისა | სა შეუნდევნი [!]: [დ]ა გა მადელსა | წმიდის სამებისა ვინაცა . . . | [ზალვასა]“.

² ეს პირველი ორი სტრიქონი დაწერილია მეტად მცრავლი უანგისფერი მელნით; გადასული ასოები ძნელად იყითხება. განსაკუთრებით მეორე სიტყვა, რომლის პირველი და მესამე ასო დამაბინჯებულია უცნობი ყალბისმქნელის ხელით. შეუაძლებელია. აქ „ვა ხა ხის შევის ეშეროს, მაგრამ პირველი ასო უფრო ჩ-ს წაგავს.“

³ ეს სამი სტრიქონი დაწერილია ერთი და იძალე ნუსხურით (მე-15—16 ს.), ყავისფერი მელნით.

⁴ ეს ხუთი სტრიქონი გადარეცხილ-გადასულია, დაწერილია ნუსხურით, მურის ფერი ზელნით.

⁵ მეტი ის [ჭიორგის?]. ას ული ის მარიამის მოსახსენებელი დაწერილია შედარებით უფრო წვრილი, ლამაზი [მე-15 ს.] ნუსხურით.

⁶ ეს ხუთი სტრიქონი (12—16) დაწერილია ერთნაირი ხელით (მე-15—16 ს.) სწორი, ჟამაზი ნუსხურით, რომელიც განსხვავდება ზემოთ და ქვემოთ მოთავსებული მინაწერების ხელისაგან.

- სულსა მათისა მეუღლისა გულდაბისსა შ'ნ ლ'ნ.
 სულსა ერისთავთა ერისთვისა შაბურისსა შ'ნ ლ'ნ.
 20 სულსა თოთიაურისა ლალიახვისა შ'ნ ლ'ნ ¹.
 9 გვ. 1 „ქ. თინას და ჩის შეილთა შეუნდნეს ლმერთმან.
 ქ. სულასა[!] მახარებელსა შე[უ]ნდოსა. ამინ.
 ვინცა ვინცა შენდობა [მოგვაძენოს] ².
 სულსა შიდადელის ძეს ბედის მწერლის შვლ
 5 ნათანაელს შ'ნდნეს ლმერთმან. ამინ.
 მოიხსენე, უფალო, მღლუდელი ნათანაილ. ამინ ³.
 სულსა ფისაძის ბარნაბესს შ'ნდნეს ლ'ნ ⁴.
 ქ. უფალო! დაიცვ ორსავე შინა ცხოვრებასა
 სიყვარულისათვის ქართლის მომქუცელი-
 10 სა ნინო მოციქულისათა მონა შენი,
 არაგვის ერისთავი ვამიყ, თანამემცხე-
 ლრე მათი მარიამ; ძე მისი მამუკა,
 თანამემცხედრე მისი მარიამ, ძენი და
 ასულნი მათნი და შეილთა მისთა შო-
 15 რის წარჩინებული ასული მისი ნინა-
 შენად სათნოდ განაგე ორ კერძოვე
 ცხოვრება მათი. ამინ. ამინ. ამინ ⁵.
 11 გვ. 1 „სული ბაიონისა [ბატონისა?] შალვასი
 კურთხეული იყავნ უკუნისამდე.
 მათ[ისა] მეუღლისა ულუმ-
 პიად კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.
 5 დაისა [მ]ათის მასურბეგ
 და მისთა ძმათა დლეგრძელ-
 თა დლეგრძელობა [ითა]
 ცოდვანი მათნი შეუნდვენ ⁶.

- ¹ ეს უკანასკნელი ოთხი სტრიქონი დაწერილია ერთნაირი შელნით, მე-15—
 16 ს. სწორი, ლამაზი ნუსხურით.
 16 ს. სწორი, ლამაზი ნუსხურით.
 ქვემო აშიაშვ, გაუმართავი ხელით, კუთხოვანი (მთავრული?) ასოებით, მიწერილია:
 „შემო აშიაშვ, გაუმართავი ხელით, კუთხოვანი (მთავრული?) ასოებით, მიწერილია:
 „სულსა... ას შეილსა შანუარსა [თუ „ბანუარსა“] შ'ნ ლ'.
 „სულსა უცის შანეილსა ორმისა შ'ნ ლ'ნ | [სულსა] მ[ე]ულლესა [ა]ნა[ს]ა შ'ნ ლ'ნ ა'ნ".
 2 9 გვ. პირველი სამი სტრიქონი დაწერილია მეტად შავი მელნით, მე-17—18 ს. მხედ-
 რული ხელით. შეწევეტილია, დაუმთავრებლად.
 3 მე-17 საუკუნის 60—70 წწ. ცნობილი გადამწერის ნათანაელ ბედისმწერლიშვილის
 შოსახსენებული დაწერილია (შისვე ხელით) შავი მელნით, მესამე სტრიქონი (მე-6), ლამაზი.
 მხედრული, სახელი „ნათანაილ“ — ჩართულად.
 4 ბარნაბე ფისაძის მოსახსენებელიც დაწერილია ნათანაელ ბედისმწერლიშვილის ხელით.
 5 ვამიყ არაგვის ერისთვის სახლის წევრების მოსახსენებელი დაწერილია მკრთალი მელ-
 ნით, გაკრული მხედრული, მომსხვა ასოებით.
 6 ეს რვასტრიქონი მოსახსენებელი დაწერილია შეჩრად, მსხვილი ნუსა-ბუცურით, ყა.

1398 წლის 6 ივლისის მცხოთის გუჯარი №169

არაგვის ერისთავი შაბურიძე იხსენიება 1398 წლის 6 ივლისით დათარიღებულ მცხეთის ეკლესიისათვის ბოძებულ მხედრულად შესრულებულ წყალობის წიგნის სიგლ-გუჯარში.

დოკუმენტი გვამცნობს, რომ ამირთ-ამირამ, სუნდულისძემ, ლომმა და მისმა მმისწულმა — ლაჩინამ, მცხეთას შესწირეს გორს აქუბაშვილისაგან ნაყიდი ზვარი და საყდარს შემოავლეს სპონდიო (მდინარის ქვის მესერი). საბუთის მოწმეთა შორის ერისთავი მიქაი შაბურიძეც იხსენიება:

„..მე ამირთ ამირამან სუნდულისძემან ლომმან და ჩემმა მმისწულმა ლაჩინამა (შემოვსწირე მცხეთას) გორს ჩუენი მკუიდრი ნასყიდი აქუბაშვილისაგან ზუარი მისითა სამართლიანითა მზღურითა ... საწნეხელითა ... და შემოვავლე საყდარსა თქუენსა სპონდიო და ჰქონდეს (მცხეთას) ესე ჩემ მიერ შეწირული ... და აპა კ~ზო გ~გი (გიორგი) ... ქრისტეშობის დღეს ... უნაკლულოსა აღაპსა გარდაიხდიდით ... (და შემდგომად სხვა კათალიკოზებიც გარდამიხდიდენ) ... დაიწერა ... ქორონიკონს :პვ: (1398 წ.), ივლისსა :ვ: (6). ხელითა სეფის მწიგნობრისა ბასილაშვილის იოსებისითა.“

„მე ქვენიფნეველი ერისთავი ვირშელ — ამისი მოწამე ვარ.“

„ მე ერისთავი შაბურიძე მიქაი მოწამე ვარ.“

„... აქიმეს ძე ქავთარ მოწამე ...“

„ მე ირაკლი ...“

„... მე ნასიძე გიორგი ...“

„ მე დოლლისძე ანინიკი ...“¹

მკალეგარი და ისტორიკოსი თედო ქორდანია ზემოთ აღნიშნულ მცხეთის სიგელ-გუჯარში მოხსენებულ ერისთავ მიქაი შაბურიძის შესახებ შენიშნავს: „ჩვენმა ისტორიამ არ იცის, ვინ არის მიქაი შაბურიძე ერისთავი, მაგრამ ჩვენგან პოკნილს ტყავზე 1439 წელს დაწერილს გერგეტის სამების „სულთა მატიანეში“ (შემწირველთა მოსახსენებლების კრებული) მოხსენებულნი არიან შაბურიძე ერისთავები, რომლებიც ყოფილან არაგვის საერისთავოს გამგენი. ამ მატიანეს „ერითავთა მოსახსენებელში“ მოხსენებულია გარდაცვლილი შაბურიძეები:

„სული შანშესი და მმისა მათისა ვახტანგისი კურთხეულმან იყავნ უგუნისადმე.“

„სული ყოველთა ერისთავთა შაბურისძეთა კ~ლ იყავ უკ~ე.“

„ სული ერისთავთ-ერისთავისა ჭუჭაისა კ~ხლ იყავნ უკ~ე.“

„სული ერისთავთ-ერისთავისა ვარამისი კ~ხლ იყავნ უკ~ე სულისა მათისა მეუღლისა დაბდაისა კ~ხლ იყავნ უკ~ე.“

„სული ერისთავთ-ერისთავისა ვახტანგისი კ~ხლ იყავნ უკ~ე.“

„ სული ერისთავთ-ერისთავისა მიქაისი კ~ხლ იყავნ უკ~ე. — სულისა დისა მათისა ელენესი კ~ხლ იყავნ უ~კ~ე.“

გერგეტის სამების „სულთა მატიანეზე“ აგრეთვე ხუცური დამწერლობით ყო-

1. თედო ქორდანია, „ქრონიკები.“ 1897 წ. ტ. 2. გვ. 202-203, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საბუთი №1652

გამოცემა კუსტონი ივანეს ძის მუზეუმ-ბატონისა.

ქ რ თ ნ ი პ ე ბ ი

ჭ

სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,

შეკრებილი, ქრონიკოგრაფიული დაწყობილი და ასწოლი

თ. შორდანიას-ზევე

წ ი გ ნ ი მ ე რ დ ე

(1213 წლიდამ 1700 წლამდე).

ვეძღვნი ძვრების სახსოვანს ნინო სამეგრელოს
მთავრის ლევან დადიანის ასულისას და ივანე კას-
ტანტინეს ძის მუზეუმ-ბატონის მეულლისას.



ფოლიისი,

ტბამბა მ. ვარაძისა და ამბ., ნიკ. ქ. № 21.

Типография M. Шарадзе и К°. Ник. ქ. № 21.

1897

თედო სახოვიას „ქრონიკის“ თავფურცელი

ნის ისტორიაში უცნობ ერისთავთა შაბურის ძეთა...“

1399-1419 წლებში, ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ელიოზის დაწერილა არაგვის ერისთავ ნუგზარ შაბურიძის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრისათვის ბოძებული ორი შეწირულობის წიგნი.

ერისთავმა ნუგზარ შაბურიძემ ამ შეწირულობის წიგნებით სვეტიცხოვლის ეკლესიას შესწირა სოფელი ატენი (გორის რაიონი) და ვენახი.

შაბურიძების არაგვის ერისთავობას ადასტურებს მათ მიერ შეწირული მრავალი წყალობის წიგნები (სიგელ-გუჯარი), რაც ქვევით თავებში დეტალურად არის განხილული.

ფილა დატანილი, ჟორდანიას თქმით, შედარებით უფრო აღრინდელი მინაწერი:

„სული ერისთავთ ერისთავისა ნუგზარისი კბლი იყავნ უკე.“

„სული მათისა მეუღლისა დედი-იმედისი კბლი იყავნ უკე.“

„სული ძეთა მათთა ლომისი და შაბურისი კბლი იყავნ უკე.“

იქვე, 22-ე გვერდზე, უკანასკნელი წარწერა გამეორებულია მთლიანად და მიმატებულია სხვა ხელით:

„სული ერისთავთ-ერისთავისა ვამიყისი (მისისა) შვილისა ომარისი შე“ნლ“ნა“ნ.“

ისტორიკოსი თ. ჟორდანია აქვე აღნიშნავს, რომ „ამნაირად ჩვენი „სულთა მატიანე“ არა თუ განმარტავს, ვინ არის ერისთავთ-ერისთავი მიქაი შაბურიძე, არამედ მთელს შტოსაც გვაძლევს XIV-XV საუკუ-

1. თედო ჟორდანია, „ქრონიკები“, 1897 წ. ტ. II. გვ. 203. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ — 1085

თავი IV

შაბურიძენი არაგვის სამრისთავოს პირველი ერისთავები (XIII-XV ს)

თავისუფალი ენციკლოპედია (ვიკიპედია) და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გვერდი შაბურიძენის შესახებ

¶ აბურიძეები არაგვის უპირველესი, ძველი და ცნობილი ერისთავები იყვნენ, რა-საც ქართველი ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ:

„ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, არაგვის დღემდე ცნობილ ერისთავთა გვარებს შორის ყველაზე ძველია **შაბურიძე**.¹“

ასევე „არაგვის საერისთავოს პირველი ერისთავები იყვნენ **შაბურიძენი**.²“

„1669 წლის წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელში, **შაბურიშვილები** მოხსე-ნიებულნი არიან რა საშაბუროს (ბაზალეთშია) მკვიდრებად: „არაგვის ერისთავი არა-ვინ ყოფილა იმის მოქცევაში, თვინიერ შაბურიშვილის მეტი. იმას ჭერია დაბალი საერი-სთაო“ (ქს 1965-559).

ამრიგად, ამ ღოკუმენტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ **შაბურიშვილები** არაგვის საერისთავოს, უფრო სწორედ, „დაბალი საერისთაოს“ (არაგვის ხეობის დაბლობის ნაწ-ილის) ერისთავები იყვნენ.

შაბურიშვილთა წინაპარი შაბურიძეები რომ არაგვის ხეობის ბარის ნაწილის ერი-სთავები იყვნენ, ეს ნათლადაა ნაჩვენები დ. გვრიტიშვილის ნაშრომებში.³

ინფორმაცია **შაბურიძეების** (**შაბურიშვილების**) როგორც არაგვის ერისთავებისა და უძველესი ისტორიული გვარის შესახებ, მოცემულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედია-ში და ქართულ და რუსულენოვან თავისუფალ ენციკლოპედიებში (ვიკიპედია):

ქართულენოვანი ვიკიპედია და ქართული საბჭოთა ენციკლოპედია:

„...შაბურისძენი, ქართლის მთიანეთის წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო XIII – XV საუკუნეებში. ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს ეყრდნობა ერისთავთ-ერისთავის ხელი.“ გვარის სახელწოდება წარმოიქმნა საკუთარი სახელიდან „**შაბური**.“ **შაბურისძე-ნი** პირველად ქართლის ცხოვრებაში იხსენიება XIII საუკუნის მიწურულის ამბებთან დაკავშირებით. გამოთქმულია მოსაზრება, (დ.გვრიტიშვილი) რომ ამ პერიოდში და შესა-ძლოა XII საუკუნეშიც, **შაბურისძენი** არაგვის ერისთავები იყვნენ.

ერისთავებად **შაბურისძენი** იხსენიებიან XIV საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუ-ნის წყაროებში: 1398 წელს მცხეთის საყდრისადმი მიცემულ შეწირულობის ღოკუმენტს ამოწმებს ერისთავი **შაბურიძე მიქა**. გერგეტის სამების ტაძრის (ახლანდელი ყაზბეგის რ-ნი) სულთა მატიანეში შემორჩენილია XV საუკუნის მოსახსენებლები **შაბურისძენი-სა** – ერისთავთ-ერისთავების: ჭუჭას, ვარამის, ვახტანგის, მიქას (და მისი დის ელენე), ნუგზარის (მისი მეუღლის დედისიმედის და შვილების ლომისის და **შაბურის**), ვამიყის (და მისი ძის ომარისა).

1. ჯ.გვსალია., „საქ.ისტორიულ გეოგრაფიული ნარკევები.“ თბ. 1983 წ. გვ. 79

2. დ. გვრიტიშვილი, „ფეოდალური საქართველოს სოციალური უთიერთობის ისტორიიდან“. 1955წ. გვ. 19

3. რ. თოფჩიშვილი, „საქართველოს თავად აზნაურთა ისტორიაში“ 2021 წ. გვ. 395



1465 წლის დოკუმენტით, საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს თავისი ასული მიუთხოვებია გამიყ შაბურიძის ვაჟისათვის. 1474 წლის დოკუმენტის ცნობით, ვამიყ შაბურისძემ ბოდორნის მონასტერს (დუშეთის რაიონი) შესწირა თავისი მკვიდრი მამული — სოფელი ხანდაკი.

შაბურიძეთა რეზიდენცია, როგორც ჩანს, იყო სოფელი საშაბურო (დუშეთის რაიონი), ხოლო საგვარეულო მონასტერი და სამარხი — ბოდორნა. შაბურისძეთა საერისთავო ტერიტორიულად დაახლოებით მსგავსია XVII – XVIII საუკუნეების არაგვის საერისთავოსი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (დ. გვრიტიშვილი), რომ შაბურისძეთა საერისთავო მოიცავდა არაგვის ხეობის დაბლობ ნაწილს და ვანათელმა აზნაურებმა გააერთიანეს ის ხევის საერისთავოსთან, რომლის ცენტრიც იყო სიონი. ასე წარმოიქმნა გვიანდელი არაგვის საერისთავო, რომლის ერისთავები იყვნენ უკვე არა შაბურისძენი, არამედ ვანათიდან გადმოსული აზნაურები, შესაძლოა წარმოშობით ოსები — სიდამონიძეები. XV საუკუნის შემდეგ შაბურისძეები აღარ იხსენიებიან ისტორიულ წყაროებში. საფიქრებელია, რომ XVII–XVIII საუკუნეებშიც არაგვის ერისთავები შაბურისძეთა შთამომავლები იყვნენ: ამას ადასტურებს საერთო საგვარეულო სახელები: ნუგზარი, შალური, ლომი და სხვა, აგრეთვე საერთო საგამგებლო „ქვეყანა“ (ტერიტორია), საგვარეულო მონასტერი, რეზიდენცია (დუშეთი, ბაზალეთი, საშაბურო). რაც შეეხება ნარატიულ წყაროებს არაგვის ერისთავთა ვანათელი აზნაურისაგან წარმომავლობაზე, მათ ოსობაზე და სიდამონიძეობაზე (ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, იოანე ბატონიშვილი, ვახტანგ ბატონიშვილი), უნდა ვითქიქროთ, რომ იგი ხარკს უხდის შუა საუკუნეების ტრადიციას — წარჩინებული პირების უცხოური წარმომავლობისად გამოცხადებას.

XVII – XVIII საუკუნეებში მოხსენიებული აზნაური შაბურიშვილები (მათი ნაწილი საშაბუროში ცხოვრობდა, ნაწილი სახასო აზნაურებს შეადგენდა, ხოლო ნაწილი ჯამბაკურ-ორბელიანის აზნაურებს), ერისთავ შაბურისძეთა საგვარეულო შთამომავლობას წარმოადგენდა, ძირითადმა შტომ კი დაკარგა ძევლი საგვარეულო სახელწოდება და XVI – XVII საუკუნეებიდან არაგვის ერისთავად იწოდა.¹

საქართველოს პარლამენტის ეროვნული პიპლიოთეპის (გიგლიოოვიპი) გვერდზე „არაგვის ერისთავი“ მოცველულია ინვორმაცია არაგვის ერისთავ შაბურიძეების შესახებ:

„არაგვის ერისთავი — არაგვის საერისთავო დაახლოებით XIV ს-ის შუა ხანებში წარმოიქმნა, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, არაგვის საერისთავოს ფარგლებში მოქცეული იყო ტერიტორია „ზედაზნიდან დარიალამდე“, იგი მოიცავდა არაგვის ხეობისა და ხევის არაგვის (მერმინდელი თერგის) ხეობებს, რომელთა შორის არის ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი, თრუსო, ხადა-ცხავატი (მთიულეთი). დასავლეთით არაგვის საერისთვოს ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავო, სამხრეთით-სამუხრანბატონო, აღმოსავლეთით საზღვარი მდინარე არაგვზე გადიოდა.

XVI ს-დან, როცა არაგვის საერითავო სათავადოდ იქცა, მისი ტერიტორია ქსნის ხევთან და მუხრანთან ერთად შედიოდა მესამე (მუხრანბატონის) სადროშოში.

საერისთავოს ცენტრს ბაზალეთ-არაგვისპირის პლატო წარმოადგენდა, რომელიც სტრატეგიულად მოხერხებული ადგილი იყო თავდაცვითი სისტემის მოწყობისათვის.

დოკუმენტური წყაროების მიხედვით, არაგვის პირველი ერისთავები შაბურისძეები ყოფილან.

1. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.“ თბილისი, 1986 წ. გვ. 668. <http://ka.wikipedia.org/wiki/შაბურიძე>, თვისუფალი ქართულენვანი ენციკლოპედია



XIII ს-ის მიწურულს ეს საგვარეულო იმდენად ანაგარიშგასაწევი ძალა გამხდარა, რომ უფლისწულ ვახტანგ III-ის (1298-1308) დაქორწინება **შაბურისძის** ასულზე მისი მმის, არაგვის ხეობაში მონღოლთაგან განრიდებული მეფე დავით VIII-ის შეშფოთების მიზეზი გამხდარა (ჟამთააღმწერელი).

ცხადია, ეს ცნობა მიანიშნებს **შაბურისძეთა** მნიშვნელოვან სამხედრო პოტენციალზე.

წყაროებში ნათელი არ არის არაგვის ერისთავის მიმართება ქართლის ერისთავებთან, იყო იგი ქართლის ერისთავის ქვემდებარე მოხელე, თუ მისგან დამოუკიდებელი სამხარეო მმართველი. ბუნდოვანება ამ საკითხში გამოიწვია ქართლის ერისთავთა საგვარეულო სახელის, „სურამელის“ მოხსენიებამ არაგვის ერისთვებად გიორგი VII-ის 1403 წელს საბრძოლო მოქმედებების დროს დვალთა წინააღმდეგ გამოცემულ ძეგლისდება ერისთავთაში. სხვა მოსაზრებით, პირის სახელი „სურამელი“ ამ პერიოდისათვის უკვე გავრცელებული იყო სხვა ფეოდალურ საგვარეულოთა ოჯახებშიც და, ამდენად, არ გამოდება ამ ორ საერისთავოს (ქართლი, არაგვი) შორის შიდა ადმინისტრაციული დაქვემდებარების დასაბუთებისათვის (მ. ბახტაძე).

ერისთავ **შაბურისძეთა** რეზიდენცია მდებარეობდა ბაზალეთ-დუშეთში, რომლის ნაკვალევი შენახულია გვიანდელ საშაბუროში.

შაბურისძეთა საგვარეულო მონასტერი და საძვალე ყოფილა ბოდორნა, რომელსაც 1474 წ. არაგვის ერისთავმა ვამიყ **შაბურისძემ** შესწირა სოფელი ხანდაკი. არაგვის ერისთავ **შაბურისძეთა** ფეოდალური სახლის შესახებ საინტერესო გენეალოგიური ცნობებია შემონახული XIV-XV სს-ების ძეგლებში — „გერგეტის სულთა მატიანესა“ და შაბურისძეთა შეწირულების საბუთებში. „გერგეტის სულთა მატიანიდან“ ისიც ირკვევა, რომ XV ს-ში შაბურისძეებს მჭიდრო ნათესაური და პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ სამცხის მმართველ ჯაფელთა სახლთან და ადგილობრივ დიდებულებთან.

ამავე კავშირის არსებობაზე მეტყველებს სამცხეში მდებარე პატარა სმადას ეკლესი-ის 1467 წ. წარწერაც, რომელიც ადასტურებს ამ მხარეში არაგვის ერისთავ **შაბურისძის** ქტიორულ (ამშენებლურ) საქმიანობას. როგორც ჩანს, **შაბურისძეები** აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ XV ს-ის საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში.

ცნობილია, რომ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II (1451-1498) **შაბურისძეთა** დახმარებით შეეცადა თავისი შვილიშვილისა და გიორგი VIII-ის უმცროსი ძის, ვახტანგის აყვანას სამეფო ტახტზე (ქ. შარაშიძე).

XVI ს-ის 20-იანი წლებიდან მკვეთრად იცვლება **შაბურისძეთა** ფეოდალური სახლის — ერისთავების დინასტიური სახელები. ამ დროს არაგვის ერისთვებია ბაინდური, ხოლო მისი ძმები: ზურაბ, გოდერძი, ბარიმ, გოსტასაბ და როსტომ.

საფიქრებელია, რომ არაგვის ერისთავებს ამ დროისათვის უკვე ჰქონდათ გადატანილი პირველი დინასტიური ცვლილება. არსებობს ვარაუდი, რომ არაგვის ერისთავ **შაბურისძეთა** სახლი სამცხის ათაბაგებთან პოლიტიკურ ალიანსს უნდა შეწირვოდა (მ. ბახტაძე). არაგვის ერისთავთა დინასტიურ ცვლილებებზე მიანიშნებენ უფრო გვიანდელი წყაროებიც (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი, იოანე ბატონიშვილი), მაგრამ მათი ვერსიები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია.

ვახუშტი ბატონიშვილი არაგვის ერისთავთა წინაპრად ასახელებს ვანათელ აზნაურს, რომელსაც სვიმონ მეფის ტყვეობის დროს ამოუწყვეტია ძველ ერისთავთა ოჯახი და ხელო უგდია ბაზალეთი.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით კი, ვანათელი აზნაურები სიდამონიძეები ყოფილან, რომელთაც დაუპყრიათ ბაზალეთი.



ბატონიშვილებისაგან განსხვავებულია ბერი ეგნატაშვილის ვერსია — XVI ს-ში არაგვის ერისთავთა წინაპრებს ხევის მფლობელი თექთურმანიძეები გაუნადგურებიათ, რის შემდეგაც მეფისაგან მიუღიათ მთიულეთი, ხადა, ანანური და დუშეთი. მაგრამ XVI ს-ის არაგვის ერისთავები უკვე ძალზე დაშორებული იყვნენ თავიანთ პოლიტიკურ წინაპრებს — ისინი უკვე დიდი და გავლენიანი თავადები იყვნენ, რომელთაც მეფის წინაშე სამოხელეო ვალდებულებები მოხსნილი ჰქონდათ.¹⁴

რუსულენოვანი ვიკიპედია

"Шабуришвили/Шабуридзе (груз. SaburiSvili) (рус. Шабуровы) — древний грузинский дворянский род. Были азнаурами в Арагвском эриставстве. После вхождения Восточной Грузии в состав Российской империи записаны в дворянскую книгу Тифлисской губернии.

Согласно Иоанну Баграотиони: «этот род происходит из местности Шабурэн в Дарубанде. Кто-то из представителей этого рода жил в Нахичевани. И уже из Нахичевани переселился в Грузию. Царь Георгий захватил Нахичевань и некто бег Шабуришвили с царем отправился в Грузию. Было это в 1150 году. Они поселились в Арагвской области и получили дворянское звание». Однако, скорее всего, в этом сообщении сохранились отголоски взятия грузинским царём Георгием III города Ани, которым правили эмиры из династии Шеддадидов. В истории Грузии есть упоминание об этом событии. После взятия царем Ани в 60-е годы XII века царь пленил и взял с собою в Грузию одного из «мусульманских принцев» и тот «более от царя не отлучался». Отцом или дедом пленного принца возможно был известный по арабским, персидским, армянским и грузинским источникам Абу Асвар Шавур II, сын Мануче, из династии Шеддадидов. Эту точку зрения поддерживал шотландский историк W.E.D. Allen, который на протяжении многих лет занимался изучением грузинской истории. Как видно одним из личных имён эмира было Шабур. От него по всей видимости и происходят Шабуришвили (сын Шавура). Династия Шеддадидов, как считал В. Ф. Минорский курдского происхождения. Однако правильнее считать их дейлемитами, поскольку основатель династии Мухаммед ибн Шеддад ибн Куртак (жил в первой половине X века, впервые уп. в 931 г.) был «знатным князем» и происходил из Дейлема (область в Северном Иране, горный Гилян). В XIII—XV веках семья Шабуридзе (вариант Шабуришвили) была очень могущественной и занимала положение Арагвских эриставов — правителей Арагвского ущелья. Об этом свидетельствует упоминание этого рода в приписках к Евангелию XIII века, в которых упоминаются несколько представителей рода Шабуридзе (изданы Т. Жордания). В конце XIII века, анонимный грузинский историк пишет о времени междуусобиц и двоецарствия: «Давиду следовало опасаться Вахтанга, поскольку взял себе в жёны Вахтанг дочь Шабуридзе». Имеются в виду грузинские цари Вахтанг III и Давид VIII. Жена Вахтанга известна также по одной из поминальных записей в синодике Крестного монастыря в Иерусалиме. По мнению грузинского историка Н. Шошиашвили князья Эристави-арагвские ветви Шабуридзе.

1. <https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/არაგვის-ერისთავი>

В конце XVII века представители этого рода с грузинским царём Вахтангом VI переселились в Россию. Их потомки назывались дворянами Шабуровыми и были признаны в дворянском достоинстве по Московской губернии.¹

2021 წელს გამოიცა ოთოფჩიშვილის წიგნი „თავად აზნაურთა გვარის ისტორია,“ რომელშიც ვრცლად არის გადმოცემული მრავალი ინფორმაცია **შაბურიშვილების** შესახებ:

შაბურიშვილი — „შაბურიშვილები სახასო აზნაურები და თავად ორბელიანების აზნაურები იყვნენ (ქსძ 1965-485,490). სამეფო აზნაურებად ისინი 1743 წელს, არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ იქცნენ. იქამდე **შაბურიშვილები** არაგვის ერისთავთა აზნაურები იყვნენ (გვრიტიშვილი 1955:241), იოანე ბაგრატიონი (1997:48) **შაბურიშვილების** შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „ამათ ადგილისა გაუკარდათ სახელი ესე. ხოლო ამათგანი წინაპარნი ესახლნენ პირველ დარუბანდის ნაწილსა შინა **შაბურად** წოდებულსა და სახლისკაცინცა მათნი რომელიმე ესახლნენ ნახევანის მხარესა ხეობასა შინა **შაბურისანსა** და ოდეს მეფემან გიორგიმ ბრძოლით დაიპყრა დარუბანდი და მისნი კერძონი წელსა 1150, მაშინ **შაბურელი** ვინძე ბეგი მოვიდა მეფესთან: იგიცა და სხვანიცა უნგბურნი წარჩინებულნი გვარი გადმოასახლა და დასხა სხვათა და სხვათა ადგილთა შინა და ესე **შაბურისანი** დასახლა არაგვსა ზედა და დაშთენ მუნ ჟამიდან პირველ აზნაურად გვარნი მათნი“.

1669 წლის წილკნის ღვთისმმობლის სამწესოს სიგელში, **შაბურიშვილები** მოხსენიებულნი არიან რა საშაბუროს (ბაზალეთშია) მკვიდრებად, სადაც ვკითხულობთ:

„არაგვის ერისთავი არაგინ ყოფილა იმის მოქცევაში, თვინიერ **შაბურიშვილის** მეტი. იმას ჭერია დაბალი საერისთაო“.² ამრიგად, ამ დოკუმენტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ არაგვის საერისთავოს, უფრო სწორედ, „დაბალი საერისთაოს“ (არაგვის ხეობის დაბლობის ნაწილის) ერისთავები იყვნენ **შაბურიშვილები**. **შაბურიშვილთა** წინაპარი **შაბურიძეები** რომ არაგვის ხეობის ბარის ნაწილის ერისთავები იყვნენ, ეს ნათლადაა ნაჩვენები დ. გვრიტიშვილის ნაშრომებში.

1398 წლის სიგელში ვკითხულობთ:

„მე, ერისთავი **შაბურიძე მიქაი მოწმე ვარ“.³**

1399-1419 წლების ღოკუმენტით ერისთავად **ნუგზარ შაბურიძე** ყოფილა.⁴

ერისთავი **შაბურიძენი** მოხსენიებულნი 1439 წლის გერგეტის სამების „სულთა მატიანეში“.

1465 წელს გიორგი მერვემ თავისი ასული ვამიყ **შაბურიძის** ვაჟს მიათხოვა. ეს ქორწინება კანონიერი არ ყოფილა. ამიტომ, გიორგი მეფის ნებართვით, ვამიყ **შაბურიძემ** საკანონო შესაწირავი მიართვა სვეტიცხოველს: „ჩვენ **შაბურიძეთა**, ერისთავმან ვამიყ და სარო და ძეთა ჩვენთა გ~გი~ ომარ. მიქამა, ვარამ და ნუგზარ.... ოდეს ჩვეუნად უღირსად დიდად და საპატიოდ შეგვიწყალეს პატრონმან მეფეთა გ~გი~ და მათი ასული ჩვენისა შვილისათვის გვიბოძეს და მოგუცეს.“⁵

1474 წელს კი ბოდორნის მონასტრისათვის ერისთავთ-ერისთავს ვამიყ **შაბურიძეს** გუჯარით სოფელი ხანდაკი მიუცია. იმავე საბუთით ირკვევა, რომ **შაბურიძეების** საგვარეულო საძვალე ყოფილა ბოდორნა.

შაბურისძეების არაგვის დაბალ (ბარში) საერთავოში ერისთავობა XVI საუკუნის დასაწყისიდან დასრულდა, როდესაც საშინაო და საგარეო პოლიტიკით ისარგებლეს პატარა

1. <https://ru.wikipedia.org/wiki/Шабуришвили>

2. ქსძ 1965-559

3. ქორდანია 1892:203

4. პალ. 1993:297

5. კაკაბაძე 1913:17



ლიახვის ხეობის სოფელ ვანათში მცხოვრებმა აზნაურებმა სიღამონისძეებმა, ძალით ჩაიგდეს ხელში როგორც არაგვის დაბალი, ისე მაღალი საერისთავოების ერისთავები (შესაბამისად, შაბურიძეები და ოქტოუმანიძეები).

ამის შემდეგ დამარცხებული ერისთავი შაბურიძეები არაგვის ახალი ერისთავების ჩვეულებრივ აზნაურებად იქცევიან.

XVIII საუკუნის დასაწყისის აღწერაში „შაბურიშვილი ნიკოლოზ აზნაურიშვილი“ უალეთშია აღრიცხული¹.

1720 წლის ნასყიდობის წიგნის ერთ-ერთი მოწმეა იორამ შაბურიშვილი,² 1744-1750 წლებისა — იოთამ შაბურიშვილი.³

1743 წელს წელს არაგველებმა ერისთავი მოკლეს, საერისთავო კი თეიმურაზ II-ემ დაიჭირა. თეიმურაზ მეფისათვის ამ ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწევიათ შაბურიშვილებს, რის გამოც 1743 წელსვე თეიმურაზ მეფემ ბეჟან შაბურიშვილს წყალობის წიგნი მისცა.

1771 წლის არზაში ვკითხულობთ: „ბოდორმას არის ორი კომლი ზეიკიძე იორდანე და მისი სახლიკაცი შაბურიშვილის გლახას ხელთ არიან“.⁴ 1775 წელს შაბურიშვილები ერთ-მანეთს გაყრიან.⁵

1781 წლის არაგვის ხეობის აღწერით საშაბუროში შაბურიშვილები შვიდ კომლად ცხოვრობდნენ. აღწერაში მოხსენიებული არიან: ქაიხოსრო, ბეჟან, ბარამ, რამაზ, დავით, გიორგი, იოტამ, ივანე, ფირან, იოსებ, ზაზა, ფარსალან, ოტარის ობოლი გლახა შაბურიშვილები.⁶

ფირანი 1782 და 1788 წლების განჩინებით მოურავი და იასაული ყოფილა.⁷ ამავე აღწერით არაგვის ხეობის სოფელ ახალციხეში აღრიცხულია „ფირან შაბურიშვილის ქმა⁸ შაბურიშვილებს ეჭირათ ხანდოსა და სხვა სამოურავოები და ბოქაულთუხუცესის თანამდებობა.

XVIII საუკუნის დასაწყისის კახეთის სოფელ მატნის აღწერაში დასახლებულია „შაბური შერმაზან“.⁹ ამ პირვენების აზნაურობის შესახებ არაფერია ნათქვამი. ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გვარის თავდაპირველი ფორმა სწორედ „შაბური“ იყო. ამას შაბურიძე-შაბურიშვილთა სოფლის სახელი „საშაბუროც“ ადასტურებს.

1873 წლის საარქივო მონაცემებით, შაბურიშვილებს ქმა-მამულის მფლობელობა ჰქონდათ ბაგაში, საშაბუროსა და ყარსიმანთკარში.

შაბურიშვილები საეკლესიო მოღვაწეებიც ყოფილან, მაგალითად 1344 წლის დაწერილით მცხეთის აბრამ შაბურიძე მცხეთის მოძღვარი ყოფილა.¹⁰ აღრეულ საუკუნეებში შაბურიძეები ეკლესიას ხშირად მამულებსაც სწირავდნენ.¹¹

ჩვენი ვარაუდით ამ შაბურიძე, შაბურების შთამომავალი უნდა იყვნენ მოხევე შადურები.¹²

1. ჯავახიშვილი 1967:47

2. დოკუმენტები 1940:187

3. დოკუმენტები 1940:411

4. ქსდ 1981:174

5. ქსდ 1972:670

6. ჯავახიშვილი 1967:130-131

7. სს 1910.201,509

8. ჯავახიშვილი 1967:144

9. ჯავახიშვილი 1967:70

10. პალ. 2015. 93

11. სვეტიცხოვლისათვის-1494 წელს, ატენსათვის - 1399-1465 წლებში, ბოდორნისათვის-1494 წელს

12. რ. ოფეზიშვილი. საქ. თავად აზნაურთა გვარის ისტორია. 2021 წ.

თავი V

შაბურიშვილების (შაბურიძეების) საგვარეულო ტარმომავლობა

აქართველოში შაბურიშვილის გარდა, დერივატული (მსგავსფუძიანი) ფორმის „შაბურ“ — ძირიანი გვარ-სახელები არ გვხვდება¹.

შაბურიშვილების გვარის წარმომავლობის შესახებ არსებობს სამი განსხვავებული ვერსია:

1. გვარის ტარმომავლობა საკუთარი სახელი შაბურიდან

საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედია და ქართულენოვანი თავისუფალი ენციკლოპედია მიიჩნევს, რომ საკუთარი სახელიდან — შაბურიდან წარმოიქმნა გვარის სახელწოდება შაბურიშვილი:

„გვარის სახელწოდება წარმოიქმნა საკუთარი სახელიდან „შაბური.“²

„ქართული გვარ-სახელების“ წიგნის ავტორი ი. მაისურაძეც მიიჩნევს, რომ შაბურიშვილების გვარი წარმოიშვა საკუთარი სახელიდან „შაბური.“³

ზეპირსიტყვიერებიდან დღემდე შემორჩენილია მოსაზრება, რომ შაბურიძეების წინაპრები მოხევები ყოფილან: „ჩეენ მოხევეები ვართ. ეგრე იტყვიან ხოლმე ჩვენი მამა-პაპა. ყოფილა ერთი მაგარი კაცი. აქ ბოდორნასთან სადმე მომხდარა ბრძოლა. მაგრა უომია იმ კაცს. შაბური ყოფილა. მეფეს მამულები მიუცია ბაზალეთში. აქ დასახლებულა და შაბურიშვილის გვარი მიუღია. ბავაში შაბურიშვილები ოც კომლამდე ვიქებით. ჩვენი გვარის კაცი სხვაგან არსად მინახავს. ძირითადად საშაბუროს ფარგლებში ვართ — ნაგლიანი, ბაგა და საშაბურო საერთოდ საშაბურო იყო წინათ“ — აღნიშნავს აკაკი სოლომონის ძე შაბურიშვილი, 47 წლის, 1977 წ⁴.

პოეტი ბესიკ გაბაშვილი თავის ლექსში („ან-ზე სით მოხვალ“) აღწერს ქართველ მეომარს, სახელად შაბურს:

„ თავ ქვისა მხლები,
შაბურ შემძლები,
აწ გითხრა რები?
შილმის მშვილდ-მთლები,
ისრად შქერ მთნები,
თუ ვნახენ მტრები,
მით შევეყრები;
შვლის შუბლად მსრები,
განმასისრები,
სახელის მკრები,
ალმას ისრები.“

გერგეტის სამების სულთა მატიანეში მოხსენიებულია გარდაცვლილი არაგვის

1. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე. „გვარ-სახელები საქართველოში. თბ. 1997 წ. გვ. 209

2. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.“ თბილისი, 1986 წ.ტ. X გვ. 668. <http://ka.wikipedia.org/wiki/შაბურიძე>, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია

3. ილია მაისურაძე, „ქართული გვარ-სახელები“, 1990 წ. გვ. 187

4. რ. თოფჩიშვილი. „საქ. ისტორიული დემოგრაფიისათვის.“ თბ. 2002 წ; გვ. 38



ერისთავ შაბურიძეთა სახელები, ყველაზე ადრინდელი ხუცური დამწერლობით მოხსენიებულია სული შაბურისი. ისტორიკოსი და ენათმეცნიერი თედო ჟორდანია თვლილა, რომ შეიძლება აქ მოხსენებული შაბურიძან იღებდეს სათავეს არაგვის ერისთავთა — შაბურიძეთა საგვარეულო¹.

2. გვარის წარმომავლობა იოანე ჩატონიშვილის ჩანაწერის მიხედვით

რუსულენოვანი თავისუფალი ენციკლოპედია (ვიკიპედია) შაბურიძეთა გვარის წარმომავლობას (იოანე ბატონიშვილის ჩანაწერების საფუძველზე) უკავშირებს ადგილმდებარეობას (შაბურას, შაბურისანს) და ანისის ამირების სახელს.

იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) ამბობს: „ამათ ადგილისა გამო გაუგვარდათ სახელი ესე. ხოლო ამათგან წინა-პარნი ესახლენ პირველ დარუბანდის ნაწილსა შინა შაბურად წოდებულსა და სახლის კაცნიცა მათნი რომელიმე ესახლნენ ნახჩევნის მხარე ხეობასა შინა შაბურისანსა წოდებულსა და ოდეს მეფეთამან გიორგიმ ბრძოლით დაიპყრა დარუბანდი და მისნი კერძონი წელს, მაშინ შაბრელი ვინძე ბეგი მოვიდა მეფესთან. იგიცა და სხვანიცა წარჩინებული გვარნი გარდმოასახლნა და დასხნა სხვათა და სხვათა ადგილსა შინა და ესე შაბურიანნი დასახლნა არაგვსა ზედა და დაშთენ მუნ ჟამიდგან და იწოდებიან აზნაურ შაბურიანად შთამომავლობანი მათნი არიან მუნ ჟამიდგან პირველ აზნაურად გვარნი მათნი.“²

რუსულენოვანი ენციკლოპედია იოანე ბატონიშვილის ზემოთ აღნიშნული ნაწერების საფუძველზე აღნიშნავს:

‘Шабуридзе: Согласно Иоанну Баграотиони: «этот род происходит из местности Шабуран в Дарубанде. Кто-то из представителей этого рода жил в Нахичевани. И уже из Нахичевани переселился в Грузию. Царь Георгий захватил Нахичевань Было этов 1150 году. Они поселились в Арагвской области и получили дворянское звание». Однако, скорее всего, в этом сообщении сохранились от голоски взятия грузинским царём Георгием III города Ани, которым правили эмиры из династии Шеддадидов. В истории Грузии есть упоминание об этом событии. После взятия царем Ани в 60-егоды XII века царь пленили взял с собою в Грузию одного из «мусульманских принцев» и тот «более от царя не отлучался». Отцом или дедом пленного принца возможно был известный по арабским, персидским, армянским и грузинским источникам Абу Асвар Шабур II, сын Мануче, из династии Шеддадидов. Эту точку зрения поддерживал шотландский историк W.E.D. ALLEN, который на протяжении многих лет занимался изучением грузинской истории. Как видно одним из личных имён эмира было Шабур. От него по всей видимости и происходят Шабуришвили (сын Шабура).

იოანე ბატონიშვილის აღნიშნული ნაშრომის იმ ეპიზოდს, რომელიც ეხება საქართველოს თავადაზნაურთა გვარების უცხოურიდან წარმომავლობას, მეცნიერები დამაჯერებლად არ მიიჩნევენ:

„იოანე ბატონიშვილის ეს ნაშრომი მნიშვნელოვან და ძვირფას წყაროს წარმოადგენს ქართული გენეალოგიისათვის. ამის მიუხედავად, ზოგიერთი მისი ცნო-

1. თედო ჟორდანია, „ქრონიკები“, 1897 წ. ტ. II. გვ. 203

2. იოანე ბატონიშვილი, „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“



ბა არადამაჯერებლად გამოიყურება და მოითხოვს დამატებით მეცნიერულ შესწავლას, რაც ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. თუმცა, ვინაიდან მკითხველს უცნაურად მოეჩვენება იოანეს მიერ ზოგიერთი ჭეშმარიტი ქართული გვარის წარმომავლობის დასახელება “კიტაიდან”, ეთიოპიდან, იტალიიდან, სპარსეთიდან, სომხეთიდან თუ სხვ. მხრიდან, საჭიროდ ჩავთვალეთ, მოკლედ განვმარტოთ ამის მიზეზი: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფეოდალური ხანის თითქმის ყველა ქვეყანაში დაწინაურებული გვარი თავისი წინაპრების უცხო სახელმწიფოთა რომელიმე წარჩინებული გვარის ნათესავად წარმოჩენის სურვილით იყო შეპყრობილი. მაგალითად, რუსეთის ზოგიერთი დიდგვაროვანი ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს მისი მოღგმა ვარიაგებისაგან (ვიკინგებისაგან) მოღიოდა. უნგრელი წარჩინებულები (გრაფები: ჰადიკები, ზიჩები და სხვ.) კი ცდილობდნენ ქართველების თავიანთი სისხლით ნათესავებად გამოვეანას.¹

„შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოში ბაგრატიონები თავიანთ შთამომავლობას მიაკუთვნებდნენ ებრაელთა მეფეებს — ბიბლიურ იესეს, დავითთა და სოლომონს. მათი ტიტულაციაც ხომ ასე იწყებოდა: „ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატოვანმან...“ ცნობილია, რომ ორბელიანები ჩინელებს აცხადებდნენ წინაპრებად. ასევე უცხოელობდნენ წინაპრებით ამილაზვრები, ერისთავები, ციციშვილები და სხვ.“²

პროფესორი იასე ცინცაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ გვარის არ არსებულ ისტორიას იმისათვის თხზავდნენ, რომ ადგილობრივი გაბატონებული წრეები-საგან ზეალმატებულიყვნენ და განსხვავებულიყვნენ, რითაც მფლობელობის უფლებები თითქოს იმთავითვე უცხო ქვეყანაში ჰქონდეთ მათ წინაპრებს მინიჭებული.

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის აზრით, „ხშირად ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მმართველი ფენის, დინასტიის წარმომავლობას ეხებოდა საქმე, რომელიც ამით ცდილობდა კიდევ უფრო მკვეთრად გამიჯვნოდა თავისი ხალხის ძირითად მასას.“³

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერც შაბურიძეების გვარი ასცდა მის უცხოურ წარმომავლობად გამოცხადებას, რაც ყოვლად უსაფუძვლოა:

♦ ადრე, მართალია, მინათმოქმედი ერები ტერიტორიის აღმნიშვნელი სიტყვიდან იღებდნენ გვარებს, მაგრამ იოანე ბატონიშვილის მიერ შაბურად მოხსენიებული ქალაქი ან ტერიტორია არ არსებობს. დარუბანდის მხარეს, ბაქოს ზევით არსებობდა ქალაქი „შაბურანი“, „ახლანდელი შაბრანი“.

შაბურანი 1123 წელს დავით აღმაშენებელმა, ხოლო შემდეგ 1167 წელს მეფე გიორგი III-მ დაიპყრო.


შაბურად მოხსენიებული ადგილის შემდეგ იოანე ბატონიშვილი მოიხსენიებს ტერიტორიას — **შაბურისანს**, ეხლა უკვე ნახჭევანის მხარეს, რომელიც სულ სხვა ადგილას, სომხეთის სამხრეთით ანისის ქვევით მდებარეობს, შაბურანი — კი ბაქოს ზევით, კასპის ზღვასთან, ანუ ეს სულ სხვადასხვა ტერიტორიებია და ამდენად, ეს ინფორმაცია არ არის სარწმუნო. რუკაზეც კარგად ჩანს, რომ დარუბანდი (ლეკეთის აღმოსავლეთითაა) და ანისი (საქართველოს სამხრეთით) სულ სხვადასხვა ტერიტორიებია.


1. რ.ხუციშვილი. „უნგრელ-კავკასიური პრობლემა.“ თბ. 1994წ. გვ. 212

2. ი.ცინცაძე. „რუსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფო,“ თბ. 1968წ.გვ.26

3. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები,“ თბ. 1970წ. ტ. I. გვ. 313. <http://www.geogen.ge/index.php?id-menu-up=2&lang=&id-menu=13&abc=>

4. <http://wikimapia.org/15331123/ka/Shaburani>





- ♦ მაგრამ ამ შემთხვევაშიც, თუ გვარი ადგილმდებარეობიდან (შაბურანი) წარმოიშვებოდა, ის უნდა ყოფილიყო შაბურანიდე ან შაბურანიშვილი და არა შაბურიდე.
- ♦ იოანე ბატონიშვილი ვერ აკონკრეტებს, თუ როდის მოხდა ეს ბრძოლა, ან რომელი ქალაქიდან მოხდა გადმოსახლება, რაც უფრო მეტ დამაჯერებლობას მიანიჭებდა ამ ფაქტებს.
- ♦ არასწორია ისიც, თითქოს შაბურიშვილებს პირველებს მიეღოთ აზნაურობა. პირველად სიტყვა აზნაური ქართლის ცხოვრების მიხედვით მეფე ფარნავაზმა უწოდა იმ თავისუფალ ბერძენ (რომაელ) მხედრებს, რომლებიც აზოსთან ბრძოლის დროს მისი მხარე დაიჭირეს.

„აზნაურთა“, „დიდ-დიდ აზნაურთა“ და „უაზნოთა“ არსებობა ქართლში უკვე V საუკუნის II ნახევრის ორიგინალურ ძეგლში „შუშანიკის მარტვილობაშია“ დადასტურებული.

- ♦ იოანე ბატონიშვილის ჩანაწერების გარდა, მეფე გიორგი III-ის ბრძოლების შესახებ დაინერა და გამოიცა არა ერთი, როგორც ქართველი, ასევე სხვა ქვეყნის ისტორიკოსების წიგნები, რომლებითაც არ დასტურდება იოანე ბატონიშვილის ჩანაწერების სისწორე.

რუსულენოვან ვიკიპედიაშიც მოყვანილი არგუმენტები შაბურიშვილების გვარის წარმომავლობის შესახებ, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არ დასტურდება სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ისტორიული ფაქტებით:

- ♦ ჯერ ლაპარაკია იოანე ბატონიშვილის ვერსიაზე, ადგილმდებარეობიდან გვარის წარმომავლობაზე, რომ этот род происходит из местности Шабуран в Дарубанде, мэрэ ვინგე ბეგი საქართველოში ჩამოსვლამდე მონათლულია უკვე შაბურიშვილად (некто бег Шабуришвили), რომე-

ლიც მეფე გიორგისთან ერთად წამოვიდა თურმე საქართველოში 1150 წელს (ნიშანდობლივია, რომ ითანებ ბატონიშვილი წელს არ უთითებს), რაც არასწორია: 1150 წელს მეფე გიორგი III ვერ იღაშქრებდა, რადგან ის გამეფდა 1156 წელს, ანუ 6 წლის შემდეგ, 1161 წელს დაიპყრო ანისი, ხოლო დარუბანდი აიღო 1167 წელს.

- ♦ რუსულენოვან ვიკიპედიაში ამის შემდეგ ვითარდება **შაბურიშვილების** გვარის ადგილმდებარეობიდან წარმომავლობის ნაცვლად რადიკალურად განსხვავებული ვერსია — მისი ანისის ამირას სახელიდან წარმომავლობის შესახებ, რითაც სულ სხვა დროსა და ტერიტორიაზე გადადის მსჯელობა: რომ მეფე გიორგიმ მეთორმეტე საუკუნის 60 იან წლებში, აიღო ქალაქი ანისიო, დაატყვევა ანისის ამირა და წამოიყვანა საქართველოშიო... დატყვევებულის წამოიყვანა უცხო არ არის, მაგრამ არსად ოჯახებით გადმოსახლებას არ მოიხსენიებს და მითუმეტეს არაგვის ხეობაში მათ დასახლებას.
- ♦ ენციკლოპედია აღნიშნავს, რომ „одним из личных имён эмира было Шабур“, (თუმცა სინამდვილეში ანისის ამირების სახელი იყო არა **შაბური**, არამედ **შავური**, რასაც ქვევით უფრო დაწვრილებით განვმარტავთ), ის შეიძლება ყოფილიყო ასვარ შაბურ მანუჩეს შვილი ან შვილიშვილიო და ფაქტებისათვის მეტი დამაჯერებლობის მიზნით მიუთითებს, რომ ამ მოსაზრებას იზიარებს შოტლანდიელი ისტორიკოსი ალლენი და არ უთითებს საქართველოსა და ამ ტერიტორიებზე წარმოქმნილი სხვა სახელმწიფოების უფრო ცნობილ ისტორიკოსებს, რომელთა ნანილიც მოღვაწეობდა იმ პერიოდში და დაწვრილებით აქვთ აღწერილი ანისის ბრძოლები.

დავით აღმაშენებლის ეპოქიდან დაწყებული უამრავი ბრძოლის შედეგად შირვანისა და დარუბანდის სამეფოზე, აგრეთვე ანისის სამთავროზე საქართველოს მფლობელობის სტატუსი (სამეფო ტახტს დაქვემდებარება, ყმადნაფიცობა) რამდენჯერმე იცვლებოდა. ქართველები ბრძოლებთან ერთად წარმატებით იყენებდნენ დამოყვრების გზებსაც, დავით აღმაშენებლის შვილი, თამარ — უფროსი ცოლად ჰყავდა შირვანის შაპს, მანუჩარ II-ს, ხოლო შეფე ღემეტრე I-ის ასული ცოლად ჰყავდა დარუბანდის მალიქს. რაც შეეხება ანისს, ის თურქსელჩუკების შემოსევამდე სომხური სახელმწიფოს — ანისის სამეფოს დედაქალაქი იყო, ამჟამად ქალაქის ნანგრევები მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე, ყარსის პროვინციაში.

ანისის სამეფო (მუსლიმან შედადიანთა საგვარეულოთა მმართველობით) საქართველოს ყმადნაფიცი იყო. როდესაც საქართველოს მეფეები ანისს სამეფო ტახტს უქვემდებარებდნენ, ამას ვერ ეგუებოდნენ თურქ-სელჩუკები და გამუდმებით ესხმოდნენ მას თავს. ყმადნაფიცობის პირობებში ქართველი მეფეები ანისის ამირებად შედადიანთა საგვარეულო წარმომადგენლებს ნიშავრები გარკვეული პირობებით, ხარკის გადახდასთან ერთად მათ ქრისტიანული (კათოლიკური) მოსახლეობის ანისის კათედრალისათვის (ეპისკოპოსი ბარსელი) ხელი არ უნდა ეხლოთ¹.

ივანე ჯავახიშვილს ნარკვევების III ტომში დეტალურად აქვს გადმოცემული ანისის ბრძოლების შესახებ. ეს ნარკვევები იმითაც არის საინტერესო და უტყუარი, რომ მასში მოვლენები და ფაქტები შეჯერებულია და ეყრდნობა როგორც ქართველი ისტორიკოსების, აგრეთვე ისეთი ცნობილი უცხოელი ისტორიკოსების მასალებს,

1. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტ. III



როგორებიცაა: ალ ფარიგი (რომელიც 1154/5 წლებში მეფე დემეტრე I კარზე იმყოფებოდა), იბნ ალ ასირი (XIII ს. არაბეთი), მათეუს ურპაელი, ჯუვეინი, მხითარ გოში და ვარდანი (XII ს. სომხეთი), ნაჯიბ ჰამადანი (სპარსეთი), რაშიდ ად-დინი (ირანი), აგრეთვე მეფეთა მემატიანებისა და სხვა ისტორიულ წყაროებს.

♦ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში აღნიშნულია, რომ ანისის ამირა შეიღებითა და ოჯახებით საქართველოში წამოიყვანა არა გიორგი III, არამედ დავით აღმაშენებელმა, ამასთან დაასახლა არა არაგვის ხეობაში, არამედ დასავლეთ საქართველოში: „1124 წელს დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა ანისი მაჰმადიან მფლობელთაგან, „ნარემართა და, ვითარცა მიინია მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქვეყანანი მიმდგომნი ანისისანი“[66]. ხოლო ანისის ამირა აბულსუარი მანუჩარის ძე „რვათა ძეთა მისთა თანა და მწევალთა და სძალთა“ თანხლებით დაატყვევა და დასავლეთ საქართველოში გაგზავნა“[67].¹

ანალოგიური შინაარსისაა ნარკვევების სხვა ადგილი: „განსაკუთრებით ხანგრძლივი და მწვავე აღმოჩნდა ბრძოლა ანისისათვის. როგორც აღნიშნული იყო, 1124 წელს დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა ანისი მაჰმადიან მფლობელთაგან, ანისის მაჰმადიანი მფლობელი ამირა მანუჩარ შვილი აბულსუარი ოჯახითურთ საქართველოში ტყვედ წამოიყვანა, ხოლო ანისი სამეფო შემოიერთა და ანისის განმგებლობა კახელ დიდგვაროვან აბულეთსა და მის შვილს, ივანეს ჩაბარა.“²

♦ ივანე ჯავახიშვილიც, დავით აღმაშენებლის მემატიანე ისტორიკოსისა და სომეხი ისტორიკოსების ნაწერთა საფუძველზე აღნიშნავს: „ნარემართა მესამესა დღესა აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად ნარმოიყუანა (ა)ბულასვა(რ) რვათა ძეთა მისთა თანა...და ჩაგზავნა აფხაზეთს და ანისის მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი.»-ო.³

ქართველი ისტორიკოსის ეს ცნობაც საუცხოოდ მტკიცდება სომეხთა ისტორიკოსების მათე ურპაელისა და ვარდანის მოწმობით; მათეუსი ამბობს, რომ ქართველთა მეფემ დავითმა «აიღო სომეხთა სამეფო ქალაქი ანისი და მანუჩარ შვილები წამოიყვანა ანისითვან.»⁴

კარდანის მოთხოვნის შინაარსიც იგივეა და ისტორიკოსის ცნობებს უკეთ ამტკიცებს. ეს წყარო კიდევ უფრო აკონკრეტებს, რომ ანისის ამირა ოჯახებითურთ გადმოსახლებულა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში და არა არაგვის ხეობაში.

აღსანიშნავია, რომ V საუკუნეში წმინდა ნინოს ჯვარი აღმოჩნდა წმინდა შუმანიკთან. სიკვდილის წინ, როდესაც მან სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ჯვარი გადასცა მოძღვარს ანდრიას, მაგრამ ანდრია იმულებული გახდა სომხეთში წასულიყო ჯვრიანად. ეს ჯვარი სომხეთის სხვადასხვა ქალაქებსა და მონასტრებში ინახებო-

1. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები,“ თბ. 1979წ. ტომი III. გვ.244. http://www.batu.edu.ge/text_files/ge_file_276_1.pdf გვერდი 179.

2. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, თბ. 1979 წ. ტომი III გვ.265. http://www.batu.edu.ge/text_files/ge_file_276_1.pdf გვერდი 196

3. ცამატსა და თსა, 544, გვ.311

4. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია,“ ტ.2) (http://www.academia.edu/4259175/_2), გვერდი 189 ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია,“ ტ.2. http://www.academia.edu/4259175/_2, გვერდი 189



და. ქალაქ ანისის აღებისას მეფე დავით აღმაშენებელმა უკან წამოიღო ჯვარი და დაუბრუნა მცხეთას.

დავით აღმაშენებლის სიკვდილის (1125 წ.) შემდეგაც ანისი სპარსელთა ლაშქრი-საგან დიდ შევიწროვებას განიცდიდა. ამიტომ მეფე დემეტრე I იძულებული იყო ანი-სი ყმადნაფიცობის პირობით ისევ დავით აღმაშენებლის მიერ ადრე დატყვევებული აბულსუარის მმის — ფადლონისათვის დაებრუნებინა. შედადიანთა საგვარეულო ინ-არჩუნებდა ანისის მმართველობას ყმადნაფიცობის პირობით დემეტრე I-სა და დავით V-ის მეფობის პერიოდშიც.

♦ რაც შეეხება მეფე გიორგი III-ის ბრძოლებს ანისისათვის, აქ საინტერე-სოა რას გამოგვცემს ზემოაღნიშნული ისტორიული წყაროები ანისის ბრძოლების იმ პერიოდის შესახებ, რომელიც მითითებულია რუსულენო-ვან ენციკლოპედიაში: „პირველ რიგში, აუცილებელი იყო ანისის პრობ-ლემის გადაჭრა. გიორგიმ ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და ქალაქი დაიკავა. შედადიანთა მთელი ოჯახი ფადლონითურთ დაატყვევა და 1161 წ. მაისში ქალაქის მმართველად (ამირად) დანიშნა სადუნი[22].“

ივანე ჯავახიშვილი ზემოაღნიშნული ისტორიკოსების ჩანაწერებით აღწერს ანი-სის ბრძოლებს, მათი მონათხობი დეტალურია. დასახელებულია რომელ წელსა და თვეს მოხდა ბრძოლა, მოწინააღმდეგეთა და დაპატრონებულ ტყვეთა, ნადავლთა და ძვირფასეულობათა რაოდენობის შესახებ. სომეხი ისტორიკოსის ვარდანის მონათხ-ობით: „მეფე გიორგიმ სამ დღეში ანისის საქმეები მოაწყო და ქ.ანისში «დამყენე-ბელმან 477 და ლაშქართა მან» ტფილისში «წარმოავლინა მახარობელი» და თი-თონაც სახელოვანის მხედრობითურთ საქართველოში დაბრუნდა.“²¹


ამრიგად, ზემოაღნიშნული ისტორიული წყაროებით არ დასტურდება იოანე ბა-ტონიშვილის ინფორმაცია (რომელსაც ეყრდნობა რუსულენოვანი ენციკლოპედია), მეფე გიორგი III-ის მიერ ანისის ამირების ოჯახებით საქართველოში გადმოსახ-ლებისა და არაგვის ხეობაში დასახლების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ისინი გად-მოსახლა დავით აღმაშენებელმა და დაასახლა აფხაზეთში.

♦ დავით აღმაშენებლის მიერ დასავლეთ საქართველოში 1124 წელს ოჯახ-ებით გადმოსახლებული ანისის ამირა აბულსუარი იყო მანუჩეს შვილი, მანუჩეს ჰყავდა აგრეთვე სხვა შვილიც ფადლონ IV. მეფე გიორგი III მიერ ანისის აღებისას (1161 წ.) ანისის ამირაც იყო ფადლონ V, მაგრამ ის იყო მანუჩეს არა შვილი, არამედ შვილიშვილი. შეიძლება ამის გამო მოხდა ის-ტორიული მოვლენების აღრევა და ვიკიპედიაშიც გაურკვევლობა, სადაც აღნიშნულია, რომ გადმოსახლებული იყო მანუჩეს შვილი, ან შვილიშვილი, რადგან ფადლონი შვილიც იყო და შვილიშვილიც. როგორც ზემოთ აღვნიშ-ნეთ, დავით აღმაშენებლის დროს გადმოსახლებული იყო მანუჩეს შვილი.

♦ რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვანი უზუსტობაა გაპარული ვიკი-პედიაში, რომელიც მთლიანად აბათილებს შაბურიძეების გვარის ანისის ამირებიდან წარმომავლობას. ანისის სამთავროს ამირები შედადიანთა დინასტიიდან იყვნენ არა შაბურები, არამედ შავურები.

1. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები.“ ტომი II. გვ.268–269

2. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია.“ ტ. II გვერდი 207-211. პტტპ://წწწ.აცალემია. ედუ/4259175/—2.



Амиры Ани:

Мануки хрибн Шавур, амир Ани 1072—1118

Абу-л-Асвар Шавур II ибн Манучихр, амир Ани 1118—1124

Фадл IV ибн Шавур II, амир Ани 1124—1128

Махмудибн Шавур II, амир Ани 1128—1131

Хушчихрибн Шавур II, амир Ани 1131—1150

Шеддадибн Махмуд, амир Ани 1150—1155

Фадл V ибн Махмуд, амир Ани 1155—1161

Шаханшах ибн Фадл, амир Ани 1161—1174¹

აღნიშულიდან გამომდინარე, ანისის ამირების რაიმე კავშირი შაბურიძეების გვარის წარმომავლობასთან, როგორც ამას ვიკიპედია აღნიშნავს : „Как видно одним из личных имён эмира было Шабур, От него по всей видимости и происходят Шабуришили (сын Шабура)“, ყოვლად უ ს ა ფ უ ძ ვ ლ ო ა .

საერთოდ, ვიკიპედიაში მოყვანილი ვერსიები, მითუმეტეს რუსული, არ განიხილება როგორც დოგმა, ის ითვალისწინებს ცვლილებებს და ექვემდებარება სრულყოფას.

3. გვარის ნართომავლობა ირანის სასანიდების სახელო დინასტიის გმართვის „შაპურიდან“

ისტორიკოს პლატონ იოსელიანს მიაჩნდა, რომ შაბურიშვილების გვარი წარმოშობილია ირანის სასანიდების უძველესი სამეფო დინასტიის (226— 651 წ.) შაპების შაპური-ს (შაპ-მეფის, ფურ-შვილი) სახელიდან:

„Шапур (пехл. Šahrūhē, арм. Շապուհ (Šarūh), греч. Σαπώρης, лат. Sapor) — персидское имя означает «царский сын». Это имя носил ряд царей Персии из династии Сасанидов, а также многие известные деятели Сасанидской державы [1]: Шапур I, Шапур II, Шапур III...“

ისტორიკოსი დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს, რომ „შაბურიშვილების გვარის ვერსია ირანის სასანიდების დინასტიიდან წარმომავლობის შესახებ განხილული აქვს ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს წიგნში „ქალაქ დუშეთის აღწერა.“

დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს, რომ პლატონ იოსელიანმა თავის ნაშრომში „ქალაქ დუშეთის აღწერა“ შაბურისძეების გენეალოგია დაუკავშირა სასანიდების დინასტიის წარმომადგენელს საპორს — შაფუროვს — შაბუროვს და დაასკვნა, რომ არაგვის ხეობაში სახელისუფლებო გვარის ფუძე — შაბურა უნდა ეფუძნებოდეს 241 და 420 წლების ლეგენდას.“²

ისტორიკოსი დ. გვრიტიშვილი ამავე წიგნში აღნიშნავს, რომ ეს საკითხი დეტალურად შესწავლილი აქვს ცნობილ ისტორიკოსს, ე. თაყაიშვილს და ყოველივე კავშირი უსაფუძვლოდ მიაჩნია.


კერძოდ, დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს, რომ „როგორც ეს პროფესორმა ე. თაყაიშვილმაც შენიშნა, იოსელიანის ასეთი დასკვნა მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას და გარდა სახელის უბრალო დამთხვევისა შაბურისძეებს არაფერი არ უნდა ჰქონდეთ საერთო სასანიდების შაპურებთან.“³

ვინაიდან ცნობილი მეცნიერის პ. იოსელიანის მიერ გაიუღერა შაბურიძეების გვარის ირანის შაპის შაპურ I წარმომავლობის ვერსიამ, ინტერესმოკლებული არ

1. <http://ru.wikipedia.org/wiki/Шеддадиды>

2. პლატონ იოსელიანი. „ქალაქ დუშეთის აღწერა.“ გვ. 35

3. დ.გვრიტიშვილი. „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.“ 1955 წ.



უნდა იყვეს რა კავშირი ჰქონდა ირანის შაპს საქართველოსთან (იბერიასთან).

აღსანიშნავია, რომ ამაზასპი იყო ქართლის (იბერიის) მეფე III ს-ის 40-იან წლ-ში. მას ქართული წყაროების გარდა იხსენიებს შაპურ I-ის (242-272 წლ.) ქააბა-ი-ზარდომტის დიდი წარწერა, როგორც მეფეს, რომელმაც ძალაუფლება მიიღო შაპურის დროს; ე.ი. ამაზასპი არის შაპურ I-ის თანამედროვე.

წარწერის მიხედვით ამაზასპი არის არა იარაღით დამორჩილებული მმართველი, არამედ ირანის მბრძანებლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი მოკავშირე. ამაზასპის ირანულ ორიენტაციაზე საუბრობს ლეონტი მროველიც, რომლის მიხედვით ამაზასპმა „შეიყვარა სპარსელები“. ამაზასპის დროს ქართლი ძლიერი სახელმწიფო იყო. ქართლის ცხოვრებაში ვრცლად არის მოთხოვნილი ქართლში შემოჭრილი ოსებთან (ალანებთან) მისი ბრძოლის ამბავი.

ამაზასპი — იბერიის მეფე იყო დაახლოებით 230-265 წლებში. ფარსემან IV მეფების დასაწყისში გაძლიერებულმა ლაზიკის სამეფომ (დას. საქართველო) იბერიას წაართვა კლარჯეთი და ოძრახე. 243 წელს ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ ალან-ოსები, ამაზასპმა და სომხეთის მეფე ხოსროვ II-მ ერთიანი ძალებით მუხრანთან მომხდარ ბრძოლაში დაამარცხეს ისინი და გადარეკეს კავკასიონს იქით. ამ პერიოდში სულ უფრო და უფრო ძლიერდება სასანიდური სპარსეთი — 253 წელს შაპმა შაპურ I-მა დაიპყრო სომხეთი, დაამხო არშაკიანთა დინასტია და იქ თავისი ძე ჰორმიზდ-არ-დაშირი გაამეფა. სულ მაღალ ამაზასპი იძულებული ხდება აღიაროს შაპის უზენაესობა და რომთან კავშირზე ხელი აიღოს. ამავე პერიოდში ამაზასპმა თავისი და მიათხოვა სომხეთის მეფეს, ირანის ტახტის მეტკვიდრეს ჰორმიზდ-არდაშირს.

ასეთი სიტუაცია დიდ ხანს არ გაგრძელებულა, 265 წელს ამაზასპი გადაუდგა ირანელებს. ირანელებმა ეგრისის ერისთავების და სომხების დახმარებით გუთისხევთან ბრძოლაში დაამარცხეს ამაზასპი (რომელიც ბრძოლაში დაიღუპა) და იბერიის ტახტზე დასვეს სასანიდი ჰორმიზდაკი (თვით ამაზასპის დისტვილი, ძე ჰორმიზდ-არ-დაშირისა და შვილიშვილი ირანის შაპ შაპურისა). ჰორმიზდაკი მეტად სამართლიანი მმართვებელი ყოფილა და მას ხალხმა რევ მართალი ეწოდა. ჰორმიზდაკის (რევ მართალი) შვილი იყო მეფე მირიანი, რომელმაც შემოიღო საქართველოში ქრისტიანობა.. ანუ მირიან მეფე იყო ირანის შაპის შაპურ I-ის შვილიშვილის შვილი. მირიან მეფის მიერ ქრისტიანობის მიღება არ იყო მხოლოდ სარწმუნოების შეცვლა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოღების შემდეგ, IV საუკუნის დასაწყისში იბერია კვლავ რომის ორიენტაციას დაადგა.

ამრიგად, შაბურიძენი იყვნენ ერისთავები (ერის მთავარნი), რომლებსაც ემორჩილებოდა ყველა დიდებული. არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე მცხოვრები დიდებულები, მათი მებრძოლი, ჯიუტი და სამართლიანი ბუნებიდან გამომდინარე (რაც მთის ხალხისათვის არის დამახასიათებელი), გარედან მოსულ შემთხვევით პიროვნებას, მითუმეტეს მუსლიმანს, რომელსაც ავტორიტეტი არ ექნებოდა, არ გაერისთავებდნენ. ერისთავებად (მთავრებად) ხდებოდნენ ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ადგილობრივი ფეოდალები. ეს მეფის ინტერესებშიც შედიოდა, რათა მათ ომებისა და შემოსევების დროს ადვილად ემართათ საერისთავო.

არსებობდა კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა ერისთავებს. პირველ რიგში ხაზი ესმებოდა მათ წარმომავლობას: „ესე ერისთავნი დაიდგინდებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ხეობანი. და თვინიერ ამის არა ისახელებოდა მთავრად.“¹

1. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ.3, გვერდი 143

თავი VI

მეფე ვახტანგ III და მისი მეუღლე არაგვის ერისთავ გაბურიძის ასული (დედოფალი საქართველოსი)

ოგორც ავღნიშნეთ, მეფე დავით VIII-ს მეფობის პერიოდში მისმა ძმამ, უფლისწულმა ვახტანგმა ცოლად მოიყვანა არაგვის ერისთავ შაბურიძის ასული.

ამ პერიოდში საქართველო დაპყრობილი იყო მონღოლების მიერ. მეფე დავით VIII აუჯანყდა მონღოლ ყაზან ყაენს და იმალებოდა არაგვის საერისთაოს ზედა ნაწილში.

მისი ძმა უფლისწული ვახტანგიც სამღვდელოების მიერ გახიზნული იყო მთიულეთში. ამ დროს არაგვის ერისთავი იყო შაბურიძე. უფლისწული და არაგვის ერისთავ შაბურიძის ქალიშვილი ერთად სწავლობდნენ და ეუფლებოდნენ ისტორიულ და საღვთისმეტყველო განათლებას.

მეფე დავით VIII-ს არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა ძმასთან, ვახტანგთან. დავითმა ვახტანგი შეიპყრო „და პატიმრული ციხესა ჟინვანისასა“ ჰყავდა. ვახტანგი ციხიდან გაიპარა (სავარაუდოდ, ერისთავ შაბურიძის ხელშეწყობით, რადგან ჟინვანის ციხე მის ტერიტორიასა და გამგებლობაში იყო) და ეპისკოპოს იოანე ბურსელისას იმყოფებოდა. იოანემ შეარიგა ძმები, მაგრამ მათ შორის უთანხმოება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ვახტანგ ბატონიშვილი დაქორწინდა შაბურიძის ასულზე:

„მათ შორის მმობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ამ ბატონიშვილმა რომ დაქორწინება მოინდომა „შაბურიძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად. ამ დროითგან მოყოლებული კვლავ დავით VIII დამოკიდებულება ძმასთან ისევ გამწვავდა.“¹

ვახუშტი ბატონიშვილსაც „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული აქვს ეს ეპიზოდი: „არარაიდ კეთილად იპყრობდა დავით მეფე, ვინაიდან ვახტანგს ესუა ცოლად შაბურიძის ასული, ამის გამო უპატიოდ ყოფდა მეფე“.²

მარი ბროსეც განდგომის მიზეზად ვახტანგის ქორწინებას ასახელებს: „მცირე ხანს კვლავ ეჭვი ჩამოვარდა, დავითი ვახტანგისაგან ჰვონებდა განდგომასა, ამის ძალით, რამეთუ შაბურიძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად.“³

აღნიშნულის შესახებ რუსულენოვან ენციკლოპედიაშიც არის ჩანაწერი: «Давиду следовало опасатьсяся Вахтанга, поскольку взял себе в жёны Вахтанг дочь Шабуридзе». Имеются в виду грузинские цари Вахтанг III и Давид VIII».

1. ი.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, თბ. 1966 წ. წიგნ III, გვ.248

2. ვ.ბაგრატიონი. „ქართლის ცხოვრება.“ 1973 წ. ტომი IV გვერდი 247

3. მარი ბროსე, „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი I. გვ.435

უნეგურად იპალება კითხვა – მაიცც ვინ იყო ასეთი გავლენიანი შაბურიძე?

ისტორიკოსი დავით გვრიტიშვილი ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს: „.... უამთააღმწერელი არ მიუთითებს, რომ აქ შაბურიძე ერისთავია, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ის შაბურიძე არაგვის ერისთავი იყო. როგორც ჩანს, შაბურისძე მეფე დავითთან კარგ განწყობილებაში არ არის, ეგების იმ მიზეზით, რომ აჯანყებული დავითი არაგვის ხეობაშია შეხიზნული; ყაზან-ყაენის დამსჯელი ექსპედიციები ამის გამო არაგვის ხეობაში შედიან და არბევენ. ყველაფერი ეს კი შაბურისძის თვალში დავითის დანაშაულია. ამ ხნის მანძილზე დავითს მართლაც განუდგნენ ქართველი წარჩინებულები, მოვიგონოთ თუნდაც შალვა ქვენიფნეველი (ქსნის ერისთავი).“¹

მეფე დავით VIII ცდილობდა ილხანსა (ყაზან ყაენს) და ჩრდილოელ ნოინებს შორის ბრძოლა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

მეფე დავით VIII-მ ყაზან ყაენისაგან გასათავისუფლებლად გადაწყვიტა გზა მიეცა ჩრდილოეულ ურდოსათვის ყაზან ყაენის წინააღმდეგ დასალაშქრად. ამ მიზნით ბათო ყაენის შვილთან გააგზავნა თავისი უმცროსი მმა ვახტანგი.

„დავით რომ განუდგა ყაზან ყაენს, ცეკვა თავის სამშობლო და თავი სპარსეთის ყაენის მრისხანებისაგან ძლიერი მოკავშირის მომხრეობით და დახმარებით უზრუნველყო. ამ მიზნით „წარავლინა მმა თვის უმრწემესი ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შვილისა ყანისა და უქადა გზა გამოსვლად (ყაზან) ყანისა ზედ. ეს აზრი ჩრდილოეთის ურდოს ბატონის ვითარცა სპარსეთის მოხლოლ ყაენთა მუდმივსა და დაუცხრომელ მოწინააღმდეგეს, ძალიან მოსწონებია. ამიტომ ვახტანგ ბატონიშვილი „მან კეთილად შეიწყნარა“ და თანაცქონებრივს დახმარებასაც დაპპირებია, „საჭურჭლე მრავალი...“²

„1299 წელს სპარსეთიდან გამოგზავნილმა ყაზან ყაენის გამომძიებელმა გამოარკვია, რომ დიმიტრი II-ის ძეს ყივჩაღთა ყაენის თოხთასთან (1290 - 1312) კავშირი აქვს ილხანების საწინააღმდეგო ლაშქრობის მოსაწყობად და ხუტლუშას წინამდლოლობით დიდი ლაშქარი გამოუგზავნია მეფის შესაპყრობად.“³

მეფე დავით VIII იმალებოდა მთიულეთში (ცხავატში, ცისკარეს მოპირდაპირე ხალას მთაზე): „მეფე დავით გულადი მებრძოლნი ჰყავდა, მათ შორის ყველაზე მამაცი და მარჯვე, თვით არაგვის ხეობის მოსახლეობა იყო, რომელიც თავის კერას იცავდა და რომელმაც ამ კუთხის ბილიკი ზედმიწევნით იცოდა. საერთოდ, „მთიულნი იყვნენ ფერხით მალე,“ მათ ქვეითად ბრძოლა ეხერხებოდათ, მონღოლებს კი ცხენზე ამხედრებული უყვარდათ ომის წარმოება, თუმცა არაგვის ხეობის ბილიკებში ქვეითად უწევდათ ბრძოლა.

მეფის შესაპყრობად ხეობის ვიწრო ბილიკებით რამოდენიმეჯერ შესულმა მონღოლთა ჯარმა დიდი მარცხი განიცადა: რაკი მონღოლთა ჯარს დიდი ზარალი მოუვიდა, მათმა მხედართმთავარმა „იხილა სიმაგრე ქვეყნისა და სცნა, რომელ არა ეგების შესვლა ცისკარეს.“⁴

მეფე დავით VIII დაპირების მიუხედავად წლების განმავლობაში არ მიღიოდა ყაენის კარზე, რის გამოც გაბრაზებული ყაზან ყაენი აოხრებდა ყველაფერს. ყოველივე ამან ქვეყნა დიდ გაჭირვებაში ჩააგდო, „აოხრდა ქართლი უბოროტესად, ბრძოლებს შიმშილი მოპყვა, ქართლის მოსახლეობა სამცხეში გარბოდა.“

1. დ. გვრიტიშვილი, „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.“ 1955 წ. გვ.88

2. უამთააღმწერელი 913.გვ.755

3. ფ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“ ტომი 3 გვ.242-243

4. ფ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“ თბ. 1966 წ. გვ. 245



საგულისხმოა, რომ მეფე დავით VIII ცალკე იმ რეგიონებს აოხრებდა, რომლებიც მონღოლებს ემორჩილებოდა. ვინაიდან დავით VIII-მ მონღოლებთან ვერ გამონახა საერთო ენა, დიდებულებიც განუდგნენ მაგალითად: შალვა ქვენიფნეველი — ქსნის ერისთავი, რადგან დაინახეს, რომ მეფე თავის უსაფრთხოებაზე უფრო მეტს ფიქრობდა ვიდრე — ხალხზე. ქვეყანას ესაჭიროებოდა პატრონი: „ხუთი წელი იყო ოხრება, არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არა შენება ყოვლადვე, რასაც მოჰყვა საშინელი შიმშილი.“¹

„1301 წელს გაზაფხულის დადგომისთანავე ხუტლუშა ნოინი ყაზან ყაენის ბრძანებით „სპითა უძლიერესითა“ საქართველოში წამოვიდა, „ჯერ მოიწია ტფილისს და ეგულებოდა შესვლა მთიულეთსა.“²

მაშასადამე, ისევ სისხლის ღვრა და ქვეყნის აოხრება უნდა დაწყებულიყო. ამ ყველაფერმა დიდებულები, რომლებიც მეფეს უჭერდნენ მხარს, შეაფიქრიანა, რომ მონღოლების დამარცხებაზე ფიქრი მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა. ჟამთაათმწერელი ამბობს: „როდესაც მონღოლთა დიდი ლაშქრის მოსვლა „ცნეს დიდებულთა ამის სამეფო-სათა,“ გაკრთხენ და ეძიებდმნენ ღონესა, რათა განერნეს პირისაგან თათარისა“ „შეკრბეს მეფეთა დავით წინაშე და მოახსენებდეს, რათა წარვიდეს ყაზანის წინაშე ისე კი, რომ წინასწარ „ფიცი და სიმტკიცე აღიღოს უვნებლობისა,“ რაზეც მეფეც იძულებული იყო დათანხმებოდა.“³

შესათანხმებლად და უვნებლობის წიგნის მისატანად ეპისკოპოსი ივანე ბურსელი იყო წარგზავნილი, რომელმაც ყაზან ყაენისაგან „აღიღო პირი მტკიცე უვნებლობისა და მოვიდა მეფეს.“ მაგრამ როდესაც ყაზან ყაენთან წასვლის დრო მოვიდა მეფე შიშმა შეიპყრო და წასვლა აღარ მოუნდა. ამ ქცევამ მეფისადმი მცირე მხარდაჭერა და და გავლენაც გააქარწყლა დიდებულებსა და ხალხში. ყველას საშუალება პქონდა დარწმუნებულიყო, თუ რაოდენ დიდი განსხვავება იყო ხალხსა და ქვეყნის უვნებლად გადარჩენისათვის მზრუნველ დემეტრე II თავდადებულსა და მის შეიღლს დავით VIII შორის, რომელმაც თავის თავის გადარჩენას მრავალი უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე ანაცვალა, ქვეყანა მონღოლების გასანადგურებლად აქცია და ყველასგან მიტოვებულად იქცა.

ამის შემდეგ კი მეფის ბედი საბოლოოდ გადაწყდა და დიდებულების თხოვნით მონღოლებმა „ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა,“ იგი 1297 (ზოგიერთი ცნობით — 1302) წელს გამეფდა, დავით მეფე კი ისევ გველეთს შეიხიზნა, — გადმოგვცემს ისტორიკოსი.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ რაკი აღმოსავლეთ საქართველოში „ხუთთა წელთა იყო ოხრება,“ ამიტომ „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე.“ ამას ბუნებრივ შედეგად საშინელი სიმშილი მოვება. ნათესების უაღრესად შემცირების გამო „იქმნა პურისა მოკლება,“ რასაც შემდეგ შავი ჭირის გავრცელებაც დაერთო. ამიტომ „უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს,“ სადაც დამშეულ ხალხს თვით ბექა მანდატურთუხუცესის მეუღლე ვახახი ეხმარებოდა, რომელიც ჟამთააღმწერელის მოწმობით „იყო ყოვლითურთ შემკობილი.“⁴

ასეთ ურთულეს პირობებში მოუწია ვახტანგ III-ს გამეფება: „დაჯდა რა მეფედ ვახტანგ, ძე დიმიტრისა, მას მოსცეს ყოველი საქართველო“. გაიხარა ყოველმა ქართველმა „ რამეთუ იყო ვახტანგ ყოვლითა სრულ, სარწმუნოებით მტკიცე, ღმრთისმოშიშ, სამღდელოთა პატივისმცემელ, ეკლესიათა პატივისმდებელ, მშვიდ და მდაბალ, მყუდრო,

1. ფ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“ თბ. ტომი 3, გვ. 249

2. ფ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“ თბ. ტომი 3, გვ. 246

3. ი. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“, 1966 წ. ტომი III, გვ. 246

4. ი. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“, 1966 წ. ტომი III, გვ. 246



მოწყალე, უშფოთველ, ყოვლითა კეთილითა სრულ და არავის მოშურნე.“¹

სულ რამდენიმე წელი იმეფა ვახტანგ III-მ და აქედან უმეტესი დრო საქართველოდან შორს, ურდოსა და მონღოლურ ომებში გაატარა. მას არც სიმამაცე აკლდა და არც ჭკუა-გონება იმისთვის, რომ ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ არ გაუმართლა. ისტორია კი მხოლოდ იღბლიანებს სწყალობს... ამიტომაც მიეცა დავიწყებას მისი სახელიცა და საგმირო საქმეებიც...

მონღოლების ოშში ის იბრძოდა იმ მიზნით, რომ საკუთარ ქვეყანას არაერთი აოხრების შემდგომ მშვიდობიანად ეცხოვრა, მიწა დაემუშავებინათ და ხალხი შიმშილისაგან გადარჩენილიყო.

იმ წლებში, როდესაც მეფე თავისი ჯარითურთ ყაზან ყაენის ლაშქარში იბრძოდა, საქართველოში შიდა საქმეებს მისი მეუღლე შაბურიძის ასული (დედოფალი) და არაგვის ერისთავი შაბურიძე აგვარევდნენ სხვა დიდებულებთან ერთად.

ვახტანგ მეფისთვის უცხო არ იყო ამ ომებში ბრძოლა, ჯერ კიდევ უფლისწულობისას მიიღო მონაწილეობა ყაზან ყაენის მიერ ეგვიპტელ მამლუქთა წინააღმდეგ მოწყობილ დიდ ლაშქრობაში. მონღოლები სირია-პალესტინაში შეიჭრნენ და მოაოხრეს.

მათთან შესახვედრად დაიძრა ეგვიპტის სულთანი ნასარ მელიქი. ქალაქ ჰემსთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში სასწორის პინა ეგვიპტელთა მხარეს გადაიხარა, რომლებმაც ყაზან ყაენის კარავზე პირდაპირი შეტევა მიიტანეს. მამლუქებმა ადვილად შემუსრეს მონღოლები და ყაზან ყაენის სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა, მაგრამ მოუღლოდნელად გამოჩენილმა უფლისწულმა ვახტანგმა და მისმა ქართველმა მებრძოლებმა ეგვიპტელებს უკან დაახევინეს.

მეფე ვახტანგ III და მისი მეომრები ომების შემდეგ დიდალი ნადავლით ბრუნდებოდნენ საქართველოში მაგრამ, ცხადია, ამ ბრძოლებს მსხვერპლიც ახლდა.


მონღოლთა შიშით მთიულეთს შეხიზნულმა ვახტანგ მეფის მმამ, დავით VIII-მ დრო იხელთა და ძმისთვის თბილისის წართმევა მოინდომა. ტაბახმელას იდგა ვახტანგი, როცა მოახსენეს, შენი ძმა სამალავიდან გამოსულა, მთიელთა ჯარით მახათას მთაზე დგას და თბილისზე იერიშისთვის ემზადებაო. ვახტანგიც სწრაფად ამოქმედდა. მოიხმო ქართველები, მონღოლები, ყიყჩალები და ძმის ბანაკს თავს დაესხა. იმ ბრძოლაში უამრავი ქართველი განიგმირა თანამომქმეთა ხელით, დავით VIII სასტიკად დამარცხდა და ამ სისხლისღვრის ინსპირატორმა ისევ მთიულეთს შეაფარა თავი. ვახტანგი ძმას არ დადევნებია და ქართველთა ხოცვა-ულეტის გაგრძელებას თავი აარიდა.

1273 წელს, შეიხ ხიდრის ბრძანებით, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი მეჩეთად გადაკეთდა, მაგრამ, 1299 წელს, როცა იერუსალიმი აიღო მონღოლმა ყაზან ხანმა, მას ეხმარებოდა ქართველი ჯარი ვახტანგ III-ის მეთაურობით. იქ მცხოვრებმა ქრისტიანებმა მეფე ვახტანგ III-თან შეხვედრის შემდეგ სრულად გაიხარეს და იმ წელსვე მიეცათ საშუალება, რომ იერუსალიმში აღდგომა ეზეიმათ.

ჯვრის მონასტერის დაბრუნება მუსლიმანთა ხანგრძლივი ტყვეობისგან, უკავშირდება აგრეთვე მეფე დავით VIII-ის სახელს, რომელმაც დიპლომატიური მოლაპარაკება აწარმოა ეგვიპტის სულთანთან და 1305 წელს დაიბრუნა დაკარგული მონასტერი. მეფე ვახტანგ III-მ ქართველთა ჯარით პალესტინაში ლაშქრობების დროს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს უძღვნა დიდი შესაწირი. მისი დვაწლით კიდევ უფრო გაძლიერდა იერუსალიმში ქართული მართმადიდებლური მონასტრების ავტორიტეტი.

ქართველებმა აღიდგინეს იერუსალიმში თავიანთი ძველი უფლებები. ჯვრის მონასტერში, აღდგომის ეკლესიაში და გოლგოთას სამლოცველოში ქართველები გათავი-

1. „ქართველ წმიდანთა ცხოვრება,“ თბილისი 2007 წ.



სუფლდნენ ქრისტიანთათვის დაწესებული დამამცირებელი ვალდებულებისაგან ცხენზე არასწორად (ორივე ფეხი ერთმხარეზე) ჯდომისაგან.

„ჯვრის მონასტრის ერთი აღაპი გვამცნობს, რომ „ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ[=26] წელსა სპარსთა წაედო“, მეფე ვახტანგს მისთვის დიდი დახმარება აღმოუჩენია — „რვაი თავი დაპრი და ათასი თეთრი“ შეუწირავს. მეფე ვახტანგი, რომელმაც უხვი შეწირულობით აღაპის დაწესება დაიმსახურა, ვახტანგ მესამეა, ქართლის მეფე, რომელიც 1299 წლის ნოემბრიდან ახლდა ეგვიპტელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონგოლთა მბრძანებელს ყაზან ყაჯნს (1295-1304).

უამთააღმწერლის ცნობით, „როდესაც ყაზანმა „იწყო ამხედრება ეგვიპტელთა ზედა, მოუწოდა მეფესა ვახტანგს.“ ვახტანგის მეთაურობით ქართველთა მხედრობამ მონაწილოება მიიღო ყაზანის საომარ ექსპედიციაში. ეგვიპტის სულთანი ნასირ მუჰამედი (1293-1299, 1299-1341) გაუკაცურად დახვდა მტერს, „იქმნა ომი სასტიკი“, „ვახტანგ და სპანი მისნი მხნედ იბრძოდეს“.

მონგოლებმა და თანამოლაშქრებმა აიღეს ჰემსი, დამასკი, იერუსალიმი. ვახტანგმა მაშინ მოინახულა იერუსალიმელი ქართველები, გაიგო მონასტრიდან გაძევებულ ჯვარელთა გაჭირვება და ძვირფასი ქსოვილი და ფული მისცა მათ.“

ისტორიკოს ე.მეტრეველის აზრით, ეს 1299 წელს მოხდა.¹

ისტორიული წყაროების მიხედვით, XI-XII საუკუნეებში წმიდა ნინოს ჯვარი მცხე-თის საკათედრო ტაძარში ესვენა. „მეფე ვახტანგ III-მ (1301-1307) მისთვის გააკეთებინა სახატე (ლუსკუმა), რომელზედაც აღბეჭდილია წმიდანის ცხოვრების ექვსი შემთხვევა:

- ა. გამოცხადება ღვთისმშობლისა წმიდა ნინოსადმი სიონის ქორედში;
- ბ. გადაცემა ვაზის ჯვრისა ნინოსათვის ღვთისმშობლის მიერ;
- გ. სიზმარი წმიდა ნინოსი თოფაროვნის ტბის პირას (მტკვრის სათავესთან) და გადაცემა მისთვის ზეციურ მახარებლის მიერ პერგამენტისა ათი მუხ-ლით წმიდა სახარებიდან;
- დ. მეხის მიერ შემუსვრა წმიდა ნინოს ლოცვა-ვედრებით არმაზის კერპისა, მეფე მირიანისა და სალოცავად მოსული დიდძალი ხალხის თანდასწრებით;
- ე. ნანა დედოფლის განკურნება სენისაგან წმიდა ნინოს ჯვრის შეხებით;
- ვ. სეფეწულის (რევის შეილის) განკურნება ასევე ჯვრის შეხებით.²

ვახტანგ III-ის ქრისტიანობისადმი დიდი სიყვარული სარკინოზებს არ მოსწონდათ, რადგან ხელს შეუშლიდათ მონღოლთა სტრატეგიული მიზნების აღსრულებაში (ქრისტიანული სახელმწიფოების დაკყრობა), რადგან ქართველები ერთმორწმუნე ქრისტიანების წინააღმდეგ საბრძოლველად არ წავიდოდნენ.

„მაპმადიანი იმამები ჩააციდნენ ყაჯნს, სანამ შენს საბრძანებელში ქრისტიანულ სალოცავებს არ დაანგრევ და ქრისტიანებს არ გაულეტ, წარმატებებს ვერასოდეს მიაღწევო: „უამსა ამას მოუხდნენ ხარბად-ეენსა კაცნი სარკინოზნი, მტერნი ქრისტიანეთანი, და უტყოდნენ: „უკეთუმცა არა დაატევებინო ქრისტეანეთა სჯული და არა ჰყო მოპმადიან და არა მოაოხრო ეკლესიანნი მათი, ვერასოდეს სძლიო მტერთა შენთა და არცა წარგემართოს ხელეწიფება შენი.“³

სახელწიფოს ერთიანობის შენარჩუნების მიზნით ყაჯნი ანგარიშს უწევდა მაპმადი-

1. https://www.orthodoxy.ge/eklesiebi/jvris_monasteri/jvris_monasteri2.htm

2. „ქართლის ცხოვრება.“ ტომი IV ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა“გვ.252, თბილისი. 1973 წ.

3. „ქართლის ცხოვრება.“ ტომი IV ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა“გვ.252, თბილისი. 1973 წ.



ანთა სასულიერო ლიდერებს, ვინაიდან ისლამის მიმღევრები ილხანთა იმპერიის აბსოლუტურ უძრავლესობას წარმოადგენდნენ.

ქვეყანას და მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დიდი საფრთხე დაემუქრა.

ქართველების რჯულის შეცვლა პირველ რიგში მეფე-დედოფლით უნდა დაწყებულიყო, ის მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო დანარჩენი მოსახლეობისათვის, რაც გაადვილებდა მათ გამუსლიმანებას.

ვახტანგის III-ის მეუღლემ, საქართველოს დედოფალმა (შაბურიძე), არა თუ უარყო ქრისტიანობა, არამედ პირიქით, ქრისტეს რჯულის სიყვარულის მაგალითი მისცა ქართველობას და იერუსალიმის დედა-თა მონასტერში „რიფსიმეს“ სახელით მონაზვნად აღიკვეცა.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის განჩინებით, ხარება დღეს „რაზომიცა მღდელნი და დიაკონი იყოს მეფეთა-მეფისა ვახტანგისათვის და მეუღლისა მისისა, რიფსიმესათვის (შემონაზვნებულისა) შეიმოსნენ“.¹


წმიდა მეფე ვახტანგ III-ის მეუღლის, შაბურიძის ასულის შესახებ აღნიშნულია თავისუფალ რუსულენოვან ენციკლოპედიაშიც: Шабуридзе: "Жена Вахтанга известна также по одной из поминальных записей в синодике Крестного монастыря в Иерусалиме."

ამ ფაქტმა ყაენი დიდად განარისხა. ვახტანგ III-ს ნახშევანთან ყაენის მიერ საქართველოში წარმოგზავნილი ნოინი წამოეწია და გადასცა ყაენის დანაბარები, რომ ქართველებს უნდა დაეტოვებინათ ქრისტიანობა და მიეღოთ მუსლიმანობა.

დამცირებული და შეშინებული მხედრობა ვახტანგს შეაჩერდა: „ხოლო მეფე ვახტანგ არა შეშინდა, არამედ განახმდა, და უმეტეს მოახსენებდა სიმწნეთა და ღუაწლთა ქრისტეს ღმრთისათვის, რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა, აწ ნუ შესძრწუნდებით, და წარვიდეთ ყაენს წინაშე და დავდგათ სული მისთვის, რომელმან დასდგა სული თვისი ჩუქნთვის. პირველად ჩვენ მივსცნეთ თავნი ჩვენნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნება ღმრთისა და მან დაიცვას სამწყსო თვისი.“²

ვახტანგ მეფემ გადაწყვიტა, თავად ხლებოდა ყაენს და დაერწმუნებინა ის, ხელი აედო ამ განზრახვაზე. ერისთავები შეჰქარა სათათბიროდ და გადაწყვეტილება გააცნო. ყველამ ურჩია, არ ხლებოდა ყაენს, მიმალულიყო, როგორც ეს მისმა მმამ დავით VIII-ემ გააკეთა, მაგრამ მეფემ დაამშვიდა შეკრებილნი და მტკიცედ განუცხადა:

„კაცნო, მმანო და ერთოჯულნო! კარგად იცით, რაც განუზრახავს მაპმადიანთა ჩაგონებით მონღლოლთა ყაენს, თვითონ განსაჯეთ, რა უბედურება ელის ხალხსა და ქვეყანას. ამიტომ მოგიწოდებთ, ნუ შეძრწუნდებით და ჩვენ პირველი ვეწვიოთ ყაენს და თუ



მეიდა მავზა ვახტანგ III

1. „ქართველ წმიდანთა ცხოვრება“, თბილისი 2007წ orthodoxy.ge „წმიდანთა ცხოვრება“, „წმიდა მეფე ვახტანგ III“

2. „ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი“, თბ. 2007 წ.



სიკვდილია, ჩვენ პირველნი დავიხოცოთ, ვიღრე ვიზილავდეთ ერსა და სამშობლოს დაქცეულს, აოხრებულს, გადაგვარებულსა და გადარჯულებულს“.

არ მოეშვნენ ერთგული ვეზირები, თავსაც ტყუილად გაწირავ და სამშობლოსაც ვერ უშველიო, მაგრამ ვახტანგი შეუვალი აღმოჩნდა — ერთგულ ერისთავებთან ერთად სპარსეთის გზას დაადგა.

ურდოში ქართველთა მეფის მისვლამ ძალიან გააკვირვა ყაენი. ვახტანგის სიმამცე არაერთხელ გამოეცადა, მაგრამ ასეთ უშიშობას მაინც არ ელოდა, ვახტანგმა ყაენს თამამად მოახსენა ურდოში ჩასვლის მიზეზი:

„ისმინე, მაღალო და ძლიერო ყაენო! მოვიდა შენი ბრძანება, რათა ყოველთა ქრისტიანეთა დავუტევოთ სჯული ჩვენი, აწ ისმინე: თქვენს პაპებსა და მამებს არასოდეს დაუწუნიათ ჩვენი პაპებისა და მამების სჯული, არასოდეს უთქვამთ, ქართველთა სჯული ავი არისო; პირიქით კი ყოფილა: თქვენს წინაპრებს ძალიანაც მოსწონდათ ჩვენი წინაპრების სჯულიც და საქციიელიც. ხოლო სპარსელებს და მათ სჯულს თქვენი მამა-პაპანი მძულვარე თვალით უქცევრდნენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ მწამლველნი, მიპარვით მკვლელნი და ბილწი მამათმავალნი. და თუ ახლა, ყაენო, სპარსელების შესძენას ისმენ, მაშინ მე აქა ვარ, მეფე ქართველთა და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი შენს წინაშე არიან.“

მე პირველი შზად ვარ სიკვდილად ქრისტეს სჯულისთვის და ქრისტიანი ერისა და სამშობლოსათვის; ასევე შზად არიან სიკვდილისათვის ჩემი ერისთავნი. მაშ აპა, დაგვაყრევინე თავები, ოღონდ ნურას ავნებ ერსა და ქვეყანასა ჩვენსას!“¹

გაოგნებული უსმენდა ყაენი ვახტანგს. მიხვდა, რომ მეფე მხოლოდ საკუთარ სათქმელს კი არ ამბობდა, მისი სიტყვები მთელი ერის გზავნილი იყო.

„მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი მთავარნი საქართველოსნი შენს წინაშე არიან, და მე შზად ვარ სიკუდილად სჯულისათვის ქრისტეანობისა, და მერმე ესე ყოველნი მყოფნი ქრისტეანნი, აპა თავნი ჩვენნი წარგვეთნენ“ და წარუპყრაცა ქედი“.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფე ვახტანგის აღსასრული შემდეგი სახით არის გადმოცემული: „მოვიდნენ რა წინაშე ყაენისა, განკვირდა ყაენი მეფისა. მაშინ მეფე ვახტანგ წინა აღუდგა დატევნებისათვის ქრისტესა და მოხრებისათვის ეკლესიებთა. ამისთვის მოკლა ყაენმა ქრისტესათვის ტანჯვითა მეფე ვახტანგ, ტანჯვითა ანუ ექსორია-ყო სპითურთ და მუნ მოკლა“.

ეს მოხდა 1308 წელს. მართმადიდებელი ეკლესია მეფე ვახტანგ III-ს წმიდანად მოიხსენიებს 23 დეკემბერს-ახალი სტილით და 10 დეკემბერს — ძველი სტილით.

ვახტანგ მეფის სიკვდილიდ შემდეგ ერთდროულად უამრავი პრობლემა დაატყდა თავს ყაენს, დაიწყო შინაური აჯანყება, რის გამოც ქართველი ერი გადაურჩა რჯულის შეცვლას. თითქოს შეისმინაო ღმერთმა ვახტანგ მეფის სიტყვები: „დავდვათ სული მისთვის, რომელმან დასდვა სული თვისი ჩუქნოვის. პირველად ჩვენ მივსცნეთ თავნი ჩვენნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნება ღმრთისა და მან დაიცვას სამწესო თვისი...“

ასე დაამთავრეს სიცოცხლე ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა და საქართველოს მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა — მეფე ვახტანგ III და მისმა მეუღლებ შაბურიძის ასულმა, დედოფალმა საქართველოსი.

მათ დარჩათ ორი შვილი: დიმიტრი და გიორგი. პირველს სამფლობელოდ დმანისი ჰქონდა, მეორეს — სამშვილდე.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ვახტანგი დასაფლავებულია დმანისის რაიონის სიონის ეკლესიაში. დმანისშივე დამკვიდრებულან ვახტანგ მეფის შთამომავლები —

1. 1. „ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი“, თბ. 2007 წ.



უფროსი ძე დემეტრე და გიორგი, რომლებიც დაკრძალულნი არიან იქვე.

უამთააღმწერლის ცნობით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი აღაპი ვახტანგის მეფისა და მისი მეუღლე რიცხიმესათვის ჯვრის მონასტრიდან გამოძევებული ქართველი ბერების მატერიალური დახმარების სანაცვლოდ დაუღინიათ.¹

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

მყითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყვეს, თუ რატომ აქცევდა მეფე ვახტან III იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს ყურადღებას და რატომ შესწირა უხეად შესაწირი? ან რატომ აღიკვეცა მონაზენად მისი მეუღლე შაბურიძის ასული მაინცდამაინც იერუსალიმში და ზოგადად რა კავშირი გვქონდა ქართველებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი იყო ერთ-ერთი უდიდესი და უძვირფასესი სიწმინდე და საგანმანათლებლო კერა ქართველებისთვის წმიდა მიწაზე. მონასტრის ისტორია უკავშირდება იმ ადგილს, რომელზეც ოდესლაც იზრდებოდა ხე, რომელიც რომაელებმა ქრისტეს ჯვარზე გასაკრავად გამოიყენეს.

ამ ხის ისტორიაზე მოგვითხრობს ერთი სირიული აპოკრიფული წერილი: როდესაც ლოთი დაეცა თავის შვილებთან, ლვთისგან შენდობის ნიშნად აბრაამმა მას გადასცა სამი ხმელი ტოტი: ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის. ლოტს უნდა მოერწყა ეს ტოტები და, ლვთისგან პატიების ნიშნად, ერთი ხე აყვავდებოდა, ზუსტად ასე მოხდა: აქ ამოვიდა ხე, რომელიც მოჭრეს სოლომონის ტაძრის მშენებლობის დროს, მაგრამ, მერე დაიწუნეს და გადეს მდინარეზე, როგორც ხიდი.

ლვთის განგებულებით სწორედ ამ ხისგან დამზადებულ ჯვარზე გააკრეს მაცხო-

1. „ქართველ წმიდათა ცხოვრებანი,“ თბილისი, 2007 წ. orthodoxy.ge „წმიდანთა ცხოვრება,“ წმიდა მეფე ვახტანგ III

ვარი. ჯვრის მონასტერში შემონახულია ადგილი, სადაც ეს ხე გაიზარდა.

პირველი ცნობები მონასტრის ტერიტორიის შესყიდვის შესახებ უკავშირდება მეფე მირიანს, რომელიც ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, წმიდა ნინოს რჩევით, ჩადის ბიზანტიაში, მოინახულებს კონსტანტინე დიდს და ახალგაქრისტიანებულ მირიან მეფეს რწმენაში გასაძლიერებლად სხვა ძვირფას სიწმინდეებთან ერთად (ქრისტეს ფერხთა ფიცარი, ხელთ სამსკვალნი და ჯვრის ნაწილი) იერუსალიმში ჩუქნის მიწის ნაკვეთს.

ქართული გადმოცემით, მირიან მეფემ მიწა საჩუქრად კი არ მიიღო, არამედ თავად შეიძინა, სადაც ააშენა სამლოცველო. ძეგლის არქეოლოგიურმა შესწავლამ (1969-1973 წწ.) ცხადყო, რომ პირველი ბაზილიკა ამჟამინდელი ტაძრის ადგილზე აიგო IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში.

იმ დროს პალესტინაში იყო იბერიელი მეფისტული ბაკური, პეტრე იბერის პაპა. მონასტრის დაარსების სათავეებთან ეს პიროვნება უნდა მდგარიყო. V საუკუნეში იერუსალიმში ჯარით შევიდა ვახტანგ გორგასალი, რომელსაც თან ახლონენ დედა და და. სწორედ მის მიერ ხდება ჯვრის მონასტრის ადგილას არსებული სამლოცველოს გადიდება და დამშვენება.


უცხოეთის არც ერთ ქართულ სავანეში არაა შემორჩენილი იმდენი ქართული წარწერა, რამდენიც ამ ტაძარშია აღმოჩენილი.

საუკუნეების განმავლობაში აქ იყო ქართველთა სამლოცველო, ჯვრის მონასტრის აღორძინების პერიოდი იწყება XI საუკუნის ოცდაათი წლებიდან, როდესაც მონასტრის აღმშენებლობას იწყებს უდიდესი მოღვაწე გიორგი პროხორე, მეფე ბაგრატ IV კურაპალატისა და მისი დედის— მარიამის ხელშეწყობით და ექვთიმე მთაწმინდელის კურთხევით. გიორგი-პროხორე იყო ბერ-მონაზონი ტაო-კლარჯეთიდან, შავშეთიდან.


XI საუკუნის 30-იანი წლებიდან ჯვრის მონასტერი ქართველთა სულიერების, რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად, ქართველების მთავარ შესაკრებ პუნქტად და პილიგრიმთა საიმედო თავშესაფრად ჩამოყალიბდა..

ჯვრის მონასტერთან არის დაკავშირებული თითქმის ყველა დიდი ქართველი მეფის ცხოვრება. დავით IV აღმაშენებლის მეფობის დროს კიდევ მოხდა მონასტრის განახლება, მეფემ უამრავი შესაწირავი გაუგზავნა ჯვრის მონასტერს. ჯვრის მონასტერი იმდენად დიდი სასულიერო კერა იყო, რომ აქ გაზრდილი ქართველი ბერი, თეოდორე ქართველი, ხდება მცირე აზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის – ნიკომედიის ეპისკოპოსი.

ჯვრის მონასტერს მძიმე პერიოდი დაუდგა XII საუკუნის ბოლოს, როდესაც იერუსალიმი აიღო ეგვიპტის სულთნმა სალადინმა (სალაჰ ალ-დინი), მანამდე იერუსალიმის მეფე ბალდუინ IV-მ გაზრდილი გადასახადებით შეავიწროვა ჯვრის მონასტერი და ზვრების ნაწილიც კი წაართვა.



შოთა რუსთაველის ფრესკა
ჯვრის მონასტერში



1187 წელს სალადინმა მიიტაცა ჯვრის მონასტერი. 1192 წელს მემატიანის გადმოცემით, სალადინს დესპანი გაუგზავნა თამარ მეფემ, რათა გამოესყიდა ჯვრის მონასტერი და 200 000 ლინარიც შეაძლია იმისთვის, რომ დაებრუნებინა ძელი პატიოსანი.

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველომ მოიპოვა აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანთა მფარველობა. ქართველები იერუსალიმში განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. საქართველოს ისტორიაში თითქმის არ მოიძებნება მეფე და დიდებული, რომლებსაც ჯვრის მონასტრის გაძლიერებასა და აღორძინებაზე არ ეზრუნათ.

ჯვრის მონასტერი საბოლოოდ დაიკარგა XVIII საუკუნის დასაწყისში და გადავიდა ბერძნების ხელში.

თურქ-ოსმალების მიერ მონასტრებისთვის დაწესებული გადასახადი იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდა ბერძნებმაც კი ვერ შეძლეს და საპატრიარქო კონსტანტინოპოლში გადაიტანეს. ყველაზე მეტად გაძლიერებული იყო სომხური ეკლესია – სომხები ვაჭრობდნენ, პქნდათ ბევრი შემოსავალი და მათ ბევრი სიწმიდის შენარჩუნება შეძლეს. საქართველოში მაშინ მძიმე პერიოდი იდგა და ძალიან გაჭირდა აქედან მონასტრის შენახვა. ქართველთა გავლენა თანდათან შესუსტდა და ბოლოს, XVII საუკუნის დასასრულს ჯვრის მონასტერი სხვა ქართულ სავანეებთან ერთად ბერძენთა ხელში გადავიდა და იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა.

1855 წელს აქ ბერძნული სასულიერო სემინარია გაიხსნა (მოქმედებდა 1908 წლამდე).

ბერძნული სამღვდელოება შეგნებულად მაღავდა ჯვრის მონასტრის ქართულ კულტურასთან კავშირსა და ქართველთა მოღვაწეობის ფაქტებს, ფრესკებზე შლიდნენ ქართულ კვალს.

1948-1958 წლებში მონასტრის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარის ნაწილი იდგა.

1960 წელს ჯვრის მონასტერში იმყოფებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი), რომლებმაც აღმოაჩინეს შოთა რუსთაველის ფრესკა.

ჯვრის მონასტერი გამოირჩევა იმითაც, რომ აქ სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი, მან შეაკეთა ტაძარი და შეწირულობის აღაპშიც მოიხსენიება, როგორც შოთა მეჭურჭლეთუხუცესი. როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველი იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი და პოემა „ვეფხისტყაოსანის“ დაწერაც თამარ მეფისადმი დიდმა სიყვარულმა შთააგონა.

ტაძარში მისი სახე გამოხატულია იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკის ბოლოს, შესაბამისი ქართული ასომთავრული წარწერით. გადმოცემით, ბერძად აღკვეცილი პოეტი შოთა რუსთაველი ამავე მონასტერშია დაკრძალული.

ერთ-ერთი გავრცელებიული მოსაზრების მიხედვით, თამარ მეფის საფლავიც იერუსალიმში უნდა იყენეს. არსებობს ჯვაროსანი დებუას წერილი, რომელიც წერს:

„გავიგე, რომ ქართველთა მრავალრიცხოვანი ჯარი მოემართება იერუსალიმისკენ, მათ ხელმძღვანელობს მათი მეფე, უფლისწული ლაშა-გიორგი, რომელიც ძალიან ჰავავს ალექსანდრე მაკედონელს. ის მოდის იერუსალიმის მშვიდობიანად ასაღებად, აიღო 300 ქალაქი, უამრავი ციხე, ლაშა-გიორგი მოაბრძანებს დიდი მეფის, თამარის ნეშტს, რომელმაც დაუბარა, რომ, რადგან სიცოცხლეში ვერ მოილოცა იერუსალიმი, მისი ნეშტი ჩაეტანათ ამ ქალაქში და მაცხოვრის საფლავთან ახლოს დაეკრძალათ...“

არსებობს ანდერძი იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოზისა, რომელშიც ის წერდა:

„მონასტერი ეკუთვნით იბერიელებს და, თუ მათ ოდესმე გაუჩნდებათ სახსარი და სურვილი, ჩვენ მონასტერი მათ უნდა გადავცეთო“.



თავი VII

ეხვევ გიორგი VIII-ის შვილის მარიამისა და არაბპის
ერისთავ ვამიყ შაბურიძის ვაჟის გიორგის ქორწინება

1465

წლის 23 აპრილის მცხეთის №75 სიგელით ირკვევა, რომ მეფე გიორგი VIII-ის შვილი მარიამი ცოლად შეურთავს არაგვის ერისთავის ვამიყ შაბურიძის შვილს გიორგის.

ამ ქორწინებასთან დაკავშირებით ერისთავ ვამიყ შაბურიძეს 1465 წლის 23 აპრილით დათარიღებული მცხეთის სიგელით სვეტიცხოვლის ტაძრისათვის შეუწირავს მამულები.¹

თ. უორდანია აღნიშნავს, რომ „ამ სიგელით ერისთავი არაგვისა ვამიყ შაბურიძე მცხეთას მამულებს სწირავს „საკანონოდ“ იმ შემთხვევის გამო, რომ მეფე გიორგი VIII-ს თავისი ასული-მარიამი არაგვის ერისთავის ვამიყ შაბურიძის შვილისათვის – გიორგისათვის მიუთხოვებია:“

„ჩუენ შაბურიძეთა ერისთავმან ვამიყ და სარო და ძეთა ჩუენთა გ~გი, ომარ, მიქა-მან, ვარამ და ნუგზარ; მმათა შვილთა და მომავალთა სახლისა ჩუენისათა ყოველთავე მის ქმისა შედეგად ოდეს ჩუენად უღირსად ლიდად და საპატიოდ შეგუიწყალეს პატრონ-მან მეფეთა მეფემან გი~გი და მათი ასული ჩუენისა შვილისათუის გუიბოძეს და მოგუ-ცეს დიდი გამოსანახავი სასჯულო და საკანონო საქმე იყო და დიდად შემოვეხუეწენით თქუენსა საყდარსა და თქუენ მათსა მპყრობელსა და დიდისა დასაურვებელი აგან მცირე-სა ამას შეგუჯერდით შემოვსწირეთ და მნოვახსენეთ კითხვითა ბ~ბითა და ნებადართვითა ლ~თივ გუირგუინოსნისა მეფეთა მეფისა გი~გისითა ჩუენი მკუიდრი და ყოვლისა ადამის ნათესავისა კაცისაგან უსარჩლავი და მოუღევარი მამული ნოჯიკეუთა ნოჯისთავი ეკლე-სია მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ფუალათა სიაშვილისეული მაული მისითა მამ-ულითა სახლკარითა ველითა და ვენახითა საიქოსძე, ჩაბასშვილი, მაკარისშვილი და ტე-ვდოსაშვილი მათითა მიმდგომითა და ხუადაბუნებითა და რაცა ნოჯიკეუთა ჩუენი სახასო არის უკლებლად მათითა შზღვრითა სასახლოთა საჯდომითა ველითა ვენახითა ჭურითა მარნითა წყლითა წისქუილითა ტყითა ნაფუძრითა მინდორთა ნიგუზნარითა ჭალითა სათ-იბითა მთითა და ბარითა საძებრითა და უქმრითა სახმრითა და უხმრითა და მისითა მიმ-დგომითა სამართლიანითა ერთობ ფუალათა უკლებლად ამა წესითა რაგუარაცა სხუანი მცხეთისა მამულნი თარხანნი და ხელშეუვალნი არიან მითვე წესითა არავისი ხელი შევ-იდეს და სხუა საწერი და სათხოვარი გქონდეს და გიბედნიეროს დ~ნ ესე ჩუენგან ჩუენი-თა ნებითა და წადილითა შემოწირული და მოხსენებული მამული ნოჯიკეუთა ნოჯისთავი ეკლესია მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ფუალათა სიაშვილისეული მამული მისი-თა მიმდგომითა სახლკარითა ველითა და ვენახებითა საიქოსძე, ჩაბასშვილი, მაკარისშ-ვილი და თევდოასშვილი მათითა მიმდგომითა სამართლიანითა და ხუადაბუნებითა და რაცა ნოჯიკეუთა ჩუენი სახასო იყო მათითა სახმრითა და უხმრითა ყოვლითურთ უკლებ-

1. 1465 წლის 23 აპრილის მცხეთის სიგელი №75

ლად არავინ იყოს მოცილე და მოსარჩლე არა არა ჩუენ და არა მომავალთა ჩუენთაგანი ვინმე არა სხუისა გუარია კაცი და დედაკაცი არ თავადი არ დიდებული და არ აზნაური არ დიდი და არა მცირე და თუ ვინმე გამოჩნდეს და მოგიშალოს პირისა და პასუხისა გამცემი ჩუენ ვიყუნეთ და თქვენგან და თქუენისა საყდრისაგან ისრევე უჯუარო და შეუნდობელნი ვიყუნეთ ასრე ჩუენი მკუიდრი და მოუდევარი ნოჯიკეშური მამული გქონდეს და გიბედნიეროს ღნ ვიდრე გებადმდე უამთა და მი უგუნისამდი ვიდრემდის ტაძარი სიწმინდისა თქუენისა ეგოს ვერავინ იკადროს ამისად შლად და ქცევად რასაცა უამისა გამოცვალებისათუის იმა მამულისა გამოხუებად შლად და ცვალებად ხელყოს ანუ ჩუენ და ანუ შემდგომად ჩუენსა ჩუენისა გუარისა მომავალთა განმან ვინმე ანუ სხუისა გუარისა კაცმან და დიაცმან შეგიცვალონ შეპრისხდი თქუენ ღ~თო დაუსაბამოო მამო ძეო და სულო წმიდაო და შენ ყ~დ წმიდაო მშობელო მისო ყ~ლთა დაბადებულთა დედოფალო მისგან იძი შური ჯუარისმცუმელთა ძისა შენისათა შემცაედების ძრწოლა კაენისი შიშთვილი იუდაის მეხდატეხილობა დიოსკორესი დანთქმა დათან და აბირონისი ნესტორის და ოროგინესთანამცა არს ნაწილი და სამკუიდრებელი მისი და ნურათამცა სინანულითა იქმნების ჯოჯოხეთით ხსნა სულისა მისისა კრულმცა არს ცათა შინა და ქუეფანასა ზედა მკუდარი და ცოცხალი მისი შუიდთა კრებათა და ხუთთა პატრიარქთა მადლითა და წისა და კათოლიკე დედაქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მას შინა აღსრულებულთა მღვდელ მემსხვერპლეობათა მადლითა და მასზედამცა დაესრულების ხმა იგი სასინელი მოისპე-ენ უღმრთო რათა არა იხილოს მან დიდება უფლისა და სისხლი მაგისი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა რომელთა მოსლვად ილოცეს და ასდა მერვისა ფსალმუნისა წყევა-სა მასზედამცა სრულჰყოფს ღ~თი და კანონსამცა ქუეშე არს წ~თა მოციქულთასა და ამა ზემო წერილთა წ~თასა და მათმიერმცა მიეხადების პატიჯი იგი ანნა და საპფირასი და ჩუენთამცა ბრალთა და ცოდვათა შხლველი არს წინაშე ღ~თისა და ვინ დაამტკიცოს ღ~ნ ყ~ლი გაგებული მისი სრულ და მტკიცე ყოს. დაიწერა სასჯლოდ ნოჯიკეუთა შემოწირუ-ლობისა წიგნი და სიგელი ესე მოქცევსა მეთოთხმეტსა ქ~ნსა რნგ (1465 წ.), აპრილსა ოცდასამსა. ხელითა ოქროპირისშვილის მახარებელისათა.“

სიგელს თან ახლავს ერისთავი ვამიყ შაბურიძის ხელისმოწერა:

„...მე ერისთავი ამისი გამთავებელი ვარა.“¹

აღსანიშანავია, რომ ამ ქორწინებამდე მეფე გიორგი VIII-ს ქალიშვილი მარიამი დანიშნული ყოფილა ბერძენთა კეისარ კონსტანტინეზე:

„პ.იოსელიანი პმოწმობს („თცხეთსკში ხრამ 1866 წ“) არავის ერის-თავის ოჯახში დარჩენილია მოთხოვნა, ვითომ გიორგი VIII ქალი ბერძენთა კეის-რის კონსტანტინესგან 1452 წელს დანიშნული, ერთს ერისთავთაგან მოსთხოვდაო, როდესაც მისი საქმრო კეისარი, კონსტანტინე, მოკლა სტამბოლის აღების დროს, 1453 წ. ეს მოთხოვნა სიმართლესთან ახლოა.“

„გიორგი VIII ქალის კონსტანტინე იმპერატორზე დაწინდვა, აღწერილი კეისარ კონსტანტინეს კარისკაცის და ისტორიკოსის ფრანჩი-პროტოსკესტიარისაგან, მოყვანილია გიბბონის ისტორიაში.“²

თარგმანის ნაწყვეტი ამ ისტორიიდან: „კონსტანტინეს ტახტზე აღსვლის შემდეგ, დედა მისი დედოფალი და კარის კაცნი შეუდგნენო მისთვის სასძლოს ამორჩევას. იმპერატორს აძლევდნენ ვენეციის დოჟის ფრანც ფოსკარის ქალს (1423-1457) მაგრამ კარის კაცთა და ბიზანტიის დიდებულთა უარყვეს ეს მოყვრობითი კავშირი. მაშინ იმპერატო-

1. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1449; საბუთი № 1486

2. Hist. de la decadence et de la chute de l'Empire Romain tom. XIII, par. 43-48. Paris, 1828.



რის ყურადღება დარჩა ორ სამეფო ოჯახობაზედ — საქართველოსა და ტრაპიზონისაზე. აღირჩია უფლების — მექონე — ელჩად ფრანჩი პროტოვესტიარი, რომელიც მრავალ სიმდიდრითა წარგზავნა საქართველში. სტუმართმოვარე საქართველოში ფრანჩიმა აღირჩია მეფის სძლად ახალგაზრდა ასული ქართველთა მეფისა. მეფე-გიორგიმ, კმაყ-ოფილმა ბიზანტიასთან დამოყვრებით, არათუ არ მიიღო, ამ ქვეყნის ჩვეულებისამებრ, საჩუქრები ქალისთვის, არამედ პირიქით მისცა ქალს 56,000 ოქროს დუკატი და დაუ-ნიშნა მას ყოველწლიურად 5,000 დუკატი სარჩოდ. მეფე არწმუნებდა ელჩს, შენი შრომა უსასყიდლოდ არ დარჩება და როგორც იმპერატორმა შვილი მოგინათლაო, ისე ყო-ფად-დედოფალი (გიორგი მეფის ქალი) ეცდება შენის ქალის გაბედნიერებასაო. ელჩის კონსტანტინეპოლში დაბრუნების შემდეგ იმპერეტორმა სიგელით (გრამატით) დაამტ-კიცა სადედოფლოდ არჩეული ქალი მეფისა, თავისი ხელით დაასვა სიგელს სამი წითე-ლი ჯვარი და მეფე გიორგის გაგზავნილი ელჩი დაარწმუნა, რომ გაზაფხულის პირზე ბიზანტიელთა გეგმები წამოიყვანონ საქართველოდამ სასძლოსაო, იმავე ფრანჩის მიან-დო საიდუმლოდ, რათა მას კიპროსის შესახებ მინდობილობის აღსრულების შემდეგ, საქართველოდან წამოიყვანა ყოფად-იმპერატრიცა, ფრანჩი ზამთარს ემზადებოდა საქა-რთველოში წამოსასვლელად, მაგრამ აპრილს 1453 წლისას კონსტანტინეპოლს თურ-ქეთის ჯარებმა ალყა შემოარტყა, განძრახული ქორწინება დაირღვა, რადგან კონსტან-ტინეპოლმა ქალაქითურთ თან ჩაიტანა გმირულად მებრძოლი იმპერატორი.“

თედო ჟორდანია აღნიშნავს, რომ ისტორიკოსს, პლატონ იოსელიანს, ხელთ ჰქონია ბოლორნის წინამდგრის ნეოფიტესაგან ფრიადის ხელოვნებითა გადაწერილი კურთხ-ევანი, რომლის აღაპებში მოხსენიებული ყოფილა მეფე გიორგი VIII-ის მეორე ქალიშ-ვილი ნინო:

„მოიხსენიე ბატონიშვილი მეფის ასული ნინო.“¹

საქართველოსა და ბიზანტიის მმართველთა დამოყვრება არ იყო შემთხვევითი მოვ-ლენა, რადგან ოდითგანვე საქართველოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერთორწმუნე მართმადიდებელ ბიზანტიასთან. მათ ძალიან კარგად იცოდნენ ჭკვიანი და განათლებუ-ლი ქალების არსებობის შესახებ საქართველოში, ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ არჩევანი ქართველთა მეფის, გიორგი VIII-ის ქალიშვილზე, მარიამზე გააკეთეს.

მეფე დავით IV აღმაშენებლის მამიდა (მართა — მარიამი) XI საუკუნეში ბიზან-ტიის იმპერიის ერთადერთი არაბიზანტიური წარმოშობის დედოფლალი იყო.

მართა XI საუკუნის მსოფლიოს უძლიერეს და ერთ-ერთ ყველაზე უჭირავიან და გავლენიან ქალადა აღიარებული, მის გარეშე ბიზანტიაში არაფერი ხდებოდა.

მართამ ბიზანტიაში მიიღო სწავლა განათლება და 1065 წელს ცოლად გაჰყვა ბი-ზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X-ის ვაჟს, მიხეილს, რომელთანაც შეეძინა თავ-ისი ერთადერთი ვაჟი.

მართას შთაგონებით, მიხეილმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და 1071 წელს იმპერატორი გახდა მიხეილ VII-ის სახელით, მართა კი ბიზანტიის დედოფლად გვევლინება, რა დროსაც მას სახელად მარიამი ეწოდა.

ტახტზე ასვლიდან სულ შვიდ წელიწადში, 1078 წელს კვლავ მარიამის მონაწილე-ობით მოხდა კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება, რა დროსაც დამხეს მიხეილის მმართველობა და ტახტზე ნიკიფორე III ავიდა. ნიკიფორემ თავისი მმართველობის გასა-ძლიერებლად მარიამს სთხოვა ცოლად გაჰყოლოდა. მარიამი დათანხმდა ამ ქორწინებას მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი მის ვაჟს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადებდა, თუმცა

1. თ.ჟორდანია, „ქრონიკები“, 1897წ. ტ.2. გვერდი 285-287



ნიკიფორებ სიტყვა გატეხა, რის გამოც დედოფალმა შეარი დაუჭირა მმებ კომნენტოსებს, რომლებმაც მარიამთან ერთად კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს. 1081 წელს მათ დაამხეს ნიკიფორე III-ის მეფობა და ტახტზე ალექსი კომნენტი ავიდა. ამის შემდეგ ალექსიმ მარიამის ვაჟი თანამმართველად დანიშნა. მიუხედავად ამისა, დედოფალი ვაჟის ტახტზე ასაყვანად ბრძოლას კვლავ განაგრძობდა, თუმცა მისი ვაჟი 1096 წელს გარდაიცვალა, რის შემდეგაც მარიამი ჩამოსცილდა პოლიტიკას.

მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, მარიამი აქტიურად ეხმარებოდა თავის სამშობლოს კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებაში. სწორედ მან შთააგონა 1104 წელს თავის ძმისწელს, საქართველოს მეფე დავით IV-ს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარება. მისივე რჩევით დაარსა დავით მეფემ იყალთოსა და გელათის აკადემიები. საუკეთესო მოსწავლეები კი სწორედ მარიამის დახმარებით დავით აღმაშენებელს უცხოეთში გაჰყავდა, რათა მიეღოთ საუკეთესო ბიზანტიური განათლება და შემდეგ ისევ სამეფოს სამსახურში აბრუნებდა უკან. გარდა ამისა, იგი ეხმარებოდა იერუსალიმის წმინდა მიწასა და ათონის მთაზე მცხოვრებ სასულიერო მოღვაწეებს. მან დაარსა პეტრიწონის ქართული სავანე. მარიამმა დავით IV-ს გელათის სამეფო აკადემიისათვის გაუგზავნა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. სწორედ მარიამ დედოფალმა ასწავლა ბიზანტიულებს ჩანგლის გამოყენება.

ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინეს სიკვდილის გამო მისი მეფე გიორგი VIII-ის ქალიშვილ მარიამზე ქორწინება ვეღარ შედგა. ისიც აღსანიშნავია, რომ 1449 წლის 6 იანვარს, იმპერატორად მისი ხელდასხმისას, ტრადიციისამებრ, პატრიარქის მიერ მისი კურთხევა არ მოხსდარა. მთელი შემდგომი წლების მანძილზე ის ქალაქს ამზადებდა თურქების თავდასხმისაგან დასაცავად და ეძებდა დახმარებას დასავლეთში.

1453 წელს მეჰმედთან ბრძოლაში კონსტანტინე აღმოჩნდა მარტო — დასავლეთიდან დაპირებული დახმარება არ მოვიდა.

ნიშანდობლივია, რომ კონსტანტინოპოლის უკანასკნელი ალყის დროს ბიზანტიულმა ოლიგარქებმა არათუ არ გაიღეს ერთი კაპიკიც კი ქალაქის დასაცავად, არამედ ის მწირი სახსრებიც კი დაიტაცეს, რაც ხაზინაში იყო დარჩენილი.

კონსტანტინოპოლის უკანასკნელი ალყის დროს, გამოჩენილმა უნგრელმა შეცნიერმა ურბანმა ურჩია იმპერატორს დიდი ზარბაზნების დამზადება, რომელთაც შეეძლოთ თურქული ჯარის განადვურება, მაგრამ ხაზინა ცარიელი იყო, ხოლო კონსტანტინოპოლელმა ოლიგარქებმა ფული დაინანეს. ურბანმაც, რადგან რჩევა არ დაუფასეს, თავისი სამსახური სულთან მეჰმედს შესთავაზა. სულთანმა შანსი არ გაუშვა ხელიდან. მან დააფინანსა უნგრელის პროექტი და ბალისტიკის ბიზანტიური სკოლის საუკეთესო შეგირდის ზარბაზნებით ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას!

მეფე გიორგი VIII, მიუხედავად შიდა აშლილობისა, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ იბრძოდა ანტიოქიალური კოალიციის შექმნაზე. ამ მიზნით მან 1458-1459 წელს ევროპაში გააგზავნა ულჩები.

პაპი პიუს II-ც ცდილობს ანტიოქიალური კოალიცია ევროპელ მეფეთა ჩართვითაც განამტკიცოს.

ქართველი ელჩები ეწვივნენ არა მარტო პაპს, არამედ საფრანგეთის მეფეს შარლ VII-ს (1422-1461), შემდეგ მის შვილს ლუი XI-ს (1461-1482), მაგრამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც ევროპის ქვეყნებმა ოსმალეთთან მორიგება არჩიეს.¹



1. <https://ka.wikipedia.org/wiki/გიორგი—VIII>

თავი VIII

ბოდორნის ღვთისმმოგლის ეკლესია არაგვის ერისთავ შაბურიძეების სალოცავი და საძვალე



ბოდორნას „ციხე მაგარს“ უწოდებს: „ოხერ-ხიდას ჩრდილოთ არს ბოდორნის ქვაბნა გამოკვეტილნი და ციხე მაგარი.“¹

ამჟამად იქ ციხის ნანგრევების არავითარი კვალი აღარ შეინიშნება. 1417 წელს



ოდორნის ღვთისმმობლის ეკლესია მდებარეობს სამხედრო გზაზე ბაზალეთის ტბის ასახვეთან, არაგვის მარჯვენა ნაპირას, გამოქვაბულებით გარშემორტყმულ კლდეზე, ღუშეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 880 მეტრზე.


ბოდორნის ღვთისმმობლის ეკლესია რიყის ქვითა და აგურით ნაშენი გუმბათოვანი დარბაზული ეკლესიაა (10.4×7.1 მ).

როგორც 1474 წ. 24 ივნის ბოდორნის მონასტრის გუჯარით ირკვევა, ბოდორნის ეკლესია აშენებულია XV საუკუნემდე არაგვის ერისთავ შაბურიძეების მიერ, იგი იყო მათი სალოცავი და სამარხი ადგილი:

„ძუელად ჩუენთა პაპათაგან აღშენებული მცირე აკლდამაი ჩუენ ახლადვე განვაახლეთ და აღვაშენეთ აწ ჩუენისა სულისა სახსრად გადადრეთ და მაგანსენეთ.“

ვახუშტი ბაგრატიონი

1. „ქართლის ცხოვრება,“ 1973 წ. ტ. IV. გვ. 353



ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის პატიოს ნარჩენა

ბოდორნის ღვთისმშობლის დანგრეული ეკლესია არაგვის ერისთავებს აღუდგენიათ. მოგვიანებით, XVII საუკუნის შუა ხანებში, ეკლესიის სამხრეთით მცირე სამლოცველო მიუშენებიათ, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს.

ბოდორნის გუმბათოვან ეკლესიას მრავალგზის განუცდია გადაკეთება-განახლება. ეკლესიას თანამედროვე სახე მიუღია 1717 წელს, რაზეც მიუთითებდა ეკლესიის განმახლებლების არაგვის ერისთავის შვილის ნინოწმინდელი ეპისკოპოსის მიტრაფონესა და სახლთხუცეს ქაიყუბათ კობიაშვილის მიერ ეკლესიის სამხრეთ კედელზე მოთავსებული წარწერა.

წარწერა ასე იკითხება:

„ქ. დედაო ქრისტესო ქალწულო მარიამ მეოთხ მექმენ მე. არაგვის ერისთავის შვილს ნინოწმინდელს მიტრაფონეს და ჩემთანა მშრომელს კობიაშვილისა სახლთუბუცეს ქაიყუბათს, რომელთა განვაახლეთ ტაძარი შენი ბოდორნას რომელი დარღვეულიყო ჟამთა გრძელთაგან ხოლო გარდავიცვალე ამიერ სოფლად და ქაიყუბათ სახლთხუცესმა სრულყო დიდის შრომითა და წარსაგებლითა ადიდოს ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა ქორონიკონსა უე (1717წ).“

1912 წელს ეკლესია საფუძვლიანად შეაკეთეს. შესასვლელები სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა, დასავლეთის შესასვლელი 1912 წლის შეკეთების დროსაა გაჭრილი. სამხრეთის შესასვლელი კი დაკეთილია.

არაგვის ერისთავების შაბურიძეების მიერ ღვთისმშობლის საპატივცემულოდ



ბოდორნის ეკლესიის აშენება უნდა უკავშირდებოდეს ამ ტეროტორიაზე მდებარე უძველესი ღვთისმშობლის სახელობის გამოქვაბულს.

მეცნიერი კობა ზარაძე დეტალურად აღწერს ამ გამოქვაბულს: „ბოდორნის ფლატის ქვედა ნაწილში, არაგვის ხეობიდან 70 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს საინტერესო გამოქვაბული. სამხედრო გზიდან მომზირალ ადამიანს იგი ჩვეულებრივ სახითარ ქვაბად ეჩვენება და აზრადაც არ მოუვა მისი ჭეშმარიტი დანიშნულება. შიგ შესული ადამიანი რწმუნდება, რომ ეს არის გამოქვაბული ეკლესია, რომელსაც „გუმბათი“ და სხვა არქიტექტურული დეტალები აქვს, ხალხი მასაც ღვთისმშობელს უწოდებს. აქვე აღმართულ ფლატეზე მოჩანს 15 მეტრი სიმაღლის ბოდორნის სვეტი, მის ქვედა ნაწილში გამოჭრილია ოროთახიანი გამოქვაბული, რომლის კედლებშიც თახჩებია მოწყობილი. სავარაუდოდ, ბოდორნის სვეტი წარმართულ ხანაში ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა, ადრე ქრისტიანულ პერიოდში კი — მესვეტის საცხოვრებელ ადგილს.“¹

ბოდორნის გამოქვაბულებს უკავშირდება ქართველების წინააღმდეგ თემურლენგის დაუნდობელი ბრძოლები.

1401–1402 წელს, როდესაც თემურ ლენგი მესამედ შემოესია საქართველოს, მტრისგან დასაცავად არაგვის ერისთავებმა მოსახლეობა ბოდორნის გამოქვაბულში გახიზნეს.

შუა აზიელი ქამთააღმწერლის, თემურ ლენგის მემატიანის, შერეფადინის ცნობით, მონღოლები ისრების წვერზე ნაჭრებს ახვევდნენ, ნავთს ასხამდნენ და ცეცხლმოკიდებულ ისრებს გამოქვაბულებში ისროდნენ. მიუხედავად ამისა, საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს, მაშინ ყაენმა გამოქვაბულებში შესაღწევად კლდიდან საბელიანი კალათებით მეომრები ჩამოაშვებინა. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „...ქართველები ხმლებით ჭრიდნენ საბლებს, კალათები მონღოლი ჯარისკაცებით უფსკრულში ცვიოდა და იღუპებოდნენ. ამ დროს 700 ქალაქი და სოფელი მიწასთან იყო გასწორებული. არ დარჩენილა არც ერთი ეკლესია, თემურს რომ არ დაერბიოს, თვით დიდებული სვეტიცხოველიც.“²

ამჟამად ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია მოქმედია და წილკნისა და დუშეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია.

ყოველი წლის 21 სექტემბერს, ბოდორნის ეკლესიაში აღინიშნება „ღვთისმშობლობა“, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბოდორნობას“, ხოლო შაბურიშვილები საკუთარი გვარის დღესასწაულსაც ეძახიან.

ამ დღეს უამრავი მორწმუნე მოდის სხვადასხვა რაიონიდან სალოცავად და დამის სათევად.

1. კობა ზარაძე, „ბოდორნის სვეტი,“ გაზეთი, სოფლის ცხოვრება“ 1980 წ.

2. ფანე ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“. 1966 წ. ტ. II. გვ. 315

თავი IX

1474 წლის 24 ივნისის ბოდორის მონასტრის გუჯარი

Qსტორიკოსი თ. ქორდანია გუჯარის შესახებ აღნიშნავს:

„1474 წლის 24 ივნისს ტყავზე ხუცურ — ნუსხურად დაწერილა ერისთავთ-ერისთავ ვამიყ შაბურიძის მიერ ბოდორნის ეკლესიისათვის ბოძებული გუჯარი, რომლითაც ეკლესიისთვის გადაუცია სოფელი ხანდაკი და წყალობის წიგნით დაუდგენია ღვთისმსახურების წესები.“

ბოდორნის მონასტრის 1474 წლის 24 ივნისის სიგელის თავში დახატულია მაკურთხეველი მაცხოვარი და აქეთ-იქით ორი ანგელოზი. ამის ქვემოთ, მარჯვნივ დახატულია მდიდრულად შემოსილი კაცი ასომთავრული წარწერით: „ერისთავი ვამიყ“ და მარცხნივ ქალი წარწერით: „პატრონი ღულარდუხტ“ — ორნივე დაჩოქილნი. გუჯარიდან ირკვევა რომ ერისთავ ვამიყ შაბურიძის მეუღლე ღულარდუხტი ყოფილი მონაზონი (დომნე) ყოფილა.


გუჯარი იწყება ღვთისმშობლის დიდებით, გულში ჩამწვდომია ერისთავის სიტყვები, რომლითაც ის მიმართავს ღვთისმშობელს, საიდანაც ჩანს მისი ღრმადმორწმუნეობა და სიმდაბლე:

„ქ. ... ესე უცვალებელი ... წიგნი ... გკადრეთ ... ხატსა მაცხოვრისასა ... და შენ, დედასა ნათლისა მის მიუაჩრდილებელისასა, თეთროსანსა ღულისმშობელისა, მხსნელსა ქრისტეანეთასა. მოვედით ცოტნებისაგან გონებად და მოვიგონეთ და გულისხმა ვყავთ მე, ერისთავთ ერისთავმან, სახით ოდენ წოდებულმან, ვამიყ შაბურისძემან და ჩუენმან თანა-მეცხედრემან, სახელითა ოდენ ღულარდუხტ-ყოფილმან მონაზონმან დომნე. და აღვირჩიეთ საუკუნო ცხოვრება ამა სოფელსა, რომელთა წარმოგვევლინეს და წარმოგვეცალიერნეს დღენი ჩუენნი მედგრობითა და ჯამნი ჩუენნი არა-წმინდებითა, დაღონებულ ვიქმნენით ცოდვათა ჩუენთა სიმრავლისაგან. აწ



ბოდორის დათისმშობლის ეპლესის გუჯარი

მოვედით მოწიწებით და მუხლ-დრეკით და შემოგეხვეწენით, სულითა და ხორცითა ვირჩივეთ თქუენი მონდობა და შემოვედრება. ძუელად ჩუენთა პაპათაგან აღშენებული მცირე აკლდამაი ჩუენ ახლადვე განვაახლეთ და აღვაშენეთ. აწ ჩუენისა სულისა სახსრად გკადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ ჩუენი მკვიდრი მამული, სოფელი ხანდაკი მისითა მზღურითა, ხევს-უკანით ვიდრე მეფისა სამზღუართამდის; მოგახსენებდენ წელიწადსა შიგა კომლსა ზედა სამ-სამსა კაბიწსა პურსა ყალნად და რიგის პურად ერთი კაბიწი პური და ერთი საკლავი და ერთი კოკაი ღვინო კომლსა ზედა, და კომლსა ზედა თვითო ჩარექი ცვილი; ვენახნი, სადამდის გაიყოფოლენ, მესამედი ტკბილი. მას გარეთ თვითოსა ალოვნობასა ოთხ-ოთხი ღლე ხნეაი და მისი მომუშავებაი ესრე რომე ღლე დეკანოზთა მოხუდებოდეს და ორ-ორი ღლეს საყდარსა; და ამას გარეთ ზურისა მუშაობაი და საყდრისა, რაცა მისა საყდრისა მისახდომი პური და ღვინო იყოს, იგი საყდარსა შიგა მათგან მიიღებოდეს. აწ ამისი ასრე გაგვიჩენია: ვინც-ვინ ჩუენისა სულისა მწირველნი და მლოცველნი იყვნეთ, კალოს კაბიწსა და კულუხსა თქუენთვის საზრდოდ მოიკლებდით და ოროლი ღლისა ნახნავსა და თითოსა ალოვნობასა მასცა თქუენთვის მოიკლებდეთ; ასრე რომე თორმეტთა ღლეთა საუფლოთა ჩუენ ოდენ სახელწოდებულისა ვამიყისთვის სწირვიდით და მარხვათა — დულარდუხტ — ყოფილისა მონაზონისა ღომნესთვის სწირვიდით, და მას გარეთ სახასოსა ზურისაგან და ნახნავისაგან გარდაიხდებოდეს აღაპი სეკდემბერსა ვ (6) და აგვისტოსა ვ (6) ვამიყისთვის. და კიდევე აგვისტოსა იე (15) ღვთისმშობლობასა. და ხარჯუებასა დულარდუხტ — ყოფილისა მონაზონისა ღომნესთვის დეკემბერს კვ (26) კრებასა ღვთისმშობლისასა შაბურისძეთათვის და მათის შვილისა მიქიასთვის. ასრე რომე თვითოსა აღაპსა შიგა წაიგებოდეს თვითოი კაბიწი პური და კოკა გუერდი ღვინო და ოთხ-ოთხი ზურგიელი. აწ ვინცა-ვინ დეკანოზნი იყვნეთ, მოატანინებდით ხანდაკელთა სააღაპედ ექუსსა კაბიწსა და გუერდსა პურსა და ცხრასა კოკასა ღვინოსა და ამისაგან დეკანოზი კაბიწ გუერდსა პურსა და კოკა-გუერდსა ღვინოსა თევზად გაჰყიდდეს და აღაპშიგა წააგებდის, და მას გარეთ რაც პური და ღვინო დარჩებოდეს, დეკანოზი თანა-წარყვებოდენ და ხანდაკელთა მათითა ულაყითა ქალაქს წააღებინებდენ და მისგან იყიდდენ ორმოც-და-ათსა ლიტრასა ზეთსა, და თექუსმეტსა ლიტრასა ცვილსა და მისსა საკმეველსა და ამას რაცა თეთრი დარცებოდეს, მას დეკანოზნი საყდარსა შინა დასდებენ, და უამის სიმცირისაგან თუ პურმან და ღვინომან აკლოს და საყოფნი ზეთი და ცვილი ვეღარ იყიდონ ერთის წლისა საყოფნი, მაშინ თეთრსა შეიწევდენ და ზეთსა და ცვილსა იყიდდენ. და ნუ მოგუეშლების ღლე-დაღამე ენთებოდეს და ხუთი აღაპი კარგაღებული გარდაიხდებოდეს და მას გარეთ დიდთა მარხუათა შინა კელაპტარი აენთებოდეს. — აწ პატრონნო მეფენო, და პატრონნო ერისთავნო, და ხელმწიფენო, ეპისკოპოზნო, მოზანნო, მღვდელნო და დიაკონნო; შვილნო და მომავალნო, ზედანო და ქუედანო, რომელნი ესვით ხატსა მაცხოვრისასა და ანუ რომელნი მოელით განკითხვასა შინა მეოხედ და ხელის აღმპყრობელად ზეცისა ერისთავთა მიქელს და გაბრიელთა და ანუ რომელნი ესვით დედასა ნათლისა მის მიუჩრდილებელისასა, ღთისმშობელსა მხსნელსა ქრისტეანეთასა, — ყოველთავე გევედრებით, ნუ ვინ მოუშლით მცირესა ამას შესაწირვასა, რომელი მოვიგონეთ და გულისხმა ვეგავით სახელითა ოდენ წოდებულთა მე, შაბურისძემან ვამიყ და ჩუენმან მეუღლემან, დულარდუხტ, აღვირჩიეთ ამა სოფელსა საუკუნო ცხორება, რომელთა წარმოგვეცალიერნეს ღლენი ჩუენნი მედგრობითა და ჯამნი ჩუენნი არა-წმინდებითა; დაღონებულ ვიქმენით ცოდვათა ჩუენთა სიმრავლისაგან. აწ მოვედით მოწიწებით



და მუხლ-დაყრით და შემოგეხვეწენით ... და შემოგწირეთ ჩუენი მკვიდრი მამული — სოფელი ხანდაკი, მისივე მზღურითა, ხევსუქნით ვიდრე მეფისა მზღუართამდის: მისითა ყოვლითა გამოსავლითა, ველითა, ვენახითა, სათიბითა ... ვერავინ საქმე დაიგდოს, თვინიერ ხატის მაცხოვრის მეტმან, ვერა მეფემან, ვერ დედოფალმან, ვერცა ერისთავთა, ვერც მოურავთა და ხელისუფალთა. არა გეთხოებოდეს რა და თქუენსა კარსა არა მოგადგებოდეს, ჩუენო მკვიდრნო ყმანო, ხანდაკელნო, არა ლაშქრობაი, არა მალი, ულუფაი, არა მუდამი მუშაობა, არა საჯინიბო, არა საბაზიერო, არა საწელიწდისთაო, არა სააღებო, არა საყველიერო, არცა გორისა დაარცა ქალაქისა და უინგანისა მუშაობა, არაფერი საქმე თქუენსა კარსა არა მოადგებოდეს, თვინიერ ერთისა ხატისა სამსახურის მეტი — ესე ასრე გაგითავდეს და ვერავინ შეგიცვალოს, ვერცა მეფეთა, ვერცა დედოფალთა, ვერცა ჩუენისა სახლისა და გუარისა კაცმან ... ვერავინ შეგიცვალოს ... (წყევა დამრღვევის მიმართ) ...

დაიწერა ქორონიკონსა რბბ (1474 წ.), თვესა ივნისსა კდ (24). ხელითა ფრიად ცოდვილისა და გლახაკისა კარისა მწიგნობრისა კედელასშვილისა საბასითა.“

საბუთს მიწერილია აქვს ერისთავ შაბურიძეთა სახლის წევრთა მტკიცებულებები:

„მე ფრიად ცოდვილსა ერისთავსა ვამიყსა დამიმტკიცებია.“

„მე ცოდვილსა გიორგის დამიმტკიცებია.“

„მე ფრიად ცოდვილსა ომარს დამიმტკიცებია და მოწამეცა ვარ ნებითა ღვთისათა.“¹

დაახლოებით XV საუკუნის შუა ხანებიდან არაგვის საერისთაო ფაქტობრივად ერისთავების მამულად ანუ სათავადოდ იქცა.



ისტორიკოსი დ. გვრიტიშვილი აღნიშნული გუჯარის ანალიზისას ეხება არაგვის საერისთავოს სათავადოდ გადაქცევის საკითხს და სეამს კითხვას: „როდის უნდა გადაქცეულიყო არაგვის საერისთავო სათავადოდ? ამ საკითხზე პასუხის გასაცემად ძვირფას მასალას იძლევა 1474 წლის 24 ივნისის ბოლორნის მონასტრის გუჯარი, რომელიც თედო ჟორდანიას აქვს გამოცემული. ისტორიკოსი შენიშნავს: „ გუჯრის თავს ხელოვნურად დახატულია მაკურთხეველი მაცხოვარი და იქით-აქეთ ორი ანგელოზი, ქვემოთ ამათსა მარჯვნივ დახატულია მდიდრულად შემოსილი კაცი ასომთავრული წარწერით:“

„ე(რისთავი) ვამიყ“ და მარცხნივ ქალი წარწერით: „პატრონი დულარდუხტ“ — ორივე დახოქილნი. გავიხსენოთ „ძეგლი ერისთავთა,“ ისიც ერისთავის სურათის შემცველია. ამ პერიოდში ასეთი რამ ჩვეულებრივ ამბად ქცეულა. რა პირობებშია მოსალოდნელი ყოველივე ეს? ეს მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საქვეყნოდ გამრიგე მოხელე თავის ძალას გრძნობს, როცა ის ქვეყანაში ცნობილი ხდება საკუთარი ყმა-მამულით უფრო, ვიდრე თავისი სამოხელეო სარგოთი. გუჯარში ჩამოთვლილია სამსახურის ის სახეები, რომლებიც ხანდაკელებმა უნდა შეუსრულონ ეკლესიას. როგორც ვხედავთ, საგვარეულო სასაფლაო გააჩნიათ შაბურიძეებს. ეს კი სათავადოს ერთი ატრიბუტთაგანია.“²

გუჯარი დაწერილია 1474 წელს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროისთვისაც არაგვის ერისთავები შაბურიძეები იყვნენ, მაგრამ საქართველო უკვე იყო დაშლილ — დანაწევრებული.

1. თედო ჟორდანია, „ქორონიკები,“ 1897 წ. ტ 2, გვ. 291-293. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საბუთი №5009

2. დ.გვრიტიშვილი. „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.“ თბ. 1955 წ. გვ. 90



1399-1419 წლებში სპეციციონალის ტამრისადამ შემორჩენის ფიგური



მცხეთა

და წმ. ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი.

ლეგენდის მიხედვით მცხეთელი ებრაელი ელიოზი იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას დასწრებია, „კვართი უფლისაი“ შეუძენია და ჩამოუტანია მცხეთაში. აქ, ქალაქის ბჭესთან ელიოზს დახვედრია მისი და სიდონია – ქრისტეს მიერ ნაქადაგევი სარწმუნოების მიმდევარი. სიდონიას მმისათვის პერანგი გამოუტაცია და იქვე სული განუტევებია. რაკი ქრისტეს პერანგი მისთვის ხელიდან ვერ წაურთმევიათ, პერანგიანად დაუმარხავთ. სიდონიას საფლავზე ამოსულა კვიპაროსი. მას შემდეგ, რაც IV საუკუნის 30-იან წლებში ქართლის მეფემ მირიანმა ირწმუნა ნინოს მიერ ნაქადაგები ახალი რელიგია – ქრისტიანობა, ბრძანა ეკლესიის აგება. მოკვეთეს საფლავზე ამოსული კვიპაროსი და მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. დაიწყეს შენებლობა. ექვსი სვეტი აღმართეს კილეც, მაგრამ მეშვიდე ჰაერში ჩამოეკიდა და ვერ დარეს ადგილიდან. ნინოს მთელი ღამე მხურვალე ლოცვაში გაუტარებია, დილით მომხდარა „სასწაული“ – „სვეტი ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და მტკიცედ შეერწყა შეუხებლად ხელისაგან კაცთასა“. სვეტი გაფოთლილა და მისგან დენა დაუწყია მირონს, რომელიც „მსწრაფლ კურნავდა“ სწეულთ. სვეტს უწოდეს „სვეტი ცხოველი“ – სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი. აქედან წარმოსდგა თვით ტაძრის სახელწოდებაც.



სპეციციონალი

სვეტიცხოველი უძველესი ისტორიული საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში დღემდე მოღწეულთა შორის. იგი საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანული საქართველოს სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა.

სვეტიცხოველი XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია ოთხ დიდ კათედრალთაგან (ოშკი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი).

სვეტიცხოველში დაკრძალულია უფლის კვართი



შუა საუკუნეების საქართველოში სვეტიცხოველი იყო მრავალი მეფის, მათი ოჯახის წევრების და პატრიარქთა დასაკრძალი ადგილი, რომელსაც უამრავ სიმდიდრესა და მამულებს სწირავდნენ ქართველი დიდებულები...

1399-1419 წლებში, ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ელიოზის (ერისკაცობაში — ელიოზ გობირახისძე) ზეობის წლებში, დაწერილა არაგვის ერისთავ ნუგზარ შაბურიძის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრისათვის ბოძებული ორი შეწირულობის წიგნი.

ერისთავმა ნუგზარ შაბურიძემ ამ შეწირულობის წიგნებით სვეტიცხოვლის ეკლესიას შესწირა სოფელი ატენი (გორის რაიონი) და ვენახი. წყალობის წიგნები ძალიან დაზიანებულია და ძნელად იკითხება:

„ქ. თქვენ ... სებელ ექმენ ყო... უწერელი და უხილავ ხარ ან...ვარებით სამწმინდაობისა ყმითა მამაო ძე... საო თქვენ ყოვლად წმინდაო მუცლითა მტუირ...ნებულიქმენ ტაძრად ტაძარი სულისა წა...არა მუცლით ქალწულო გარნა სულით ... გამორჩეულო დედოფალო ღვთისმშობელო მაღიდებელმან თქვენმან და მსასოებელმან და მინდობილმან ცვა-ფარვათა თქვენთამან ერისთავმან შაბურისძემან ნუგზარ რაოდენი ქება და დიდების მეტყველება შეწირო თქვენდა მომართ ჩემდა ესრეთ წყალობა აურაცხელისა და რადამც უკუილაგმა გონება ჩემი სამსახურებლად სვეტისა ღვთივ აღმართებულისა კვართისა საუფლოსა და მირონისა და ღვთივ ყოფელისა და შევწირე და მოგახსენე დედაქალაქსა საყდარსა ბოტოტას ჩემგან ჩემითა საქონლითა ნასყიდი თბილელაური ვენახი მისით მიწითა, წყლითა და სამართლიანითა მზღვრითა, სახმრითა და უხმრითა, ყუელათა მკვიდრად და სამამულოდ და უცილობელად ყოველისა კაცისაგან, ვითა ვერავინ მკადრე არს შეცილებად რასმე და ესე ჩემგან შეწირული თბილელაური ვენახი პირველ მას მისისა მემკვიდრესა თბილელის ძეს ციხეისათვის მიეყიდნა და მისად შედეგად მე ერისთავმა ნუგზარ ვიყიდე და მოგახსენე და შემოგწირე თქვენ სვეტსა ცხოველსა მოსატევებლად ცოდვათა ჩემთა, რაითა მეოს მექმნა დღესა მას საშინელსა და ზარის სახდელსა და რაცდა იმ ვენახისა გმოსავალი იყოს, მოიხმარებდეს ტაძრისა თქვენისა მპყრობელი ქათალიკოზნი და დღეს დამითულია და მომისხსენებია პატრიონს მღდელთ მთავარს მთავრისა ქართლისა ქათალიკოზნისათუის მისისა უაშსა და სუფეეასა შიგან იგულისმოდგინე ღუაწად ცოდვილისა ამისა სულისა ჩემისა და ამა ჩემმიერთა ნაღვაწითა ყოველ წელიწადსა ნათლის ღებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იანვრისა ექუსსა კარლებული აღაპი გარდაიხდებოდეს ცოდვილისა ამის სულისა ჩემისათვის. და ვინაც და რამანაც გუარმან კაცმან შემიცვალოს და მოშალოს ესე ჩემ მიერ სასოებით და გულისმოდგინებით ნაღუაწი და შეწირული, შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტეანეთასა და რისხავსმცა მამა ძე და სულიწმინდა, ნესტორს და ოროგინეს თანამცა არს ნაწილი და სამკვიდრებელი მისი და ჩემთამცა ბრალთა მზღვევია წინაშე ღვთისა.“¹

საბუთს თან ახლავს ერისთავ ნუგზარ შაბურიძის ხელრთვა:

„.....ქ. მე ერისთვსა ნუგზარსა მომხსენება ჩემსა სულსა სამალოცაველოდ და საღაპედა.“¹


1669 წლის ცილკის ღვთისმოგზლის სამხოს სიგალი

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დომენტი III-ის (1660-1676 წ) განკარგულებით 1669 წლის 5 აგვისტოს დაწერილა წილკნის სამწყსოს დრამისა და საწირავის გარიგების სიგელი (წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელი), რომლის ერთ-ერთ ქვეთავეში მოცემულია საშაბუროს მოსახლე აზნაურიშვილ შაბურიშვილთა და მის ქვეშერდომთა ბეგარის ნუსხა:

„შაბურიშვილი, სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდენ, ან მეუღლენი მათნი, კაცზედ

1. თედო ქორდანია, „ქრისტე“, 1897 წ., გვ. 205. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საბუთი 1756





— მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი — ერთი წილკნელისა, ერთი თავის; სუჯრის იარაღი და თასი. აგრეთვე მათის მეუღლისა — საწირავი, ნისანი, ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი, მთლად ორი წასახურავი — ესენი წილკნელს უნდა მიართვან.

თუ უმცროსი კაცი ან უცოლო მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი, რაც შეეძლოს, საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ.

ხუცესს — ერთ დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი.

სოფელს: ერთ დღეს ჩაყენება.

კომლზე დრამა — პური პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი.

მსახური თუ სოფლის მოხელე კაცი თუ მოკვდეს — საწირავი, ცხენი შეკაზმული. აგრევე მათის მეუღლისა, რაც შეძლოს საწირავი მიართონ.

საკანონო, რაც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით ...“

არაგვის ერისთავების სამფლობელოში შედიოდა თუ არა ზედა მთიანეთი და რომელი ერისთავების დროს? ეს საკითხი ჯერ კიდევ XVII საუკუნის II ნახევარშიც აინტერესებდათ, რაც ასახულია ქვემოთ მოტანილ წილკნელის სამწყოს სიგელში.

სამწყოს სიგელში ნათქვამია: „... ქ. ანაურს ზევითი ხევს გარდა ისე წილკნელის ათორმეტთაგანის მოქცეული არის. რახან წმინდის ემბაზის შეინილიყვნენ, იმათი ეფისკოპოზი ვინც ვინ წილკნელი ყოფილან, იმათ სამწყოს ყოფილა. მცირედ მცირედ ქრისტიანობა შამოუღიათ, ხუცესი და დიაკონი დაუდგინებიათ, წმინდის ნათლისღების შვილობა გამრავლებულა. არაგვის ერისთავი არვინ ყოფილა იმის მოქცევაში ერისთავათ თვინიერ შაბურიშვილის (შაბურიძე) მეტი. იმას ჭერია დაბალი საერისთო. ანაურის ზევით მთიულეთს წილკნელისა არა ედვა რა: არა დრამა, არა საწირავი, არა სახუცო, არც ძველ გუჯარში ეწერა. ...“¹

ისტორიკოსი ვახტანგ ითონიშვილი აღნიშნავს, რომ „წილკნის სამწყოს სიგელით“ ირკვევა, რომ არაგვის ერისთავთა ძალაუფლება უფრო მეტად ვრცელდებოდა არაგვის საერისთავოს ბარის ზოლზე, ანუ „ დაბალ საერისთაოზე“, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება რამდენადმე უფრო დაწინაურებული იყო იმავე საერისთაოს მთის ზოლთან შედარებით.²

საყურადღებოა, რომ წილკნის სამწყოს სიგელი არაგვის ერისთავებს შაბურიძეების ნაცვლად შაბურიშვილებად მოიხსენიებს, რაც გარდა სხვა მტკიცებულებებისა, უტყუარად ადასტურებს შაბურიძეების გვარიდან შაბურიშვილების მემკვიდრეობას. ლაპარაკია წარსულ დროზე, რომ ადრე მხოლოდ შაბურიშვილების არაგვის ერისთავობის პერიოდში იყო მთიულეთი მოქცეული არაგვის საერისთავოში, ამასთან ახსენებს, რომ გადასახლებიც კი არ ედოთო და ამით მიანიშნებს, რომ გამორჩეული ერისთავები იყვნენ.

სიგელის განხილვისას ისტორიკოსი დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ აქ ორი დეტალი იპყრობს ჩვენს ყურადღებას. წილკნელის სარგოს წიგნი განახლებულია 1669 წელს, ამ დროს არაგვის ერისთავებად სხედან სხვა გვარის წარმომადგენლები, მაგრამ რაღაცა გზით, ეგების ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი საბუთებით, წილკნელის წიგნის შემდგენელმა იცის, რომ პირველად არაგვის ერისთავები იყვნენ არა მის დროს მსხდომთა გვარისანი, არამედ შაბურიშვილი (შაბურიძე). ამავე დროს სარგოს წიგნის აზრით, არაგვის საერისთავო მთელს არაგვის ხეობას კი არ მოიცავდა, არამედ მხოლოდ მის ერთ ნაწილს — ბარის ზოლს. გარდა შაბურიძეების უმუალო საბუთებისა, წილკნელის სარგოს წიგნიც შაბურიძეებს არაგვის ერისთავებად სთვლის.“³

1. წილკნის ღვთისმშობლის სამწყოს სიგელი, 1669 წ. ქსდ, III. თბ. 1970, გვ. 558

2. ვ. ითონიშვილი, „არაგვის ხეობა“ 1986 წ. გვ. 51

3. დ. გვრიტიშვილი, „უეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან.“ გვ. 86

XVII საუკუნის საეპლესიო „ოთხთავი“

XVII საუკუნით დათარიღებულია საეკლესიო „ოთხთავი“ სხვადასხვა დროის მინაწერებით. მხედრული დამწერლობით შესრულებულ ხელნაწერთა წიგნის რამოდენიმე მინაწერში, იხსენიება თინათინ შერმაზანის ასულ შაბურიშვილის გვარ-სახელი:

„წმინდაო მათე, მეოხ ექმენ მონასა შაბურიშვილისა შერმაზანის ასულსა თინათინს, შეეწიე, სულსა მისესა, შეუნდევი ...“ (გვერდი 2 რ).

„... ნდო მარკოზ, უხრწენელო დასასრუ ... ნებისა ღთისო, მეოხ ექმენ სულსა თინათინისასა (შაბურიშვილი), ამინ კრიალისონ.“ (გვერდი 49 ვ).

„წმინდაო ლუკა, პატიოსანო მარგალიტო, დამამტკიცებელო საკურთხევლისანო. მეოხ ექმენ სულსა თინათინისასა (შაბურიშვილი) ამინ, ამინ.“ (გვერდი 80 ვ).

„წმინდაო მთიებო. დაუღამებელო, ცოდვათა მომტოებელო და ქადაგეისა მ...ო, მეოხ ექმენ სულსა ცოდვილისა თინათინისსა (შაბურიშვილი), ამინ.“ (გვერდი 130 რ).¹

მინაწერები, სავარაუდოდ, (კალიგრაფიის მიხედვით) XVII საუკუნის II ნახევრით თარიღდება. შესაბამისად მასში მოხსენიებული თინათინ შერმაზანის ასული შაბურიშვილი ამავე პერიოდში მოღვაწე უნდა იყოს, რომელიც ღმრთისადმი კეთილი საქმისა და სარწმუნოებისათვის გაღებული უხვი შესაწირის გამო მისი სახელობის სულის მოსახსენიებელი „ოთხთავზე“ დაუტანიათ.

როგორც ავღნიშნეთ, შაბურიძენი, როგორც არაგვის ერისთავები, ისტორიულ წყაროებში ჩნდებიან XIII საუკუნეში, მაგრამ სანამ არაგვის ერისთავობას მიაღწევდნენ წინარე საუკუნეებშიც ცნობილი და გავლენიანი პიროვნებები უნდა ყოფილიყვნენ.

კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ისტორიის შესახებ პირველადი დოკუმენტები, თავის ისტორიულ წიგნში „დავით აღმაშენებელი“ მოიხსენიებს გიორგი შაბურიძეს, რომელსაც ჭყონდიდელი სხვებთან ერთად აგზავნის ყივჩაღეთში დავით აღმაშენებელის საცოლის, გულარდუხტის ჩამოსაყვანად:

გიორგი ჭყონდიდელი ანგარიშს უწევდა რა საგარეო ვითარებას, ძალიან საშურ საქმედ მიაჩნდა განთქმული მეომრების, ყივჩაღების ჩამოსახლება და სპის (ჯარის) გაძლიერება. ყივჩაღები კი ჩამოსახლებემდე ითხოვდნენ, რომ დავით მეფეს ყივჩაღი ქალი შეერთო ცოლად.

ეს არ იყო ადვილი გადასაწყვეტი, რადგან გარდა რელიგიური მოსაზრებებისა, დიდგვაროვნებიც შიშობდნენ: „ვაითუ მოუსვენარმა ყივჩაღებმა სამეფო აგვირიონ და ნებით შემოვეანილი უცხო ნათესავი გასაუჟი გაგვიხდეს ჩვენვე.“

„ახლა კი დროა სარწმუნო კაცნი წარვაგზავნოთ ყივჩაღეთს, უთხრა ჭყონდიდელმა დავით მეფეს.“

ბოლოს შერჩეულ იქნენ:

2 (ორი) ეპისკოპოსი: ყუმერდოელი და იშხნელი,

5 (ხუთი) ციხოვანი აზნაური: ელაშერ ელაშერიძე, გიორგი შაბურიძე, ვამეხ ურდოელი და ყივჩაღეთს ადრე ნამყოფი ხურცისძე და ბუკისძე.

წინამდღოლობა კი დაეკისრა ბეჭის ციხის უფროსს, გვარამას.²

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. A-281

2. კონსტანტინე გამსახურდია — „დავით აღმაშენებელი“, თავი „ორ ცეცხლს შორის“, თბილისი 2012 წ. წიგნი III—IV გვ. 591

თავი X

როდის დაპარბეს შაბურისძება არაბვის ერისთავი

რაგვის ერისთავები შაბურიძეები მეფის კარზე, ბუნებრივია, დიდი გავლენით სარგებლობდნენ, რადგან მისი ოჯახის წევრები იყვნენ. როგორც აღვნიშნეთ, არაგვის ერისთავ ვამიყ შაბურიძის შვილს, გიორგის ცოლად ჰყავდა მეფე გორგი VIII-ის ასული — მარიამი.

შაბურიძენი არაგვის საერისთავოს გამგებლობა დაკარგეს, სავარაუდოდ, XVI საუკუნის დასაწყიში, როდესაც მეფე გიორგი VIII აღარ იყო ერთიანი საქართველოს მეფე.

ქვეყანაში მეტად გართულდა საგარეო და საშინაო მდგომარეობა, რაც შედეგი იყო XV საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფოს დაშლის მტკიცნეული პროცესისა.

ქართველები გაერთიანებული ჯარით ვეღარ ხვდებოდნენ შემოსეულ მტერს, პირიქით, იმერეთი და კახეთი ქართლს ებრძოდა, ეს უკანასკნელი კი — კახეთს. 1541 წელს შაპის პირველი ლაშქრობის შედეგად უკვე თბილისიც დაიკარგა. ორმოცდაათწლიანი ომის შემდეგ 1553 წელს დადებული „ამასიის“ ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს.

ამ ყველაფერს კი წინ უძლოდა შემდეგი ისტორიული მოვლენები:

1446 წელს ტახტზე ავიდა გიორგი VIII, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე, რომელიც დაახლოებით 20 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას.

ამ პერიოდში ქვეყნის ერთიანობას უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი, მთელი რიგი სერიოზული მოვლენების გამო.

1463 წელს გიორგი VIII დამარცხდა ჩიხორის ბრძოლაში და იმერეთის სამეფომ, რომელსაც ბაგრატ VI მართავდა, დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ორი წლის შემდეგ, გიორგი VIII-მ სცადა, დაესაჯა სამცხის სამთავროს მეორე ურჩი მმართველი, თავადი ყვარყვარე ჯაყელი, მაგრამ პირიქით, ყვარყვარემ თავად შეიპყრო და დააპატიმრა მეფე გიორგი VIII.

ბაგრატ VI ისარგებლა მეტოქის დასუსტებით, 1466 წელს შეიჭრა ქართლში და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ეს კი ყვარყვარეს გეგმებში არ შედიოდა, რადგან სუსტი გიორგის ნაცვლად მას საქმის დაჭერა ამჯერად საქართველოს თვითგამოცხადებულ მეფე ბაგრატთან მოუწევდა. ყვარყვარემ გაათავისუფლა მეფე გიორგი VIII იმ იმდით, რომ ის ტახტს დაიბრუნებდა.

აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსელისას გიორგი VIII-მ ბაგრატის მომხრე დიდგვაროვან აზნაურებს შავი დღე აყარა, ყველანი დაიჭირა და გამოუცხადა: „თუ ჩემს ერთგულ დაჭერილ აზნაურებს არ გამოუშვებთ, არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო.“

მრავალი მცდელობის მიუხედავად გიორგი VIII-მ ვერ მოახერხა ბაგრატ VI-ისთვის ტახტის წარომევა. გიორგი VIII კახეთში გადავიდა და ცალკე სამეფო შექმნა, ბაგრატი VI-ე კი რჩებოდა ქართლისა და იმერეთის მეფედ.

შიდა დაპირისპირებები არ იყო უცხო ფეოდალური საზოგადოებებისთვის, სადაც არისტოკრატიის წარმომადგენლები გამუდმებით იბრძოდნენ საკუთარი ძალაუფლები-



სთვის, რის გამოც საქართველოს გაუჭირდა გაერთიანება. იყო მცდელობები, ძველი დიდებისა და ტერიტორიების აღსაღენად, მაგრამ უშედეგოდ. ოსმალთა იმპერიისა და ირანის საერთო საფრთხის შემთხვევაშიც კი ქართველი მმართველები ვერ ახერხებდნენ უთანხმოების გვერდზე გადადებას.

საქართველოს დასუსტებისა და დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ასევე იყო სავაჭრო გზებისა და შესაბამისად, ეკონომიკის მოშლა. ქვეყანა მდებარეობდა აბრეშუმის გზაზე, მნიშვნელოვან აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო კორიდორზე, სადაც მთავარი სავაჭრო გზები გადიოდა.

1453 წელს დაეცა კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის იმპერიის დამხობამ და ბოსფორის სრუტეზე ოსმალეთის იმპერიის კონტროლის დამყარებამ აზიასა და ევროპას შორის საქართველოს გავლით ვაჭრობა კიდევ უფრო გაართულა.

1461 წელს ოსმალებმა აიღეს ტრაპიზონი და დაზურქს დარჩენილი სახმელეთო სავაჭრო გზები სამხრეთით.

1475 წელს ოსმალებმა აიღეს ჩრდილოეთ შავი ზღვის სანაპირო და საქართველო ევროპისგან თითქმის მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა. შავი ზღვა ოსმალებისთვის გახდა „ოსმალეთის ტბა“, კავკასიის კორიდორი დაიხურა და სავაჭრო გზები ევროპისკენ გაქრა.¹

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, **შაბურიძეების** მიერ არაგვის ერისთავობის დათმობის (დაკარგვის) შესახებ მეტად საყურადღებო ვერსია იკვეთება: „როგორც ჩანს, **შაბურიძეები** აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ XV ს-ის საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში.“


ირკვევა, რომ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II (1451-1498) **შაბურიძეთა** დახმარებით შეეცადა თავისი შვილიშვილისა და მეფე გიორგი VIII-ის უმცროსი ძის, გახტანგის აყვანას სამეფო ტახტზე (ქ. შარაშიძე).

არსებობს ვარაუდი, რომ „**შაბურიძეთა** სახლი სამცხის ათაბაგებთან პოლიტიკურ ალიანსს უნდა შეწირვოდა (მ. ბახტაძე).“ ამ პერიოდში სამეფო ტახტზე მყოფ კონსტანტინე II-სთან (1484-1505წ) **შაბურიძეები** კარგ დამოკიდებულებაში ყოფილან, რასაც მოწმობს ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის აღაპებში (№106) ერთად მოხსენებული როგორც მეფე კონსტანტინე II და მისი მეუღლე — თამარი, ასევე მეფე გიორგი VIII და მისი მეუღლე ხესტან-დარეჯანი. კონსტანტინე II იყო მეფე გიორგი VIII-ის ძმისშვილი, რომელიც ასევე ტყვედ ჩაუვარდა სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II-ს მეფე გიორგი VIII-სთან ერთად.

ეს ვერსია კიდევ მეტი დამაჯერებლობისთვის დამატებით შესწავლას მოითხოვს. ისტორიულად კი ცნობილია, რომ 1483 წელს კონსტანტინე II არადეთის ბრძოლაში დამარცხდა სამცხის მთავარ ყვარყვარე II-სთან, კერძოდ: ათაბაგ ყვარყვარე II-ს სოფ. არადეთთან გზა გადაუღობა ქართლის ფეოდალთა ლაშქარმა და ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის მორჩილება მოსთხოვა. ბრძოლა კონსტანტინე II-ის მომხრეთა დამარცხებით დამთავრდა. ამ მარცხმა კიდევ უფრო დასუსტა სამეფო ხელისუფლება, რითაც ისარგებლეს დასავლეთ საქართველოს ფეოდალურმა წრეებმა და ალექსანდრე II გაამეფეს, ამით იმპერეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადეს.

1490 წელს კონსტანტინე II-მ თბილისში სამეფო დარბაზი მოიწვია, რომელმაც მეფეს მშვიდობა და სამეფო-სამთავროების აღიარება ურჩია. 1490 წელს საქართველო ოფიციალურად დაიშალა სამეფო -სამთავროებად: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამე-

1. საქართველოს ისტორია XVI საუკუნეში: <http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/istoria/6995->





ფონებად და სამცხის სამთავროდ. დადგინდა საზღვრები სამეფო-სამთავროებს შორის.

შაბურიძეებმა ერისთავობა დაკარგეს, სავარაუდოდ, XVI საუკუნის პირველ ნახევარში, ეს იყო საქართველოს სამეფოების ერთმანეთთან ბრძოლისა და მტერთა შემოსევების პერიოდი:

1505 წელს გამეფდა კონსტანტიინ II-ის შვილი დავით X. მისი გამეფებისთანავე ქართლს შეუტია იმერეთის მეფე ალექსანდრე II-მ, რომელმაც 1509 წელს დაიკავა ქალაქი გორი.

ქართლს ასევე სისტემატურად თავს ესხმოდა კახეთის მეფე გიორგი II.

1518 წელს ქართლს შემოესია ერევნის მმართველი დივ სულთან რუმლუ, მასთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III.

1522 წელს საქართველოს ორანიდან შემოესია ისმაილ I-ელი და დაიკავა თბილისი.

1536 წელს ქართლი დალაშქრა ოსმალეთის იმპერატორმა სულეიმან I-მა, ხოლო ორანის მმართველი შაჰ თამაზ I-ელი ოთხჯერ შეესია ქართლს 1541, 1547, 1551 და 1554 წლებში და მას დამანგრეველი ზიანი მოუტანა. 1541 ქართლის მეფეს ლუარსაბ I-ს კახეთის მეფე ლევანმა უარი უთხრა ყიზილბაშების წინააღმდეგ დახმარებაზე. ყიზილბაშებმა კი ადვილად აიღეს თბილისი და ბირთვისი.

1553 წლის ამასიის ზავით კი ორმა დამპყრობელმა, ორანმა და ოსმალეთმა, შუაზე გაიყვეს საქართველო.¹

ისარგებლეს რა ზემოაღნიშნული გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობით, არაგვის ხეობაში აღზევებულმა გვარებმა: ბაზალისძეებმა, თექთუმანიძეებმა და ჭარმეულებმა, სავარაუდოდ, XVI საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს არაგვის ერისთავების შაბურიძეების შევიწროვება და საერისთავოს დაპატრონება.

ნიშანდობლივია, რომ უამთააღმწერლები ამ აღზევებულ გვარებს, მოიხსენიებენ როგორც მპყრობელებად და არა პატრონებად და ერისთავებად, ეს ბუნებრივიცაა, რადგან შეუძლებელი იყო ერთ საერისთავოში სამივე გვარისათვის მეფეს ერთისთავის ტიტული მიეცა და ერისთავობა ებოძებინა. ამ დაპირისპირებისას არაგვის ერისთავის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

ზოგიერთი ვერსიით ამ დაპირისპირების შედეგად გადარჩა არაგვის ერისთავი ვამიყ შაბურიძის მხოლოდ ერთი შვილი გიორგი, დაიღუპნენ იმარი, მიქაი, ვარამ და ნუგზარი, ზოგი ისტორიკოსი შეცდომით მათ სიკვდილს სიდამონიძეებს მიაწერს.

ზემოაღნიშნულმა სამმა მპყრობელმა გვარმა, რომ ერისთავობა ვერ მიიღო, ამას ადასტურებს არაგვის ერისთავთა გენეალოგია, სადაც გამოტოვებულია და არავინ იხსენება არაგვის ერისთავებად 1494 წლიდან 1560 წლამდე, როცა ეს სამივე გვარი ეცილება ერისთავობას შაბურიძეებს:

„როგორც ჩანს, XVI საუკუნეში შაბურიშვილებს არაგვის ერისთავის სკამზე ცვლიან (ან ამ სკამს ეცილებიან) სხვა გვარის წარმომადგენლები, კერძოდ, თექთუმანიძეები, ჭარმეულები ან ბაზალისძენი, რომლებიც პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნდებიან როგორც ბაზალეთის მპყრობელები.“²

უნდა ვიფიქროთ, რომ შაბურიძეები ამ შევიწროვებას წინააღმდეგობას სხვადასხვა მიზეზების გამო არ ვერ უწევენ, გვერდზე გადგნენ და ფაქტობრივად დათმეს არაგვის საერისთაო, მაგრამ არ აპატიეს უზურპატორებს მათი საქციელი.

ცხადია, არაგვის ერისთავ შაბურიძეების ძალადობრივი გზით შევიწროვება და მათი

1. <https://ka.wikipedia.org/wiki/საქართველო—XVI—საუკუნეში>

2. ვახტანგ ითონიშვილი, „არაგვის ხეობა“ 1986 წ. გვ.37



საგანმგებლო არაგვის საერისთავოს იძულებით დაპატრონება, მოსაწონი საქციელი არ იყო. ამას უნდა განერისხებინა სხვა ერისთავებიც, რადგან ის შეიძლება მაგალითის მიმცემი და გადამდები ყოფილიყო სხვა საერისთავოებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ამ აღზევებული გვარების ქმედებები, რომლებიც საზოგადოდ ლახავდა მოსახლეობაში ერისთავთა ღირსებას, დაუსჯელი ვერ დარჩებოდა. არაგვის საერისთაოსთან ყველაზე ახლოს ქსნის ერისთავები იყვნენ, ეს ორი საერისთავო ადრე ქართლის საერისთავოში შედიოდა და ბრძოლებში ერთად გამოდიოდა, ამიტომ ყველაზე მეტად მათ შეეძლოთ პა-სუხი გაეცათ უზურპატორი „მპყრობელებისათვის.“

ისტორიული წყაროებზე დაყრდნობით ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ვანათელმა აზნაურებმა სიდამონიძეებმა ისარგებლეს რა სიმონ მეფის დატყვევებით, არაგვის საერისთავოში განახორციელეს დიდი სისხლიანი სადამსჯელო აქცია არაგვის საერისთაოს მპყრობელების, აღზევებული გვარების (ბაზალისძეები, ჭარმეულები, თე-ქთუმანიძეები) წინააღმდეგ, რომლის შედეგად თითქმის მთლიანად ამოწყდა ეს გვარები არაგვის ხეობაში.

ვანათელ აზნაურებს ამ სადამსჯელო აქციის განხორციელებაში დაეხმარნენ ქსნის ერისთავები და ამ ყველაფრის უკან, სავარაუდოდ, იყვნენ შაბურიძენიც.

ვანათელმა აზნაურებმა დაიმორჩილეს არაგვის საერისთავო, ხოლო შემდეგ მეფის-გან შეუფერხებლად მიიღეს არაგვის ერისთავის ტიტული. ეს ისეთი დამსჯელი აქცია ყოფილა, რომ ბაზალიძეებისაგან სისხლის ტბა დაუყენებიათ და ამიტომაც ეწოდებაო მას ბაზალეთის ტბა. ისტორიულ წყაროებში ამ ბრძოლების შესახებ აღნიშნულია:

„სიდამონმა შემოიყარნა მხედრობანი ოსთანი და სახლის კაცნი თვისნი და მოსწყვიტნა ბაზალისძენი თავადნი მოსახლენი ვაკესა შინა არაგვისა, რომლის გამო დღესაც ეწოდების მუნ ტბასა ბაზალეთისა ტბაი, სახელისა გამო მათისა..... დანაშთენი მუნ ბაზალისძენი ასწყვიტნა, მდაბალნი ბაზალისძენი რომელნიმე განილტვნენ ქართლ-სა და რომელნიმე კახეთსა და შეიქმნენ დამდაბლებულნი.“¹

ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს:

„ესე ნუგზარ არაგვის ერისთავის მამა პაპათა ამოსწყუიტეს პატრონი ზევისა თე-ქთუმანისძე და დაიჭირეს ხევი და ამიერითგან მისცა მეფემან ხადა, რომელთამე მთი-ულეთი და რომელთამე დაუშეთი და ანანური და იქმნეს მის ერისთავად.“²

იგივეს ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი:

„ესე ნუგზარ იყო ერისთავი არაგვისა, რამეთუ პაპა მისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სვიმონისასა უკვე და ვანათის ციხის მპყრობელი და მან ბრძანებ-ითა მეფისა და შეტყუებითა აღიღო ციხე იგი და მეფემან მიანიჭა მუნ მამულნი, ხოლო ოდეს შეიპყრნეს ყიზილბაშთა მეფე სვიმონ, ამანვე მოიმწო ქსნის ერისთავი, დაესხა და ამოსწყვიტა თექთუმანიძე და ჭარმეული, და დაიპყრო ბაზალეთი,და დაიპყრა ნუგ-ზარ ბაზალეთი, მერმე დაიმორჩილა მთიულეთი, ხოლო მოვიდა რა სვიმონ მისცა პაპას-ავე ნუგზარისასა მსახურებისათვის მისისა და იყავნენ ამ უამაძე ერისთავად.“³


როგორც აღნიშნულია ეს სისხლიანი სადამსჯელო აქცია, განხორციელებულა სვიმონ მეფის პატიმრობის დროს, სავარაუდოდ, კი 1575 წელს. ისტორიულად ცნობი-ლია, რომ 1569 წ. ფარცხისის ბრძოლაში (ალგეთის ხეობა) კახაბერ ყორდანაშვილის დალატის წყალობით მეფე სვიმონ I ტყვედ ჩავარდა. მან მტკიცე უარი განაცხადა მაჰ-

1. იოანე ბატონიშვილი, „საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება“, ფონდი -ს, საბუთი 550.

2. ბერი ეგნატაშვილი, „ხალი ქართლის ცხოვრება“, ქ.ც. II. თბ.1959წ.გვ.390-391.

3. ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს ცხოვრება“, ქ.ც. II გვ. 37





მადიანობის მიღებაზე და ცხრა წლის განმავლობაში, 1569-1578 წლებში, ირანში, ალა-
მუთის ციხეში ტყვეობაში იტანჯებოდა, საიდანაც 1578 წელს გაანთავისუფლეს.

არაგვის საერისთაოში სხვა ტერიტორიიდან მოსული (ქსნის საერისთავოდან) და
სხვა გვარის — სიდამონიძეების გაერისთავება, ბევრ გაუგებრობას ბადებს, რადგან
მათი გაერისთავება ვერ მოხერხდებოდა არაგვის კანონიერი ერისთავების — **შაბური-
ძეების** თანადგომის გარეშე. აღნიშნულის შესახებ ისტორიკოსი ვახტანგ ითონიშვილი
მართებულად სვამს შემდეგ კითხვებს:

1. „თუ ხევის პატრონის სახლის ამოწყვეტის გარეშე ამ ერთობ მცირე
მოცულობის მქონე მთის კუთხის დაჭერა შეუძლებელი იყო, მაშინ რო-
გორდა (და რატომ) განხორციელდა ესოდენ შშვიდობიანი გზით მთე-
ლი არაგვის ხეობის გადაცემა უზურპატორებისათვის?
2. ნუთუ არაგვის ხეობას ისეთი არავინ აღმოაჩნდა „პატრონად,“ რომ მე-
ფის აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დამორჩილებოდა? ხომ დაუჯერე-
ბელია, რომ მთელი არაგვის ხეობის გადაცემა ვანათელი აზნაურებისათ-
ვის ისე მომხდარიყო, რომ აქედან ვინმე არ შეწინააღმდეგებოდა მეფეს?
3. რატომ არ ფიგურირებენ არაგვის ხეობის, ვითარცა არაგვის საერის-
თავოში შემავალი ოლქის განმგებელი ერისთავები?“¹

სწორედ ამიტომაც არსებობს მოსაზრება, რომ სიდამონიძეებთან კავშირში უნდა ყო-
ფილიყვნენ **შაბურიძენი**, რაც გააღვილებდა მეფის მიერ სხვა რეგიონიდან მოსული აზ-
ნაურების არაგვის ხეობაში გაერისთავებას. აღსანიშნავია, რომ განათელი აზნაურები სი-
დამონიძეები ადრე არაგვის ერისთავ **შაბურიძეების** ყმები იყვნენ, რომლებსაც შემდგომ
ერისთავებმა აზნაურობაც უბოძეს. აქედან გამომდინარე, დიდი აღბათობით ვანათელ აზ-
ნაურებს ამ სადამსჯელო აქციისას ზურგს უმაგრებდნენ ადრე უსამართლოდ დაზარალე-
ბული **შაბურიძენიც**. არსებობს მოსაზღებაც, რომ **შაბურიძეები** ნათესაურ კავშირში შე-
დიან სიდამონიძეებთან და XV საუკუნის შემდეგაც **შაბურიძეთა** შთამომავლები განაგებენ
არაგვის საერისთავოს, რასაც ქართული ენციკლოპედიაც აღასტურებს:

„XVII–XVIII საუკუნეებშიც არაგვის ერისთავები **შაბურიძეთა** შთამომავლები
არიან: ამას მხარს უჭერს საერთო საგვარეულო სახელები: ნუგზარ, შადურ, ლომი და
სხვა, აგრეთვე საერთო საგამგებლო ქვეყანა, საერთო საგვარეულო მონასტერი, რეზი-
დენცია (დუშეთი, ბაზალეთი, საშაბურო).“²

ისტორიკოს ნ.შოშიაშვილსაც მიაჩნია, რომ XV საუკუნის შემდგომაც არაგვის ერი-
სთავები იყვნენ **შაბურიძეების** შტოდან:

„По мнению грузинского историка Н. Шошиашвили князья Эристави-
арагвские ветви Шабуридзе.“³

1717 წელს, როდესაც **შაბურიძეები** არაგვის ერისთავები უშუალოდ აღარ არიან,
შაბურიძეების სალოცავსა და სამარხს, ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიას, არაგვის
ერისთავის (სიდამონიძე) შვილი მიტრაფონე აღადგენს.

ანალოგიურია ჰერალდიკოსების მოსაზრებაც:

„სიდამონ-ერისთავის, როგორც ზევით აღნიშნავდით, არაგვის ერისთავების მონ-
ათესავე სათავადო გვარად მიიჩნევა. ამიტომ არ უნდა გავიკვირვოთ, რომ ვ. ციხინსკი
„კავკასიის საგერბეში“ მათი ჰერალდიკური ფარები ერთმანეთის გვერდიგვერდაა და

1. ვახტანგ ითონიშვილი, „არაგვის ხეობა,“ 1986 წ. გვ.36-37.

2. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,“ თბ. 1986 წ. ტომი X. გვ.668

3. რუსულენოვანი ვიკიპედია-SHaburidze



არაგველ ერისთავთა საგვარეულო სიმბოლიკას დათმობილ ქვეთავეში არის განლაგებული. „...ნ მოყვრობაზე მიუთითებს, მაგიდაზე დადებული ხმალი — ერისთავის გამემკვიდრეობით მიღებულ წოდებაზე...“¹

ამაცირ ფეფე და შისი დარბაზი მთიულეთის ამ აფორიაქებულ ობის მოწესრიგებას შესდგომია.

ამ მიზნით დაწერილა ძეგლის ეს დადება, რომელიც იცავს გამატონებულ წოდებათა ინტერესებს და მათი სისხლის დენაც დიდ საურავითაა შეფასებული. სამაგიეროდ ამავე განაჩენში საფლიონისა და უნგინდავინის, როგორც დაბალ წოდების სისხლი ყოველგვარ „დანასა“ და ფასს მოკლებულია.

შემდეგ საუკუნეებში ჩეენ ვხედავთ, რომ არაგვის ეს ერისთავები თანდათანობით ძლიერდებიან და თვითი შეტყისაც ურჩობას უწევენ.

1575 წელს ერთმა ვანათე ან ანაურმა ქსრთლის სამეცნის მოუქალარებით ისარგებლა და ქსნის ერისთავის დახმარებით შეესია არაგვის საისთავოს უაამოხოუკა არაგვის ერისთავების თურმანი-ძეებისა და არმალურების საგვარეულო. და 1578 წ., არაგვის ერისთავობა თ ანგე დაიმტკიცა. ისმა მემკვიდრეობის ნუგზარში მთიულეთში გაიღამეს და მედგ თ ბრძოლის შემდეგ ეს კუთხეც დაიპყრო, რომ დროსაც ხალ დღესაც / ასე იგონებს: „ნუგზა ერისთავ დროსათ, სიახლის წვიმების დროსათ ლალი მთიულეთში ჩატვირთვის მძიმე იყო რისთავების უხეშ ბატონობის მის მენა და მთიულეთში ჩქარა ამბოხ დაიწყო. მაგრამ ძლიერმა ზურა ერისთავმა (1519—1629 წ.) მთ ლეთი ხელმეორედ დაიპყრო, ვ დაფიდა ხევში და ეს კუთხეც და თალის ხეობამდე შემოიმტკიცა“.

ამრიგად სურაბმა არაგვის მოელი ეს ხეობა წარიტაცა და თვის თავს სოულისად დამოუკიდებელ ერისთავედ სთვლიდა. ყმობურვეულო მთიული ურჩობდა მრისხანე ერისთავის მძიმე ბატონ-ყცუ ულელს და როდესაც მას ძალით ვერ უმკლოდებოდა ის კაუასიონი მწვერვალებში იხიზნებოდა. ამის შესახებ არა ერთი ეპიზოდური ხასიათის თქმულებაა გალუქსილი და ხალხში დღემდე დაცული.

შაგალითად, სოფ. გამსის ვლეხი მიქა წიკლაური ზურაბის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებული და ცოლშვილით ხევსურეთში განიჩნეულია. აյ თრმო ამოულია, ზედ ქვა დაუფარებია და ამგვარად შიგ ჩამალულია. მაგრამ ჯაშუშ თლოშიას ის გაუცია, ზურაბი მას დასდევნებია და მიქა ცოლშვილით ამოუხოლია. აი ლექსიც:

1. <http://www.heraldika.ge/index.php?m=839&sid=113> სიდამონ-ერისთავის გერბი

თავი XI

არაგვის საერისთაო შაბურიძეების უეძებ (XVI – XVIII საუკუნეები)

Qაახლოებით XVI საუკუნიდან არაგვის ერისთავების რეზიდენცია საშაბუროდან გადავიდა დუშეთში, შესაბამისად, შაბურიძეებმა დაკარგეს საერისთაოს უშუალო მართვა და აზნაურობამდე ჩამოქვეითდნენ.

არაგვის ერისთავ შაბურიძეების შემდეგ, რომლებიც გამოირჩეოდნენ თვინიერებითა (ანანურის ზევით მთიელებს გადასახადიც არ ჰქონდათ) და მეფისადმი ერთგულებით, არაგვის საერისთავო უკვე მეფეთა დაუმორჩილებლობის, მრავალი ძმათამკვლელი ომების, შინა აშლილობისა და სამარცხვინო ქმედებების ასპარეზი გახდა.

მოსახლეობისათვის ძალიან მძიმე და სასტიკი იყო შაბურიძეების შემდეგ დესპოტი ერისთავების მოთმენა და ამიტომაც მძიმე ბატონყმური უღლისაგან გასათავისუფლებლად იწყებოდა აჯანყებები, რაც რიგ შემთხვევაში არაგვის ერისთავის მკვლელობით მთავრდებოდა.

არაგვის საერისთავოში მომხდარ უბედურებათა შორის აღსანიშნავია:

1. არაგვის ერისთავი ბარძიმი:

1739 წელს შანშე ქსნის ერისთავი რუსეთში იყო წასული, არაგვის ერისთავებს მისი ცოლი კი ყიზილბაშებისათვის მიუგვრიათ. რუსეთიდან დაბრუნებულ შანშეს ოჯახის შეურაცხმყოფელი სასტიკად დაუსჯია. საკუთარი და ლეკთაგან დაქირავებული ჯარით მისდგომია ანანურის ციხეს, სადაც გამაგრებული ყოფილა ერისთავი ბარძიმი ძმასთან ერთად. ბრძოლის შედეგად უამრავი ლეპი და ქართველი დახოცილა, ბოლოს ანანურის ციხეში მყოფებს გადაუჭრეს წყალსადენი. ზაფხული ყოფილა, ციხეში მყოფთ მეტად გასჭირვებიათ და იძულებული გამხდარან ფიცით დანებებულიყვნენ. ბარძიმ ერისთავი ჩაბარდა, მაგრამ ერისთავის შვილი ერთურთი არ დანებებია და ერთ-ერთ კოშკში, რომელსაც “შეუპოვარს“ ეძახდნენ, გამაგრებულა. ქსანელებმა ფიცი დაარღვიეს და ბარძიმი მოკლეს. დაუხოციათ მისი ოჯახის სხვა წევრებიც. შემდეგ შესევიან ციხეს, აუკლიათ მონასტერი. “შეუპოვარ“ კოშკისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ და ერთურთი შიგ გამოუწვიათ.

ეს ადგილი მხოლოდ ორასი წლის შემდეგ 1939 წელს შეისწავლეს არქეოლოგებმა. მათ საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ, ნახანძრალი სავსე იყო დიდებისა და ბავშვების დამწვარი ძვლებით, იარაღით და სხვადასხვა საოჯახო ნივთებით.

2. ზურაბ არაგვიც ერისთავი:

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას მრავალი მოღალატე და ავანტიურისტი ჰყავდა: ბაღვაშები, აბულეთიძეები, ყორღანაშვილები, ორჯონიკიძეები... მაგრამ ყველა მოღალატე ფერმკრთალდება ზურაბ არაგვის ერისთავთან (სიდამონიძე), რომელიც ცბიერებით, სიშლეგით, გაიძვერობით, სისატიკითა და გაუმაძღრობით ყველას აღემატებოდა.

სანამ ზურაბი არაგვის საერისთავოს ჩაუდგებოდა სათავეში, არაგვის ერისთავი მისი უფროს ძმა ბაადური იყო. ირანში ჩასულმა ზურაბმა შაპ-აბასის გული მოი-



გო და მისი დახმარებით დაამარცხა უფროსი ძმა ბაადური, რომელმაც იმერეთს შეაფარა თავი და იქ მოაკვლევინა. გულბოროტმა ერისთავმა არც მეორე ძმა, გიორგი დაინდო, თვალები დასთხარა და საბოლოოდ, განიმტკიცა ძალაუფლება. ზურაბ ერისთავი იდეალური აღნაგობისა ყოფილა. როგორც ხალხური ლექსი ამბობს: „საფურცლეს ზურაბ მივიდა, ლერწამი ზღვისა პირისაო...“ მაგრამ ის არ ამართლებდა სპარტანელთა შეგონებას: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.“ ზურაბი იყო მრისხანე, ბოროტი და ფლიდი ადამიანი. ერთი სიტყვით, მაკიაველი სეული მთავრის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენდა. მან ცეცხლითა და მახვილით შეიერთა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და თავისუფალი მთა დაიმორჩილა. განსაკუთრებით დიდი ბოროტება ერისთავმა ხევსურეთში ჩაიდინა: თრუსოში ხევსურები ნადიმშე მიიწვია, მიუხედავად იმისა ხევისბერნი აფრთილებდნენ ხევსურებს „ხმლებს ნუ დაიხსნით, ხევსურნო ზურაბ არ დაინდობაო.“ სამწუხაროდ ენდნენ მასპინძელს და სამოცი ხევსური უიარაღოდ გამოცხადდა წვეულებაზე, ზურაბმა მთვრალ ხევსურებს თავები დააყრევინა. მხოლოდ ერთი კაცი, გვარად ალექსაური გადარჩა, რომელმაც ზურაბის მიერ მიჩნილი მერიქიფე მოკლა და გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ ზურაბმა უთავკაცებოდ დარჩენილ ხევსურთა სოფლებს მარბიელი რაზმი მიუსია და მუსრი გაავლო. უკეთესი დღე არც ფშავლებს გაუთენდათ. როგორც ხალხური ლექსი ამბობს:

„ხევსურებ ხინკლად ჩაყარეს,
ფშავი შაუნთეს შეშადა.“


გარკვეულ დრომდე ზურაბ ერისთავი კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა კახთა მეფესთან (არაგვის ერისთავს ცოლად პყავდა კახთა მეფის თეიმურაზ I-ის ასული დარეჯანი) და სიძესთან გიორგი სააკაძესთან (ზურაბ არაგვის ერისთავის და რუსულანი გიორგი სააკაძის მეუღლე იყო). როდესაც ერისთავმა გიორგი სააკაძე-ში დაინახა ის პიროვნება, რომელსაც საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება სურდა, სიძესაც განუდგა. ზურაბს არ მოეწონა სააკაძის სურვილი ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანება. ამიტომაც იყო, რომ 1626 წელს ბაზალეთან ბრძოლაში სააკაძის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. მისმა ღალატმა გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი — თეიმურაზის 12 ათასი მებრძოლში 3500



**მაცე თეიმურაზ I და
დედოფალი ხორევანი**
(პრისტოზორი და კასფალის ნახატი)



კადრი ფილმიდან „გიორგი სააკაძე“.
ზურაბ არაგვის ერისთავი (ალექსანდრე რმიაძე)





არაგვის საერისთაოდან ჰყავდა ზურაბს გამოყვანილი. დიდ მოურავს კი მხოლოდ 9 ათასი მეომარი ჰყავდა...

ზურაბ არაგვის ერისთავმა ასევე 1630 წელს მუხანათურად მოკლა შაპის მიერ ქართლში ხელდასმული გამგებელი, სვიმონ ხანი. მსხვერპლი ჯერ ნადიმზე მიიპატიუა, კარგად აქეთა და ღამით კი სარეცელზე დაკლა. წავკისში მყოფი სიმონის ცოლი (შაპ-აბასის შვილიშვილი), შეიპრო და კახეთის მეფესთან გაგზავნა, დედოფლის მთელი ქონება კი მიითვისა. ამ მოქმედებამ ისპაპანში დიდი მრისხანება გამოიწვია და სერიოზულად დაიწყეს ფიქრი არაგვის ერისთავის სიკვდილით დასჯაზე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მეფე თეიმურაზმაც გადაწყვიტა, რომ დადგა გადიდკაცებული სიძისთვის ანგარიშის გასწორებისა და არაგვის საერისთავოს დამორჩილების დრო. 1630 წლის გვიან შემოდგომაზე ზურაბი საფურცლეს (ნატახტარს) მივიდა. იქ მას დიდი ნადიმი გაუმართეს. როგორც ჩანს, არაგვის ერისთავს დაბანგული ღვინო ასვეს, ღამით კი მძინარე ზურაბი და მისი თანმხლებნი ერთიანად ამოჟლიტეს. ამის შემდეგ მეფე თეიმურაზის ჯარი უპატრონოდ დარჩენილ არაგვის საერისთაოში შეიჭრა და სტრატეგიული ციხეები დაიკავა. კახეთის მეფემ დაქვრივებული შვილი თავისთან გაიწვია, ხოლო ზურაბის მოჭრილი თავი ისპაპანს გაგზავნა...

ქართველმა ხალხმა გულბოროტი ერისთავის ტრაგიკული აღსასრული ასე შეაფასა: „სიკვდილს თესდა და სიკვდილი მოიმკო.“

ისტორიკოსი ჯ. გვასალია გადმოგვცემს: „ფარსადან გოგრიჭიძე და ვახუშტი გვამცნობენ, რომ მეფე როსტომს არ ემორჩილებოდა დათუნა არაგვის ერისთავი. მეფემ მოაკვლევინა ერისთავი და შემდეგ 1635 წელს დალაშქრა ეს მხარე. როსტომის ჯარმა დასწვა დუშეთი, ბაზალეთი და **საშაბურო.**

ასევე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფე გიორგი XI განურისხდა არაგვის ერისთავ გიორგის და 1743 წელს დაწვა დუშეთი:

„შევიდა მეფე და დასდგა ბაზალეთს გამარჯვებული და მოსწვეს დუშეთი და გარემონი სპასთა მეფისადა.“

„1743 წელს აჯანყებულმა არაგველებმა (არაგვის საერისთავოში გლეხთა აჯანყება) მოკლეს ბეჟან არაგვის ერისთავი და არაგვის საერისთავო კახეთის მეფეს თეიმურაზ II-ს გადასცეს. მან არაგვის საერისთავო სამეფო მამულად გამოაცხადა და ერეკლე II-ის ვაჟს, ვახტანგ ბატონიშვილს, საუფლიწულოდ მისცა. ბატონიშვილის სახელით არაგვის საერისთავოს ჯიმშერ ჩოლოფაშვილი განაგებდა (1743-1756 წ.). ერისთავის გადარჩენილი შვილები ცოტა უფრო გვიან ერეკლე II-მ კახეთში გადაასახლა და იქ მისცა მცირე მამული. ვახტანგ ბატონიშვილის გარდაცვალების (1756) შემდეგ არაგვის საერისთავო ლევან ბატონიშვილის, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების (1781) შემდეგ კი ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის საუფლისწულო იქო.

სწორედ ალმასხან ბატონიშვილის მეთაურობით შეიკრიბა და 1795 წლის 11 სექტემბერს კრწანისში ერეკლე მეფის დასახმარებლად ჩამოვიდა 300 გმირი არაგველი.

1803 წელს ვახტანგი (ალმასხან) რუსეთში გადაასახლეს. არაგვის საერისთავო კი ანანურის მაზრის უფროსს დაუქვემდებარეს.“¹

1. ჯ.გვასალია. „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიული ნარკვევები.“ თბ. 1983 წ. გვ.85

თავი XII

აზნაური შაბურიშვილები XVI–XIX საუკუნეები

მაბურიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები არაგვის ერისთავობის შემ-დეგ აზნაურებად მოიხსენიება. იცვლება მათი გვარ-სახელის ფორმაც.

XVII საუკუნიდან ძე სუფიქსს ენაცვლება იდენტური შინაარსის სუ-ფიქსი — შვილი და ისინი უკვე **შაბურიშვილებად** იწერებიან.

1692 წლის 5 სექტემბერს არის შედგენილი აზნაურიშვილ ქაიხოსრო **შაბურიშ-ვილის** ყმების — ბასილა და ფასოტა გოშელაშვილთა მიერ ელიზბარ ხულუზაური-სათვის მიცემული სავენახე ადგილის ნასყიდობის წიგნი.¹

1697 წელს დაწერილა გიორგი კობიაშვილის ჯალაბ ქეთიას მიერ ოთია **შაბურიშ-ვილისათვის** მიცემული ყორეს აქეთ მდებარე, ნასყიდა წულუკიძის ნაქონი მამულის — იფნის ნასყიდობის წიგნი:

„... ესე ... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, კობიაშ-ვილის გიორგის მამული ქეთიამა თქვენ, **შაბურიშვილს** ოთიასა, მმასა თქვენსა გი-ორგის და ასლამაზე, მმისწულსა“²

1697 წლის 22 ოქტომბერს შეუდგენიათ ქართლის მეფე ერეკლე I-ის (ნაზარა-ლი-ხანი; ქართლის მეფე 1688–1703 წლებში) მიერ თეიმურაზ **შაბურიშვილის** ცოლყ-ოფილისათვის მისივე მამულის (რომელიც ხელმწიფეს შეცდომით ქაიხოსრო ხოსი-ტაშვილისათვის ჰქონია ნაბოძები) წყალობის წიგნი :

„ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ მეფეთ-მეფეებან თვით ხელმწიფემან პატრიონმა ნაზარალისან შენ **შაბურიშვილის** თემურაზის ცოლ-ყოლს: ასე რომ ურიგოდ გაგვასინჯეს და შენი მამული ხოსიტაშვილს ქაიხოსროს ვუბოძეთ და აწყა მოკითხული ვქენით და არას მემართლებოდა და შენი მამული ისევ შენ გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილობელად, თუ ხოსიტაშვილმა ქაიხოსრომ შენის მამულის წიგნი გამოაჩინოს ამ წიგნით ის წიგნი გაგვიძათილებია. ქორონიკონს ტპე (1697 წ.), ღვინობისთვის კბ (22).“³

1698 წელს დაწერილა ბაინდურ არაგვის ერისთავის მიერ თავისი მკვიდრი აზ-ნაურიშვილისათვის ოთია **შაბურიშვილისათვის** ბოძებული ვენახების წყალობის წიგნი (საბუთი მოგვაქვს ანოტაციის სახით). ღოკუმენტიდან ირკვევა, რომ ადრე სა-კარულასა და ნადირალაშვილის ნაქონი ნაწყალობები ვენახები, ერთობით სამი კვა-ლის სიგრძისა ყოფილა.“⁴

XVIII-XIX საუკუნეები წერილობით წყაროებში მრავლად იხსენიება არაგვის ხე-ობის ბარის სოფლებში მოსახლე აზნაურ **შაბურიშვილთა** გვარსახელი. ქვემოთ მო-ვიტანთ მხოლოდ იმ ღოკუმენტებს, რომლებიც ეგზომ ღირებულია **შაბურიშვილთა** საგვარეულოს ისტორიისათვის და **შაბურიშვილთა** გვარსახელის უმნიშვნელოდ მოხსენიების ტიპურ მაგალითს წარმოადგენენ.


შაბურიშვილთა პირ-სახელთა მოცემულია შემდეგ საარქივო საბუთებში: (საქა-რთველოს ეროვნული არქივი: ფონდი 1448 — საბუთი № 683, 758, 825, 927, 928, 929,

1. ხელნაწ. ეროვნული ცენტრი; შდ21.

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; შდ-761

3. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1450; დავთარი №13; საბუთი № 76

4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; დდ-2362



932, 1912, 3382, 3864. 3928, 4093, 8846. ფონდი 1449 – 612, 1244, 1245, 1279, 1809, 1961, 2331. ფონდი 1450 — დავთარი №13, საბუთი №75, 84; დავთარი №49, საბუთი №183; დავთარი №30, საბუთი №190, 193, 194, 195; დავთარი №42, საბუთი № 309; დავთარი № 29, საბუთი № 63. ღოკუმენტებში იხსენიებიან: ბეჟან. ზაალ, შაბურ, იოსებ, გიორგი, ზაზა, პეტრე, ფირან და ბერა შაბურიშვილი.

1720 წლის 5 ნოემბერს შეუდგენიათ ზაზა საგინაშვილის მიერ ასლამაზ ჩაჩიკა-შვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნი. საბუთის მოწმეთა შორის იორამ შაბურიშვილიც სახელდება.¹

1744-1750 წლებში უნდა დაწერილიყო რამაზა წითლიაშვილის მიერ დათუნა ახ-ალშენაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნი, რომელზეც მოგვიანებით დაუტანიათ ნასყიდობის გაუქმების მინაწერი, რომლის მოწმეთა შორის იოთამ შაბურიშვილიც სახელდება.²

1771 წლის 24 თებერვალს აზნაურ ქაიხოსრო სააკაძეს ყმების თაობაზე ერეკლე II-ისათვის არზით მიუმართავს. თხოვნაში ბოდორნას გახიზნულ ქაიხოსრო სააკაძის გლეხების იმუამინდელი მეპატრონე გლახა შაბურიშვილი იხსენიება.³

1774 წლის 1 იანვრით დათარილებულ, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ბრძანებით ჩატარებულ არაგვის ხეობის აღწერის დავთარიდან ირკვევა, რომ ხევის სოფელი ფანშეტი, არშის ციხე, გორის ციხე, თხელშა, ქურთა, ფანობი (ყაზბეგის რაიონი) ბოქოულთუხუცესს იოთამ შაბურიშვილის სამოურავო ყოფილა.

ხანდოს სოფელი, უკანა მხარე, ჯუხარანთ კარი, წინ ციხე, სოდავეს, ჯირაურთ, ყოფილა ფირან შაბურიშვილის სამოურავო.

დავთარი საქმარე ვრცელია, ამიტომ მოგვაქვს მხოლოდ ის ადგილი, რომელშიც შაბურიშვილთა გვარსახელი იხსენიება:

„... ხევის ფანშეტს (ფანშეტი) არაგვის ერისთავის ყმა. შაბურიშვილის ბოქოულთუხცის იოთამის სამოურაო.“⁴

1775 წლის 5 მარტს იოთამ შაბურიშვილს სახელოს (თანამდებობა) თაობაზე ერეკლე II-ისათვის თხოვნით მიუმართავს:

„ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს იოთამ შაბურის შვილს.

„მამაჩემმა ჩემი თავი ათის წლისა მოგართვათ და თქვენ ჯიმშერ ნაზირს მიმაბარეთ. თქვენის მოწყალებით იმასთან გავიზარდე. ღმერთსა და თქვენს მზესა ვფიცავ, რა თავს მოვსწრებივარ, ერთგულათ თქვენს სამსახურში ვყოფილვარ.

ახლა ეს არის ჩემი ვედრება, რომ ბატონისშვილებს უბრძანოთ და შემაბრალოთ, რომ ჩემი სახელო ბოქოულთუხუცობა მტკიცეთ მეჭიროს, რომ ჩემის თავით და შვილებით თქვენსა და თქვენის შვილების სამსახურში აღვსრულდეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის ე (5), ქორონიკონს უიგ(1775 წ.).“⁵

ხელმწიფეს არზისათვის ოქმი დაუდვია, ამ ოქმით ირკვევა, რომ მეფის კარზე შაბურიშვილებს, წინაპრებიდან დაწყებული, მეფისა და სამშობლოს ერთგულებისთვის დიდი ავტორიტეტი ჰქონიათ:

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; Aდ-1031

2. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1448; საბუთი № 5424.

3. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1448; საბუთი №5555.

4. ე.თაფაიშვილი, „მასალა საქ. სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტესაუკუნეში.“ თბ. 1907 წ; გვ.417

5. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1450, დავთარი №13 საბუთი №74





მეფე ერეკლე II ბატონიშვილებისთვის მიუწერია: „ჩვენო ღვთის წყალობავ, შვილო, ბატონო გიორგი და ლევან! ეს ბოქოულთხუცესი იოთამ (შაბურიშვილი) ჩვენი ერთგული არის. და ამისი მამა და პაპა ჩვენი ერთგულათ მოსამსახურენი ყოფილან. ეს თქვენთვის მოგვიბარებია, ამაზედ თვალყური დაიჭირეთ. მარტის იბ (12), ქორონიკონს უდგ (1775 წ.).“¹

ლევან ბატონიშვილს საბუთზე მეფის ბრძანების აღსრულების პირობის მინაწერი გაუკეთებია: „ ჩვენ, მეფის ძე ლეონ, ბატონის ბძანების თანამოწამე და აღმასრულებელი ვიმყოფებით.“²

1775 წლის 27 მარტს შეუდგენიათ მათე შაბურიშვილისა და მისი ბიძაშვილის გიორგი შაბურიშვილის გაყრის თაობაზე განჩინება:

„შაბურისშვილი მათე და თავის ბიძაშვილი გიორგი გაყრილიყვნენ. და გიორგი ჩიოდა, რომ ჩემს კაცს მამული ცოტა აქვსო.

მარტის კზ (27), ქორონიკონს უდგ (1775 წ.).“³

1778 წლის 9 ივნისს ფირან შაბურიშვილს მამულის თაობაზე ლევან ბატონიშვილისათვის არზით მიუმართავს: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს შაბურისშვილს ფირანს. მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს ხელმწიფეს: ერთი საკომლო მამული თქვენი სახასობუჩუკურას არის. მე საქმე არა მაქვს, რომ წყალობას გევედრებით, რომწყალობა დამმართოთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. თიბათვის თ (9), ქორონიკონს უდვ. (1778 წ.).“ ლევან ბატონიშვილს თხოვნისათვის მეორე დღესვე ოქმი დაუდგია: ბატონიშვილი ლეონ გიბრძანებ ბოქოულთხუცესო ავთანდილ! მერე ამას წინათ რომ ამ მამულის ხელის ამართვა გიბრძანეთ, ის მამული ისევ ფირანსავე მიაბარე. ივნისის ი (10), ქორონიკონს (1778 წ.).“⁴

შაბურიშვილების წინაპრების შესახებ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის აღწერის მასალები.

1781 წლის 5 სექტემბერს შეუდგენიათ არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების აღწერის დავთარი, რომელიც შვიდ გრაგნილზეა დაწერილი.⁵

ნუსხაში სოფელ საშაბუროს მცხოვრებ აზნაურ შაბურიშვილთა შვიდი კომლი მოიხსენიება დოკუმენტი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მოგვაქვს მხოლოდ ის ადგილი, რომელიც შაბურიშვილთა გვარს შეეხება:

„... საშაბუროს სახასი (სამეფო):

- 1.... ქ. აზნაურშვილი შაბურისშვილი — კომლი ა (1), თავი ა (1) — ბეჟან ...
- 2.. ქ.აზნაურშვილი შაბურისშვილი -კომლი ა(1),თავი ვ(6)-ფირან, ქაიხოსრო, ივანე, იოსებ, ზაზა, ფარსადან ...
- 3..ქ.აზნაურშვილი შაბურისშვილი ოთარის კომლი ა(1),თავი-ა(1)— გლახა.
- 4....ქ. აზნაურშვილი შაბურისშვილი — კომლი ა(1), თავიდ(4) -იოთამ, იოსებ, ბეჟან, ბარამ.
- 5..... ქ. აზნაურშვილი შაბურისშვილი — კომლი ა (1), თავი ა (1) — რამაზ ...
- 6.... ქ. აზნაურშვილი შაბურისშვილი — კომლი ა (1), თავი ა (1) — დავით. შეუძლებელი.

1. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1450, დავთარი №13 საბუთი №74

2. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1450; დავთარი №13; საბუთი №74.

3. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1450; დავთარი №30; საბუთი №175.

4. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1450; დავთარი №30,საბუთი №173.

5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში; Qდ-7174, Qდ-7175, დ-7176, დ-7177, დ-7178, დ-7179, Qდ-7180.



7.... ქ. აზნაურშვილი შაბურისშვილი— კომლი ა (1), თავი ა (1) — გო- ორგი ...^{“1}

1782 წლის 12 სექტემბერს დაწერილა ახალ სოფლელთა და კვარხითელთა სა-
დავო წყლის საქმეზე განჩინება. საბუთში ამ საქმის იასაულად (მმართველობითი და
მართლმსაჯულებითი აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართვე-
ლოში), აზნაურშვილი, მოურავი (ადგილობრივი მმართველობის მოხელე ძველ საქა-
რთველოში) ფირან შაბურისშვილია მოხსენიებული:

„იასაულო, აზნაურშვილო შაბურისშვილო, მოურაო ფირან! როგორადაც ამ
განჩინებაში ეწეროს, ასე აღასრულე. ენკენისთვის იბ (12), ქორონიკონს უო (1782
წ.).“

განჩინებას უზის ბეჭედი წარწერით: „ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის
ნაკვეთად.“^{“2}

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილი
აქვს ზოგიერთ ისეთ მოვლენას, რომელმაც გავლენა იქონია ძალთა გადაჯგუფებაში.
ამის შედეგად, 1783 წლისათვის ერთობ გაიზარდა სამეფო აზნაურთა რიცხვი. XVIII
საუკუნის შუა ხანებში, როგორც ვიცით, გაუქმდა არაგვის ერისთავის სათავადო
და ამ სათავადოს აზნაურები უშუალოდ დაექვემდებარნენ მეფეს. ამიტომ არაგვის
საერისთაოს აზნაურები, 1783 წელს შედგენილ გეორგიევსკის ტრაქტატის თანდარ-
თულ ნუსხაში სამეფო აზნაურთა რიცხვში არიან შეტანილნი.

XV საუკუნიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე არაგვის ერისთავთა აზნაუ-
რობას შეადგენდნენ:

შაბურისშვილი, კობიაშვილი, ჭილაშვილი, ქუმსიშვილი, ყარანგოზიშვილი,
ტერისშვილი, ზანდუკელი, გილდაშვილი და სხვა...

1783 წლის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში, რომელიც დაერთო გეორ-
გიევსკის ტრაქტატს, სახასო აზნაურები შაბურისშვილით იწყება.

1783 წლის 22 ნოემბერს ბეჟან ზანდუკელს ვახტანგ ბატონიშვილისათვის მამუ-
ლის თაობაზე არზით მიმართავს. თხოვნისათვის ვახტანგ ბატონიშვილს ოქმი დაუდ-
ვია, რომელშიც ბატონიშვილის კეთილად სახსოვარი ფირან შაბურისშვილი იხსენიე-
ბა:

„ბატონისშვილის ვახტანგის კეთილად სახსოვარნო სამოურავო და ფირან
შაბურისშვილო და პატიოსანო მღვდელო ზოდიკე და ანანურის დეკანოზო! ღმერთს
გაფიცებთ და თქვენს სარწმუნოებას, ღმრთის წინაშე სწორეთ როგორც იცოდეთ, ისე
ჭეშმარიტი მოწმობა მოგვახსენეთ...³

1785 წლის ივლისის დასაწყისში პაპა ელიარაშვილს მამულის თაობაზე დარეჯან
დედოფლისათვის არზა მიურთმევია.

1787 წლის 19 მაისს ფირან და ქაიხოსრო შაბურისშვილს ყმის თაობაზე ერეკლე
II-ისათვის არზით მიუმართავთ:

„ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას შაბურისშვილს
ფირანს და ქაიხოსროს“. ხელმწიფეს თხოვნისათვის ოქმი დაუდვია:

„ჩვენი ბძანება არის, მერმე ეს შაბურისშვილები ფირან და ქაიხოსრო ჯანიბეგაშ-
ვილს ზაზას ყობით რომ ედავებოდნენ, ამ შაბურისშვილებს ჩვენგან ბოძებული სხვა

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; Qდ-7177.

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; დ-15.

3.. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1450; დავთარი №13; საბუთი №77.



ოქმებიცა ჰქონდათ, რომ ამათ ყმათ გამოცხალებულ იყვნენ და იმისი აყრაც გვებრძანებინა, მაგრამ რადგან ის ჯანიბეგაშვილი კიდევ ლაპარაკობდა და უარს ამბობდა, კიდევაც სამართალში მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და სამართალმა კიდევაც ამ შაბურიშვილებს ის ჯანიბეგაშვილი ყმათ მოსცა და ჩვენც დაუმტკიცეთ და წყალობა უყავით იმ ჯანიბეგაშვილისა.

იასაულო ზანდუკელო ბეჭან! ახლავ უნდა აუყარო და ამათ მოაბარო. ივნისის დ (4), ქორონიკონს უო (1787 წ.) თუ უნდოდეს, თავი დაახსნევინოს. თუ არადა, თავის ყმა არის და აჰყაროს.¹

1787 წლის 12 ნოემბერს სულხან ხიმშიაშვილს ერებლე II-ისათვის მამულის თაობაზე თხოვნით მიუმართავს. საბუთს თავში მიწერილი აქვს ხელმწიფის ოქმი, რომლიდანაც ირკვევა, რომ საქმის გამრიგედ ფირან შაბურიშვილი ყოფილა: „ქ. ჩვენი ბძანება არის შაბურიშვილო ფირან! მერე ამ არზის პატრონს, რაც ჩვენგან დამტკიცებული სანატრელის პაპის ჩვენისაგან ნაბოძები მამულები ეწეროს სიგელებში, ის მამულები ახლავ ხელი აუმართე და მოაბარე. ნოემბრის იბ (12), ქორონიკონს (1787 წ.).“

ბეჭედი: „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერებლე.²

1788 წლის 27 ივნისს დაწერილა ხიმშიაშვილთა სადავო მამულის თაობაზე განჩინება, რომლიდანაც ირკვევა, რომ საქმის იასაულად ფირან შაბურიშვილი დაუდგენიათ.³

1791 წლის 16 ღეკემბერს შეუდგენიათ ქარუმიძეთა სასისხლო საქმის განჩინება, რომლის თანახმადაც აღსრულება იოსებ შაბურიშვილს დავალებია:

„შაბურიშვილო იოსებ და ბათიაშვილო რამაზ! ეს ასე აღასრულეთ, თუ მისი უგანათლებულესობის ნება არის. ღეკემბერს ივ (16), ქორონიკონს უოთ (1791 წ.).“

განჩინებას უზის სამი ბეჭედი:

„მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქაიხოსრო.“ „მდივანბეგი.“ „მეთოდი.“

განჩინებას თან ერთვის იასაულ იოსებ შაბურიშვილის საქმის გადაწყვეტის თაობაზე დაწერილი განმარტება.⁴

1792 წელს დაწერილა არაგვის ხეობის სოფლებში მცხოვრებ მებეგრე გლეხთა ნუსხა, რომელიდანაც ირკვევა, რომ სოფელი შუახევი (დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ზემო შუახევისა ქვემო შუახევის გავრცელებული სახელწოდება) შაბურიშვილის (პირსახელი არ ფიქსირდება) სახელო (სახელო — თანამდებობა ძველ საქართველოში) ყოფილა (დავთარი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მოგვაქვს მხოლოდ ის ადგილი, რომელშიც შაბურიშვილთა გვარსახელი იხსენიება):

„... ქ. შუა ხევის საყალნო, შაბურიშვილის სახელო ...“⁵

1795 წლის 15 მარტს შეუდგენიათ ფირან შაბურიშვილისა და ხოსრუაშვილის მამულის სადავო საქმის თაობაზე განჩინება, რომელსაც არტყია ბეჭედი: „რტოდ ვარ დავითის მგელლომად ვით ის ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.“⁶

1. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1450; დავთარი №30; საბუთი №192.


2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; Q დ-6750.

3. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1448; საბუთი №5598.

4. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; დ-613.

5. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1448; საბუთი №1645

6. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1448; საბუთი №3240.





1799 წლის 16 მაისს ტაბახმელელ **ნასყიდა შაბურიშვილს** ზაზა შაბურიშვილთან სადავო საქმეზე სამართლის მიცემის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილისათვის არზით მიუმართავს. თხოვნას თავში მიწერილი აქვს ვახტანგ ბატონიშვილის ოქმი:

„ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ ბოქოულიშვილი იოსებ! მერე ამ არზის პატრონი რომ ამ არზით **შაბურიშვილს** ზაზას ასე უჩივის ამას ერთი იასაული უჩინე, ორი კაცი ამას მიაყვანინოს, მემცხვარი ორი ზაზას დაუსხას, და რაც სამართალი უყონ, ორნივ დააჯეროს; რომელსაც დაედვას, გამოართოს და მისცეს, და ისე მოარიგოს. მაისის ივ (16), ქორონიკონს უბზ (1799 წ.).“¹

ბეჭედი: „რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.“¹

XIII საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნის დასაწყისამდე შემდგარ ქართულ სიგელ-გუჯარში, არაგვის ხეობის ბარის სოფლებში მოსახლე **შაბურიშვილი (შაბურიძე)** ჩანან ვითარცა მოწმენი და მისანდონი: თავდაპირველად — ერთიანი საქართველოს და შემდგომ — ქართლ-კახეთის მეფეთ-მეფეთა, დედოფალთა, ბატონიშვილთა, კათალიკოსთა, თავადთა, აზნაურთა და უაზნოთა.

ქვემოთ მოგვაქვს XIX საუკუნის I ნახევარში შემდგარი რამოდენიმე წერილობითი წყარო, რომელიც არაგვის ხეობის ბარის სოფლებში მოსახლე აზნაურ **შაბურიშვილთა** გვარს შეეხება.

1849 წლის 14 მარტს დაწერილა დუშეთის მაზრის დიდებულთაგან ანა ზაქარიას ასულ მორთულაძისათვის მიცემული მოწმობა, რომელსაც ხელს აწერენ **შაბურიშვილები**: „აზნაური გლახა შაბუროვი (შაბურიშვილი), პრაპორჩიკ ნივალი (ნიკოლოზ) შაბუროვი (შაბურიშვილი), ...“²

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოთა გაუქმების შემდეგ, ქართველი თავად-აზნაურობის რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურობასთან გათანაბრების საკითხი დადგა. ამ თემასთან დაკავშირებით საგანგებო კომისიის მიერ შეიქმნა ქართლ-კახეთისა და იმერეთის თავად-აზნაურთა საოჯახო სახელდებითი სიები, რომელშიც XIX საუკუნის აზნაური **შაბურიშვილები** არიან აღნიშნულნი.

რუსეთის მთავრობას სხვადასხვა მიზეზით არ სურდა თავადთა და აზნაურთა წოდება ყველასთვის მიეცა და მრავალი ბარიერის მეოხებით ამცირებდა მათ რაოდენობას.

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა საქართველოს თავად-აზნაურთა სია, რომელშიც ქართლში მოსახლე აზნაურ **შაბურიშვილთა** შვიდი კომლია შეტანილი:

1. სოლომონ ბარამის ძე შაბურიშვილი მისი ცოლი ტასია;

მათი ვაჟიშვილები: თეიმურაზი, დიმიტრი, გიორგი;

ქალიშვილები: ეკატერინე, ბარბარე, ხორეშანი, მაგდანა;

თეიმურაზის ცოლი სალომე; მათი ქალიშვილი ეფემია.

2. ბეჟან ბარამის ძე შაბურიშვილი

3. შაბურ ბარამის ძე შაბურიშვილი მისი ცოლი ეკატერინე;

მათი ვაჟიშვილები: მიხეილი, ზურაბი.

1. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1448; საბუთი №4036.

2. საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1448; საბუთი №9855

4. დავით ბარამის ძე შაბურიშვილი; მისი ცოლი კონია;

მათი ვაჟიშვილები: ლევანი, სიმონი;
ქალიშვილი მელანია.

5. გლახა იოსების ძე შაბურიშვილი; მისი ცოლი მართა;

მათი ვაჟიშვილები: იოსები, ალექსანდრე,
კონსტანტინე, რაჟდენი;
ქალიშვილები: ტასია, პელაგია, მატრონა;
იოსების ცოლი ეფემია; მათი ვაჟიშვილი ივანე;
ქალიშვილი დარია.

6. როსტომ გოგის ძე შაბურიშვილი; მისი ცოლი სოფიო;

მათი ვაჟიშვილი გიორგი;
ქალიშვილი აგათადისტა.

7. ნიკოლოზ შაბურის ძე შაბურიშვილი;

მისი ცოლი მარია;
ნიკოლოზის ძმა იოსები;
იოსების ცოლი ეკატერინე;
მათი ვაჟიშვილები: ქაიხოსრო, შაბური.

ამ აღწერის მიხედვით XIX საუკუნიდან მოდის შაბურიშვილების 4 შტო:

1. ბარამი

2. იოსები


3. გოგი

4. შაბური

სწორედ, ეს შვიდი ოჯახი (4 შტო) არის შაბურიშვილების უახლოესი წინაპრები.
თანამედროვე შაბურიშვილებმა, თუ იციან წინაპართა (პაპის პაპის) სახელები,
ადვილად შეძლებენ ამოიცნონ
სახელის მიხედვით წინაპარი და
დაადგინონ საკუთარი შტოს გე-
ნეალოგია.

შაბურიშვილთა (შაბურიძე)
გვარით იწყება ქართლ-კახეთის
აზნაურთა ოფიციალური სია,
რომელიც გამოქვეყნებულია
1850 წელს სანკტ -პეტერბურგ-
ში გამოცემულ ეგრეთ წოდებულ
„ბარსატნაია კნიგაში“ (ხავერ-
დოვანი წიგნი):

აზნაურები: შაბურისძე (შა-
ბურიშვილი), თურქესტანიშ-
ვილი, სააკაძე, საგინაშვილი,
გაბაშვილი, მურვანიძე (მურ-
ვანიშვილი), ყორღანაშვილი,
აბაზაძე, ფიცხელაური, გლურ-



1783 წელს შედგენილი „გეორგიევსკის ტრაქტატის“
თადღართული ნუსხა (ფრაგმენტი)



ჯიძე, კობიაშვილი, გარაფანიძე, კორინთელი, ჩერქეზიშვილი, მუსხელიშვილი, მეღვინეთუხუცესი, ფურცელაძე, ჩრდილელი, გარსევანიშვილი, უთნელიძე, მახათელი, ზარდიაშვილი, ზანდუკელი, არეშიძე (არეშიშვილი), ჯომარჯიძე, ურული, ოქრომჭედლიშვილი, ბერძენიშვილი, ალექსიძე-მესხიშვილი, ნახუცრიშვილი, მახვილაძე, რჩეულიშვილი, ქუმსიაშვილი, დავითაშვილი, იშხნელი, მიქელაძე, მიქელაშვილი, ფანიაშვილი, მარკოზაშვილი, ორჯონიკიძე, საყვარელიძე, ცალქალამანიძე, კალანტარიშვილი, უზნაძე, კოტეტიშვილი, თავყელიშვილი,

ლი, გრიგოლიძე, ფარესიშვილი, ელიოზიშვილი, მაღალაშვილი, თუხარელი, ქარსიძე, ქადაგიძე, კვალიაშვილი, ბოჭორიძე, ეგაძე, აღსაბაძე, ლოლაძე, თულაშვილი, ხმალაძე, სრესელი, მაჭავარიანი, ბასილაშვილი, ჩუბინაშვილი, ტატიშვილი, ძამაშვილი, კობახიძე, ჯაფარიძე, ნამორაძე, ყიფიანი, გაბირეხაშვილი, კლიმიაშვილი, ალიბეგაშვილი, დაფქვიაშვილი, ობლიძე, მაღრაძე, ალექსიძე, დუჩიძე, დეკანოზიშვილი, წინამდლვრიშვილი, ქურდოვანიძე, იონათამაშვილი, მუქერიძე, გვარამაძე, ჩივაძე, ჯანაშვილი, კარგარეთელი, ბაქრაძე, ბადრიაშვილი, ზედგენიძე, ქარუმიძე, ყანჩელი, ჩიკოიძე, ლიპარტიანი, ზალიშვილი, ციმაკურიძე, ანანიაშვილი, მამაცაშვილი, შატბერიაშვილი, ბეჟანიშვილი, ნათაშვილი, რატიშვილი, ქავთარაძე, მესხიშვილი, რუსიშვილი, გოდაბრელიძე, ნაცვლიშვილი, ალხაზიშვილი, ნემსაძე, კორძაია, ლაშხი, ნიკოლაძე, ბაგრატიშვილი, თორთლაძე, ხანდამაშვილი, ბუჭყიაშვილი, ავთანდილაშვილი, სანთლიკუდაშვილი, კეცხოველი, პეტრიაშვილი, გიუიმყრელი, გველესიანი, ბაზუტაშვილი, სულხანიშვილი, მგალობლიშვილი, აბელიშვილი, იორამიშვილი, ზალდასტანიშვილი, ხირსელი, პოპიაშვილი, ფისაძე, ვეზირიშვილი, ჯაბადარი, ასლამაზიშვილი, ყარახანიშვილი, ყარაშვილი, არჯევანიძე, ოსიტაშვილი, ჩარექიშვილი, ბურდიაშვილი, გვერდწითელი, ანთაძე, ნასიძე, რცხილაძე, ბანცურიშვილი, ყიასაშვილი, კეზელი, კალატოზიშვილი, სავანელი, ლომიძე, კვანჭახაძე, ჯავახიშვილი, მამუჩიშვილი.

1853-56 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს **გრიგოლ შაბურიშვილი** ყოფილა მეგრელთა რაზმის ექიმი. მაშინდელი სამთავრობო გაზით „კავკაზის“ წყალობით შემოგვრჩა მისი ორი ლექსი, რომელშიც ექიმი-პოეტი აქებს რუს მხედრობასთან ერთად მეგრელების, იმერლების, ქართლელების, კახელების გმირობას: „რუსთ ქვეშევრდომნი მხედრობა მამაცობისა მქნელია, თავი შესწირონ მამულსა ყოველი ამის მცდელია“.

საინტერესოა, რომ რუსულენოვან გაზეთ „კავკაზში“ ეს ლექსები ქართული შრი-ფრით დაუბეჭდავთ.¹

1889 წელს ტყიბულში დაარსდა საქციო საზოგადოება „ნახშირი“, 1890 წელს რუსეთის იმპერატორმა ამ საზოგადოების წესდება დაამტკიცა. ს/ს „ნახშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ცნობილ საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძესთან ერთად იყო მისი მეგობარი სოლომონ შაბურიშვილი.

მწერალი აკაკი ბაქრაძე თავის წიგნში „ნიკო ნიკოლაძე“ სიხარულით აღნიშნავს, რომ საზოგადოება „ნახშირის“ დამარსებელი 6 კაციდან 3 ქართველიაო, ეს მით უფრო სასიხარულო იყო, რაღაც იმ ხანებში თუკი ვინმე სამრეწველო საქმიანობას მისდევდა იყვნენ სომხები ან უცხოელები.

ს/ს „ნახშირის“ დამფუძნებლები იყვნენ:

1. ნიკო ნიკოლაძე (ქართველი),
 - 2.სოლომონ შაბურიშვილი (ქართველი) შემდეგში ვიქტორია შაბუროვა
(ქართველი, სოლომონ შაბურიშვილის ქვრივი).
 - 4.იოსებ ალექსიშვილი (ქართველი ვაჭარი, შემდგომში ალელოვა),
 - 5.იოსებ ბოგაჩი (ავსტრიელი),
 6. მელიქ კაზარიანცი (სომეხი),
 7. ნოვიანოვი (დაუდგენელი ეროვნების)²

1724 წელს მეფე ვახტანგ VI თავისი ამაღლით (1200 კაცი) რუსეთს გაემგზავრა, რათა მათი დახმარებით თავისი ქვეყანა უცხოელი დამპყრობლებისაგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ უშედეგოდ ვახტანგ VI ასტრახანში გარდაიცვალა და იქვე, მიძინების ტაძარშია დასაფლავებული. რუსეთში მეფე ვახტანგ VI-ს შაბურიშვილთა ოჯახებიც გაპყვა. მათი შთამომავლები იწოდებოდნენ მეფის კარზე დიდებულებად — შაბუროვებად და აღიარებული იყვნენ მოსკოვის გუბერნიაში მეფის კარის დიდებულებად.

გვარის გადაკეთება დაიწყეს
საქართველოშიც, ივანე ჯავახიშ-
ვილი ხელს აწერს ქალბატონ თამ-
არ შაბუროვას (შაბურიშვილის)
დიპლომს.

მარია გრიგოლის ასულ შაბუ-
როვას თბილისის თავად აზნაურთა
საბჭოს მიერ მიენიჭა დიდებულის
წოდება.



1. კრებული „ლიტერატურული ურთიერთობანი,“ ტ. II, თბ. 1969 წ.
2. აკაკი ბაქრაძე — „ნიკო ნიკოლაძე“ — თბილისი 2005 წ. გვერდი 171.

СВИДЪТЕЛЬСТВО

По уставу ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА, данному
сіль из Тифлисского Дворянского Депутатского Собрания въ зорбъ
помощественности архимандрита Тифлисской
Патриархии Григория Киселевского и Георгия
Софии Часовщиковы Шабурковой.

— въ то же, что
дочь ее Мария Григорьевна Шабуркова,
родившаяся 3 „Октября“ 1903 года, постанови-
лась Тифлисскому Дворянскому Депутатскому Собранию, что
„31 „Марта“ 1911 г., сорок первая из рода
дворянки Шабурковой.

Высочайшим утверждением от сего доказательством 6-го Де-
кабря 1855 года поставлено въ зорбъ архимандритомъ, пред-
ставителемъ кавказскихъ дворянскихъ родовъ Григоріемъ, подъ
№ 355 при членѣ въсеснѣ и пода въ „Л“ членѣ дворянской
роды, въ зорбъ жены Тифлисской патриархии въ зорбъ Собрания „Ч“.

Мартъ 1855г. съ зорбъ тротоянъ;
въ зорбъ Тифлисское Дворянское Собрание постанови-
ло приложениемъ жалованной привилѣй удостовѣрить. На доказательство
зорошения съ зорбъ надѣлъ „З“ „Марта“ 1911 г. Р. Тифлисъ

Архимандритъ Григорій.

Продолжительъ Сборникъ

На зорбъ Всесогласного Учредителя Георгия Киселевского.

თავი XIII

არაგვის ერისთავების გენეალოგია და გერბი

შაპურიძეების დინასტია :

შრისთავი შაბურისძენი:

- ❖ შანშე – დაახლ. XIII ს-ის შუა ხანები.
- ❖ ჭუჭა – დაახლ. XIII-XIV ს-თა მიჯნა.
- ❖ ვარამ – დაახლ. XIV ს-ის პირველი ნახევარი.
- ❖ ვახტანგ – დაახლ. XIV ს-ის შუა ხანებში.
- ❖ მიქა – XIV ს-ის მეორე ნახ. – 1398 წ.
- ❖ [სურამელ ?] – 1403 წ.
- ❖ ნუგზარ – არაგვის ერისთავი დაახლ. 1419-1465 წწ.
- ❖ ვამიყ – არაგვის ერისთავი დაახლ. 1465-1494 წწ.


სიდამონიძეების დინასტია:

ერისთავი სიდამონიძეები

- ◆ ნუგზარი – 1580-1618
- ◆ ბაადური – 1618-1619
- ◆ ზურაბი – 1619-1630
- ◆ დათუნა – 1630-1634
- ◆ ზაალი – 1634-1660
- ◆ ოთარ I – 1660-1667
- ◆ რევაზ I – 1667-1677
- ◆ იასონი – 1677-1687

- ◆ გიორგი – 1687-1696 და 1703-1723
- ◆ ბაინდური – 1696-1703
- ◆ ოთარ II – 1723-1727
- ◆ თეიმურაზი – 1727-1731
- ◆ რევაზ II – 1731წ. ორი თვე
- ◆ პაპუა – 1731-1732
- ◆ ბარძიმი – 1732-1737
- ◆ უთრული – 1737-1739
- ◆ ბეჟანი – 1739-1743

პრინცესი ერისთავის გენეალოგია






ძველი საქართველოს სახელმწიფო გერბებიდან ჩვენამდე მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიის XVII საუკუნის გერბმა მოაღწია.

მეცნიერთა მოსაზრებით, საგვარეულო გერბი საქართველოში XVIII საუკუნემდე არასდროს ყოფილა. მიაჩნიათ, რომ მანამდე არსებობდა მხოლოდ პირადი ბეჭდები. საგვარეულო გერბები მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის დროიდან ჩნდება. რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ ქართველ დიდებულებს გერბებს უმტკიცებდნენ რუსეთში, რაც რუსეთის თავადაზნაურობასთან ქართველთა უფლებრივ გათანაბრებაზე მიუთითებდა.¹

არაგვის ერისთავ სიდამონიძეების გერბში მეტად საინტერესოა ფიგურების, გერბის ბლაზონირებას დართული განმარტება: საქართველოს გერბიანი მცირე ფარი არაგვის ერისთავების საქართველოს სამეფო დინასტიასთან, ბაგრატიონებთან მოყვრობაზე მიუთითებს, მაგიდაზე დადებული ხმალი — ერისთავის გამემკვიდრეობითებულ წოდებაზე, შუბებით თანხლებული ციხე — სიმაგრე — საგვარეულოს წინაპართა სპარსელებთან ბრძოლებში გამოვლენილ სამხედრო გმირობასა და სიქველეზე, ლაუგარდის ტალღისებრი ქამარი კი — მდინარე არაგვზე, რომლის ხეობის მფლობელნიც იყვნენ არაგვის-ერისთავნი და “...რომელის სახელწოდებიდანაც მომდინარეობს მათი გვარი, ქსნის ერისთავთაგან განსხვავებით”. გერბი რუსეთში ვახტანგ VI-ის ელჩობის დროს გადასახლებულ არაგველთა შტოს წარმომადგენლის პოლტაველ თავად მიხეილ ანდრიას ძე ერისტოვის სახელზეა გაცემული.²




არაგვის ერისთავ სიდამონიძეების
გერბი



საშაბუროს (გაგის) ტერიტორიის ეკლესია.

აღდგენილია კოტე არჩილის-ძე გაგურიშვილის მიერ 2001 წელს.



1. <http://ka.wikipedia.org/wiki/%E2%80%9Cქართული-%E2%80%9D>

2. <http://www.heraldika.ge/index.php?m=839&sid=202>

თავი XIV

საშაბურო – არაგვის ერისთავების საგვარეო ტერიტორიის შემორჩენილი სახელმოღება

სტორიამ, სამწუხაროდ, გვერ შემოგვინახა ზოგიერთი ქართველი დიდებულების უძველესი გვარი. აღარ არსებობს საგვარეულო ტერიტორიების აღმნიშვნელი სახელწოდებები: სამაჩაბლო, საციციანო, საბარათიანო და ა.შ. ასეთ ვითარებაში, ღვთის წყალობით, შემორჩენილია შაბურიშვილების ძირძველი გვარი და ადრე „პატარა ქვეყნად“ წოდებული ტერიტორიის აღმნიშვნელი სოფელი საშაბურო, რომელიც ყოველთვის გვახსენებს არაგვის პირველი და ყველაზე ძლიერი ერისთავ შაბურიძებს და მათ საგვარეულო ტერიტორიას.

საქართველოში შაბურიშვილთა საერთო რაოდენობა ორას სულს აჭარბებდა, აქედან თბილისში 132, დუშეთში 60, კასპში 7 და სხვა...¹

ამჟამად შაბურიშვილები ცხოვრობენ დუშეთის რაიონში სოფელ საშაბურო-ბაგაში. სწორედ ამ ადგილიდან არიან წარმოშობილი ყველა შაბურიშვილი დუშეთს, თბილისა თუ სხვა რაიონში მცხოვრებნი.

უკვალოდ არ ჩაუკლია შაბურიძეთა (შაბურიშვილთა) პატარა გვარის თავდადებულ წინაპართა გარჯას, რამეთუ ერისთავობა თუ აზნაურობა, სამშობლოსათვის მარჯვედ მოქნეული ხმლისა და უსაზღვრო სიყვარულის სანაცვლოდ მეფეთაგან მხოლოდ რჩეულ ვაჟკაცებს ეძლეოდა... ერთგულება, პატიოსნება, სამართლიანობა, ვაჟკაცობა და თავდადების უნარი თაობიდან თაობას გენებით გადაეცემოდა ...

გარდასულ დღეთა დიდება და პატივი არც უახლოეს წარსულში დაპკლებია შაბურიშვილთა ნიჭიერ და შრომისმოყვარე გვარს, რომლის წარმომადგენლებმაც ნათელი კეთილ დატოვეს საქართველოს ისტორიაში.

ამჟამადაც მიუხედავად გვარის სიმცირისა შაბურიშვილების გვარს მრავალი საამაყო და სახელოვანი წამომადგენელი ყავს, რომლებიც კვლავ აგრძელებენ სახელოვანი წინაპრების გზას.



1. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე. „გვარ-სახელები საქართველოში,“ თბ. 1997წ. გვ. 209



პოდგორის ღვთისმშობლის ეკლესია



ღმერთმა დალოცოს და სიხარული არ მოაკლოს
დიდებულ და სამაყო არაგვის ერისთავების
შთამომავალ შაპურიშვილთა გვარს!..




ერთიანი საქართველოს მუზეუმი

ბაგრატ III 975-1014		
გიორგი I 1014-1027		
ბაგრატ IV 1027-1072		
გიორგი II 1072-1089		
დავით IV აღმაშენებელი 1089-1125		
დავითი I 1125-1155, 1156		
დავით V 1155	გიორგი III 1156-1184	
	თამარი 1184-1213	
გიორგი IV ლაპა 1213-1223	რუსებიანი 1223-1245	
დავით VII ულუ 1247-1270	დავით VI ნარინი 1247-1293	
დავითი II თავდაცავული 1270-1289	ვაცხანგ II 1289-1292	
დავით VIII 1292-1311	ვაცხანგ III 1302-1308	გიორგი V პრეციველი 1299, 1314-1346
გიორგი VI მორე 1311-1313		დავით IX 1346-1360
		ბაგრატ V 1360-1393
გიორგი VII 1393-1407		კონსტანტინე / 1407-1412
		ალექსანდრე I დიდი 1412-1442
ვაცხანგ IV 1442-1446		გიორგი VIII 1446-1466

ოჯახის გენეალოგია

გთხოვთ, შეავსრთ თქვენი ოჯახის გენეალოგია.

ღმერთმა დაგჭიროთ!



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია— ტომი X, თბილისი, 1986წ
2. ქართულენოვანი და რუსულენოვანი ვიკიპედია.
3. ილია მაისურაძე „ქართული გვარსახელები,“ 1990წ.
4. ა.სილაგაძე, ა.თოთაძე „ გვარ-სახელები საქართველოში,“ თბ. 1997წ.
5. ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება,“ ქ.ც.II. თბ 1959წ.
6. იოანე ბატონიშვილი „ ქართლის ცხოვრება.“ 1973 წ .ტომი IV
7. ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“ 1966 წ.
8. თედო უორდანია „ქრონიკები“ 1897 წ. ტ.II
9. საქართველოს ეროვნული არქივის მასალები.
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მასალები.
11. დ.გვრიტიშვილი „ფეოდალური საქ. ურთიერთობის ისტორიიდან“
12. ვახტანგ ითონიშვილი „არაგვი და არაგველები,“ 1989 წ.
13. ვახტანგ ითონიშვილი „ არაგვის ხეობა.“ 1986წ
14. ჯ.გვასალია,, აღმ. საქ. ისტორიულ გეოგრაფიული ნარკვევები,“ 1983წ.
15. მარი ბროსე, „ ქართლის ცხოვრება,“ ნაწილი I.
16. პლატონ იოსელიანი „ქალაქ დუშეთის აღწერა“
17. ალ. ფრონელი „ამბოხება კახეთისა,“ თბილისი, 1907 წელი.
18. „ ქართველ წმიდათა ცხოვრებანი,“ თბილისი, 2007 წ.
19. შ.ჩეტია „წილკნის სარგოს გარიგების წიგნი,“ ტ. II, 1925წ.
20. რ. ხუციშვილი, „უნგრულ-კავკასიური პრობლემა,“ 1994წ
21. იასე ცინცაძე, „რუსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფო“ 1968წგვ. 26
22. მ.ვადბოლსკი „საქართველოს პერალდიკური სიმბოლიკა“. თბ. 1980წ.
23. კრებული „ლიტერატურული ურთიერთობანი“ II, თბ. 1969 წ.
24. ე.თაყაიშვილი,,მასალა საქ. სტატ. აღწერილობისა XVIII ს,“ თბ. 907 წ.
25. რ.თოფჩიშვილი „საქ. ისტორიული დემოგრაფია“ თბ. 2002წ.
26. რ თოფჩიშვილი „საქართველოს თავად-აზნაურთა გვარები “2021.
27. კონსტანტინე გამსახურდია „დავით აღმაშენებელი“ 2012 წ გვ. 591
28. აკაკი ბაქრაძე — „ნიკო ნიკოლაძე“-თბილისი 2005 წ. გვერდი 171

ვებგვერდები:

- orthodoxy.ge წმიდანთა ცხოვრება, წმიდა მეფე ვახტანგ III
- <http://heraldika.ge/index.php?m=839&newsid=202>.
- (<http://davitianni.wordpress.com/tag/aragvis-erisTavi/>) ([http://en.wikipedia.org/wiki/List_of_Georgian_dukes_\(eristavs\)](http://en.wikipedia.org/wiki/List_of_Georgian_dukes_(eristavs)) aragvis erisTavebis genealogia).
- http://www.academia.edu/4259175/_2.
- http://www.batu.edu.ge/text_files/ge_file_276_1.pdf
- (http://kawikipedia.org/wiki/qarTuli_heraldika)
- (<http://davitianni.wordpress.com/tag/aragvis-erisTavi/>);
- (<http://burusi.wordpress.com/2010/02/18/davidagmashenebeli-2/>

დავით ვარლამის - ძე შაბურიშვილი

დაბადების ადგილი - 01.07.1955 წ.
დუშეთი, სოფელი საშაბურო (ბაგა);

განათლება

1972 წ. თბილისის №123 საშუალო
სკოლა;

1979 წ. ი.ჯავახიშვილის სახელო-
ბის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ეკონომისტი.



სამუშაო გამოცდილება

- ❖ ფასების სახელმწიფო კომიტეტი
- ❖ ეკონომიკის სამინისტრო:
 - ფასებისა და ტარიფების განყოფილების უფროსი,
 - ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოადგილე,
 - კონკურენციის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

მნიშვნელოვანი კვლევები:

- ❖ 2001 წ. ს/ს „თელასი, “გამოვლენილი დანაშაულებრივი სქემა მიღებული უკანონო შემოსავლების შესახებ (კოლეგებთან ერთად), რომელიც ძარცვავდა მომხმარებელს, სანქცია 95 მილიონი ლარი.
- ❖ 2006 წ. „საქართველოს მაგისტრალური გაზსადენით სომხეთში ბუნებრივი გაზის ტრანზიტისა გამოყენებული ტარიფები“ (პროფესორ ც. ბენაშვილთან ერთად). კვლევა გამარჯვებულად გამოცხადდა აშშ-ში (ვაშინგტონი) „ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის“ მიერ ჩატარებულ კონკურსში. კვლევით გაიშიფრა დანაშაულებრივი სქემა, რომლითაც მიზანმიმართულად აკოტრებდნენ გაზსადენს, რათა ზარალიანობის მოტივით რუსეთზე გაეყიდათ. კვლევამ საფუძველი გამოაცალა და ამერიკული მხარის აქტიური მხარდაჭერით შეაჩერა გაზსადენის რუსეთზე გაყიდვა.

გამოქვეყნებული შრომები

- ❖ 2009 წ. „ექსპორტის სტიმულირების სტრატეგია, როგორც ეკონომიკის სწრაფი განვითარების საფუძველი. წიგნში განხილულია იაპონიისა და აზიური ვეფხვების ეკონომიკის სწრაფი განვითარების მოდელი.

მონოგრაფია

- ❖ 2009 წ. „საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირების მნიშვნელობა ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის“ – ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ №3.



ISBN 978-9941-6-2398-0

9 789941 873980 >